აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი სისტემების მართვის პირობებში, ლოკალურ პუნქტებში შეცდომების მიუხედავად, გადაწყვეტილების მიღება იერარქიულია, მაშინ, როდესაც სისტემა მთლიანად ფუნქციონირებს ნორმალურად, მცირედი გადახრებით ოპტიმალური ტრანეკტორიისგან. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დასაშვებია ლოკალური უპასუხისმგებლობა, რამდენადაც დაგროვილმა შეცდომებმა შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი გადახრები. საქმე რთულდება იმითაც, რომ საბადოს საწყისი მონაცემები და მისი დამუშავების პროგრამები დაწყებულია მისი ისტორიის ნებისმიერი მომენტიდან, უმეტეს შემთხვევაში, დასაშვები ალბათობით, ამიტომ შეცდომები მართვაში მნიშვნელოვნად აფერხებს საბადოს დამუშავებისა და ექსპლუატაციის სრულყოფილ მსვლელობას.

საბადოს არსებობის (ცხოვრების) ყველა ეტაპზე, დაწყებული საძიებო სამუშაოებიდან და დამთავრებული ბოლო სტადიამდე მისი ექსპლუატაციის წარმატებულობა თუ წარუმატებლობა განისაზღვრება კონკრეტულ ღონისძიებათა ჩატარების სრულყოფილი გადაწყვეტილებებით, რო-

მლებიც მიიღება მისი ფუნქციონირების პერიოდში. გადაწყვეტა მოცემულია შესაბამის ლიტერატურებში [4,5].

დაუშვათ, იგეგმება რაღაც ღონისძიება. მიზნის მიღწევისათვის სპეციალისტ-ინჟინერს, რომელიც გეგმავს ღონისძიების ჩატარებას, ყოველთვის აქვს მოქმედების თავისუფლი არჩევანი. ამავე დროს გადაწყვეტილების მიღება, ჩვეულებრივ, ხდება კონფლიქტურ სიტუაციაშიც, როდესაც შეუძლებელია ერთდროულად დაკმაყოფილდეს რამდენიმე კრიტერიუმი (მაგალითად, შეიძინოს დამუშავების ტემპი, საბადოს წყლით დატვირთვის პირობებში) ან ნაპრალოვან ვულკანოგენურ საბადოზე განისაზღვროს საექსპლუატაციო ჭაბურღილების ჰორიზონტალური ბურღვით შეღწევის მიმართულება ნაპრალოთა დახრის მიხედვით. გადაწყვეტილება ეს სწორად შერჩეული პასუხია არსებული შესაძლებლობებიდან (მრავალკომპრომისული ამოცანიდან).



ნახ. 2. ჭაბურღილების რიცხვით განაწილების ჰისტოგრამა წყლის დებიტის მიხედვით (ა) და  $\log N$  დამოკიდებულება  $\log Q$ -ზე (ბ)

პრინციპულად ითვლება ის მდგომარეობა, როდესაც გადაწყვეტილება მიიღება ინფორმაციის უკმარისობის პირობებში. ამგვარი სიტუაციის მაგალითია, როდესაც მიიღება გადაწყვეტილება საბადოს დამუშავების დაპროექტებაზე. აქ მონაცემები გვაქვს რამდენიმე საძიებო ჭაბურღილებიდან და შეიძლება დამუშავების მეთოდი და ფენის ჭისპირა ზონის დამუშავების პარამეტრები. ბუნებრივი განუსაზღვრელობის გარდა ადგილი აქვს ფენის კოლექტორული თვისებების განუსაზღვრელობას, ჭაბურღილების ფონდის შესწავლას და გაანალიზებას დროის უქონლობის გამო, ასევე მატერიალური და მომსახურე პერსონალის რეზერვის უქონლობის გამო. ასეთ პირობებში, შეუძლებელია რეალური შედეგის მიღება. ოპერაციათა კვლევის მეთოდის გამოყენება, ე.ი. მეცნიერების დაყოფა, კვლევის დასაბუთებისათვის გადაწყვეტილების მისაღებად აღმოჩნდება შედარებით რეალური, არარეალურ გადაწყვეტილებათა შორის.

ტექნოლოგიურ გადაწყვეტილების მიღების დროს საჭიროა გავითვალისწინოთ არა მარტო მიღწეული შედეგები ობიექტის შესახებ, არამედ მათი გავლენა მომავლის მიმართ. მაგალითად, სანგრევისპირა ზონის მონაცემების დამუშავებისას საჭიროა გავითვალისწინოთ არა მარტო მოცემული ჭაბურღილის მაჩვენებლები, არამედ მეზობლად მყოფი ჭაბურღილების მუშაობის რეჟიმიც და საბადოს შემდგომი დამუშავების პერსპექტივები.

ტექნოლოგიურ მაჩვენებელთა გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია ვაწარმოოთ კონტროლი საბადოს დამუშავების მთელ მსვლელობაზე. არსებული კონტროლის საშუალებებს,

მეთოდებს აქვს რიგი უარყოფითი მხარეები, რომლებიც თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენს დამუშავების პროცესის კონტროლზე. მას უწოდებენ აპოსტორულ მარკაბინელებს (როდესაც ეს მარკაბინელები უკვე მოხსნილია ან მიუღებელი). მაგალითად, საბადოს გაწვლავანების პროცესის დაწყება განისაზღვრება  $p/z$  დამოკიდებულების გამრუდებით (სადაც  $p$  - ფენის წნევა,  $z$  - შეკუმშვის სიღრმე) და წყლის წარმოშობა ჭაბურღილის პროდუქციაში, ე.ი. როცა წყლის გავლენა უკვე საგრძნობია. ამავე დროს დამუშავების პროცესის რეგულირება მოითხოვს არა მარტო ოპერატიულ გადაწყვეტილებას, არამედ იმ მიმართულების შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს საბადოს სრულყოფილ დამუშავებას. ეს კი თავიდან აგვაცილებს შესაძლო გართულებებს ან მათ შესუსტებას.

ამჟამად ამ მიმართულებით გამოიყენება დიაგნოსტიკების მეთოდები: ზღვრული ზრდის თეორიის მეთოდი, დინამიკური სისტემების თეორია და ნაწილობრივი კატასტროფების თეორია.

ტექნოლოგიური გადაწყვეტილების მიღების მეთოდის შერჩევა განისაზღვრება ამოცანათა პირობებიდან როგორც ინფორმაციული მონაცემების სახით, ასევე მისი მომავალი რეალიზაციის შესაძლებლობიდან. ასე, მაგალითად, გადაწყვეტილების მიღება იმ პირობებში, როდესაც არ გავ-  
 ვაჩნია ფენის რიგი თვისების მარკაბინელები შეუძლებელია საბადოზე მივიღოთ წინასწარი გადაწყვეტა მის ეფექტიანობაზე. ასეთი ამოცანების ფორმულირება უნდა მოხდეს თამაშების თეორიის ტერმინებით, უფრო ზუსტად ამგვარი ამოცანები უნდა ჩამოვყალიბოთ, როგორც ბუნებასთან თამაში.

განვიხილოთ ამოცანა საბადოზე ზემოქმედების იმ მეთოდის შესახებ, რომ არ მოვიყვანოთ მისი მათემატიკური ფორმულირება. მოცემული კრიტერიუმის შესრულების გადაწყვეტილება (მაგალითად, კუთრი დანახარჯების მინიმუმი):

$$Z_1 = 0,125K_1 + C_1$$

$$Z_2 = 0,125K_2 + C_2$$

$a$  თუ  $Z_1 < Z_2$  ვირჩევთ  $Z_1$  და პირიქით

$$Z_R = 0,125K_2 + C_2$$

იმარჯვებს  $Z_2$  თუ  $Z_1 < Z_2$

გადაწყვეტილების მიღება გვინდება პირობებში, როდესაც გაურკვეველია საბადოს მდგომარეობა, რომლის მიხედვით გვინდება ჩასატარებელი ღონისძიებების შესაძლო შეფასება. ასეთ პირობებში საჭიროა შეირჩეს ობიექტი, რომელზეც ჩავატარებთ ზემოქმედებას და ზემოქმედების სახე ან ტიპი. თამაშების თეორიის გამოყენებით ოპტიმალური სტრატეგია წარმოგვიდგება, როგორც შემთხვევითი შერჩევის სახე ელემენტარულ გადაწყვეტილებათა რიცხვში, რომელიც, ვთქვათ, ინჟინერს გააჩნია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა იქნეს მიღებული ამა თუ იმ ტექნოლოგიურ ღონისძიებათა მიმართ, მისი რეალიზაცია წარმოებს ჭაბურღილების მეოხებით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ჭაბურღილები მოქმედების რეჟიმებით და ჭის სანგრევისპირა ზონის მდგომარეობით და სხვა პარამეტრებით ითვლება ერთადერთ მარეგულირებელ საშუალებებად საბადოს ექსპლუატაციის დროს. ამით აიხსნება ასევე სხვადასხვა ფენში გამოქმედების დროს წყლის ზონის წინ წამოწევა საბადოში და მოპოვების ტემპის გაზრდა. ჭაბურღილებს შორის ზემოქმედების ხასიათის მიხედვით ადგენენ შეჩერების ზონებს და დამატებითი ჭაბურღილის გაბურღვის წერტილებს. ამიტომ საჭიროა, რომ ვიქონიოთ მეტი ინფორმაცია საბადოს დამუშავების სისტემების შესახებ, განსაკუთრებით ოპერატიულად შესწავლისას.

მიუხედავად ამისა, ასეთი ამოცანა შეუსრულებადი ყოფილა, რადგან მოითხოვს დიდ დროს და ბრიგადების საკმაოდ დიდ რაოდენობას ექსპერიმენტული კვლევების ჩასატარებლად. საჭირო ინფორმაცია ასეთ სიტუაციაში შესაძლოა მივიღოთ, მაგალითად, სტატისტიკის თეორიის მეთოდის გამოყენებით, რომელიც გარკვეულ პირობებში საშუალებას იძლევა, რამდენიმე ჭაბურღილის გაზომვის შედეგად აღვადგინოთ სათანადო პარამეტრების მნიშვნელობები დანარჩენ ჭაბურღილებზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ მიდგომას კარგად მიესადაგება ახალი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება გადაწყვეტილების ეტაპობრივად მისაღებად. კიდევ ერთი შენიშვნა, ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიღების ხასიათის შესახებ: როგორც წესი, მიღებული ჩასატარებელი ღონისძიებები ატარებს მასიურ ხასიათს; მაგალითად, ღონისძიება ჭაბურღილთა მწარმოებლობის ასამაღლებლად. ჭაბურღილთა დიდი რაოდენობის გამო, ღონისძიების ტიპის და მისი პარამეტრების დადგენა ინდივიდუალურად ცალკეული ჭაბურღილის მიხედვით შეუძლებელია. ღონისძიებას ნიშნავენ ჭაბურღილების ჯგუფზე მთლიანობაში, რომლებიც ტექნოლოგიური პარამეტრების მაჩვენებლების მიხედვით ახლოა სტანდარტულ პარამეტრებთან, ამიტომ ღონისძიებებს ატარებენ ასე თუ ისე უნიფიცირებულად, ერთნაირად ყველა ჭაბურღილისათვის.

მაგრამ, რამდენადაც საბადოზე გაბურღული ჭაბურღილები დანიშნულების მიხედვით სხვადასხვაა, ამიტომ ერთნაირ ეფექტს ადგილი არ აქვს. უფრო მეტიც, შესაძლოა მიღებულ იქნეს უარყოფითი ეფექტიც.

ასეთ პირობებში ღონისძიებათა დაგეგმვისას შესაძლოა იდეოლოგიურად მიღებულ იქნეს ორიენტირება მოგებაზე საშუალო და არა ცალკეულ ჭაბურღილებს შორის კავშირები და ერთობრივი ეფექტი მთლიანობაში.

დაგეგმვისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისას, სტრატეგიის დიდ მასშტაბში, ჩადებული უნდა იქნეს ეტაპობრივად რისკების შემცირების უზრუნველყოფა, პროცესების რეალიზაცია სხვადასხვა სტადიაზე. მოვიყვანოთ ერთ-ერთი სქემა ასეთი მიდგომის დროს: პირველ ეტაპზე, პროცესის დაწყების შემდეგ, საჭიროა ოპერატიულად შეფასდეს მისი გაგრძელების მიზანშეწონილობა. დაუშვათ, ტარდება რაღაც ტექნოლოგიური ღონისძიება ჭაბურღილებზე, რომელიც გათვლილია დებიტის შენარჩუნების ან გაზრდის მიზნით. რეგობრივი სტატისტიკის მეთოდის გამოყენებით, შესაძლოა მივიღოთ დამოკიდებულება ჭაბურღილების დებიტსა და მათ რანგებს შორის. შემდგომ ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების დროს ორ ან სამ ჭაბურღილზე ფასდება ახალი დამოკიდებულება ახალ დებიტსა და დებიტის რანგებს შორის და ტარდება შედარება ძველ მაჩვენებლებთან, შემდეგ გამოაქვთ დასკვნა ჩატარებულ ღონისძიებათა გაგრძელების მიზანშეწონილობის ან მისი არაეფექტურობის შესახებ.

შემდგომ ირჩევენ იმ ჭაბურღილებს, სადაც უფრო მოულოდნელია მაღალი შედეგები. ასეთი შერჩევა შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ პარეტოს პრინციპზე დაყრდნობით. ასეთ შემთხვევაში ეფექტის უარყოფითი რისკი ჭაბურღილზე მცირდება. შემდგომ ეტაპზე საჭიროა, უკვე არსებული მონაცემების საფუძველზე, გავაკეთოთ პროგნოზი ჩასატარებელ ღონისძიებათა შესაძლო გაგრძელებაზე. ამ მიზნისათვის კარგია და მისაღები მარკოვის ჯაჭვური თეორიის აპარატის გამოყენება.

რამდენადაც ჭაბურღილებს შორის არსებობს ურთიერთკავშირი, ამიტომ ზემოქმედების ეფექტი მათ შორის განაწილდება. დავაჯგუფებთ რა ჭაბურღილების გარკვეულ კლასს, გარკვეული ნიშან-თვისებების მიხედვით, მაგალითად, დებიტის ინტერვალებით, შესაძლებელია კოლმოგოროვის გარდამავალი ალბათობის განტოლების საფუძველზე განვსაზღვროთ ფინალური მდგო-



მარეობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ინტეგრალურად შევაფასოთ ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგები ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მივცეთ ეფექტიანობის მთლიანი პროგნოზი.

### დასკვნა

სიტუაცია, რომელსაც აწყდება მენავთობე-ინჟინერი გადაწყვეტილების მიღების დროს სხვადასხვა და საკმაოდ განუსაზღვრელია, ხოლო დამატებითი ინფორმაციის მიღების საშუალება ძნელია ან საერთოდ შეუძლებელი. ამიტომ სათანადო დამატებითი პრინციპის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების დროს საჭიროა დეტერმინიზირებულ და ალბათურ-სტატისტიკური მეთოდებთან ერთად გამოყენებულ იქნეს გადაწყვეტილების მიღების ადაპტური და სხვადასხვა ევრისტიკული მეთოდები და ხერხები, რომლებიც ეყრდნობა ინჟინრის ინტუიციას და გამოცდილებას.

### ლიტერატურა

1. ი. გოგუაძე. ექსპერიმენტის დაგეგმვა და მათემატიკური მოდელირება. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2003 წ., 329 გვ.
2. ი. გოგუაძე. ჭაბურღილების ბურღვის მოდელირება და ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალური დაპროექტება. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 1997 წ., 223 გვ.
3. ი. გოგუაძე. ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის ტექნიკა და ტექნოლოგია. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, I ნაწილი, 2004 წ., 523 გვ, II ნაწილი 2005 წ., 456 გვ.
4. Варшаломидзе Г.Х. Проблемы механики бурения нефтяных и газовых скважин. Батуми: Издательство Аджара, 2003. - 438 с.

## ეკონომიკური რისკი ნავთობის დ გაზის მრეწველობაში

წარდგენილია საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსის ი. გოგუაძის მიერ

**Key words:** risk, effectiveness, income, investment, loss, attractiveness of the risk, estimation of the risk.

**Abstract:** Economic risk in oil and gas industry.

The economic risk in oil and gas industry and estimation of the risk applying mathematical statistics elements are dealt with in the article. The special attention is given to the effective application difficulties of methods for controlling the risks in the postsoviet Georgia reality and the means that are necessary to be considered for the investigation expansion of the risk. In this case attractiveness of the risk should come first in the exploitation of mineral resources in the country and attract investments in this field.

### შესავალი



რ. სარჩიმელია,  
ეკონ. მეცნ. დოქტ.,  
პროფესორი

ნებისმიერ დარგში, მათ შორის ნავთობისა და გაზის მრეწველობაში მომუშავე მეწარმის ყოველდღიური საქმიანობა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რისკთან არის დაკავშირებული. მეწარმის რისკს ყოველთვის ახლავს როგორც მოგების იმედი, აგრეთვე ზარალის შიში. მიუხედავად ამისა, გამოცდილი მეწარმე, მენეჯერი მაინც ახერხებს გაარკვიოს სასურველი შედეგის მიღწევის ალბათობა, დაეყრდნოს მას სამეურნეო საქმიანობისას და შეაფასოს შესაძლო ვარიანტების გამოვლენა ანალიზით, გამოყოს ზარალის ალბათობა, როგორც რისკი და იზრუნოს მის შემცირებაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია შეადგინოს რისკთან



გოდერძი ტაბატაძე,  
სტუ-ს პროფესორი

დაკავშირებული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, გამოიკვლიოს და გამოიყენოს პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადასაჭრელად.

### ძირითადი ნაწილი

ნავთობისა და გაზის საბადოების მომზადება საექსპლუატაციოდ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რომელთა ნაწილი თავიდანვე შეიძლება არ იყოს გარკვეული. ამიტომ, და სხვა მიზეზების გამო, გადაწყვეტილება რისკით მიიღება. პოტენციური ინვესტორი პროექტის დაფინანსებამდე უნდა გაერკვეს კონკრეტულ შემთხვევაში რისკის შესაძლებლობაზე, სადაც კომერციული საქმიანობის შესაბამისად მიმდინარეობს კვლევა შემოსავლის (ან მოგების) მაქსიმიზაციის მიზნით ისე, რომ არ იქნეს გამოტოვებული ზარალის შემთხვევები. ამასთან, წინასწარ დაუფიქსირებელი ზარალის საპასუხოდაც სისტემა უნდა იყოს მომზადებული, ხოლო ლოკალურ შემთხვევებზე წარმოდგენილი ცალკეული რისკების შემცირება მიმდინარეობს შესაბამისი ალბათობების დაზუსტება-გარდაქმნით. თუმცა, ყოველივე ეს მაინც არასაკმარისია რისკის პრობლემის გადასაჭრელად დარგის ეკონომიკაში და სხვა სამეურნეო ხასიათის ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

რისკის უშუალო და მკაცრად ჩამოყალიბებულ განმარტების მოცემას ერიდებიან. ჰელ ვა-რიანი მაგალითების მეშვეობით რისკს უშუალოდ აკონკრეტებს და შემდეგ იძლევა მის საფუძვლიან დახასიათებას [1. გვ. 268]. საერთოდ, ეკონომიკური რისკი განმარტებულია, როგორც ზარალის ალბათობა, რაც მიესადაგება აგრეთვე ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოებს, როდესაც მათი შემოსავალი ზარალის ცვლილებების მიმართ მდგრადია.

ნავთობისა და გაზის მრეწველობაში რისკის განმარტება დაკავშირებულია ხანძრებთან, ნავთობისა და გაზის ამოშადრევენებებთან ჭაბურღილების ბურღვისას, სხვადასხვა ავარიებთან და ა.შ. უფრო ზოგადია რისკის წარმოდგენა ალბათური მახასიათებლით, როგორცაა მისი მათემატიკური ლოდინის მაქსიმუმი, რომლის ნაცვლად ამოცანას განიხილავენ შემოსავლის მიხედვით, მისი შესაძლო დაცვით (მცირე გადახრის პირობებში) და ზარალის მინიმუმაციით, როდესაც რისკის, როგორც შემთხვევითი სიდიდის, ზარალის ალბათობის ცალკეული და მთლიანი ვარიანტების ეკონომიკური შინაარსი გარკვეულია. ამასთან, შესაძლებელია შესაბამისი მოდელის შედგენა.

აღნიშნულ  $x$ -ით რისკის საწყისი მნიშვნელობა, როგორც შემთხვევითი სიდიდის ალბათობის მახასიათებელი, რომლის განაწილების კანონია  $x = a + d$  ალბათობით  $p$ , ხოლო მისი საწინააღმდეგო  $1 - p$ . ალბათობით მოსალოდნელია, რომ  $x$  უდრიდეს  $b + d$ -ს. ამ შემთხვევაში  $a > 0$ ,  $b > 0$  და  $0 < p < 1$ , სადაც  $a$  მოგების, ხოლო  $b$  წაგების საწყისი მნიშვნელობებია.  $d$  სარეზერვო ფონდია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზარალის დასაფარავად. საწარმოთვის გამოყოფილი უნდა იქნეს რისკთან დაკავშირებული ისეთი სარეზერვო ფონდი, რომელიც გამოიყენება რისკის მართვის მეთოდებით (მაგალითად, დაზღვევა), მაშინ  $d > 0$  (შევნიშნავთ, რომ  $p$  ალბათობა განმარტებულია, როგორც ხელშემწყობ ხდომილობათა რიცხვი გაყოფილი ყველა შესაძლო ხდომილობათა რიცხვზე. ხდომილობა მოვლენის მოხდენის ფაქტს ნიშნავს).

რისკის კვლევა შესაძლებელია დაწყებულ იქნეს ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით, სადაც შემთხვევითი სიდიდე წარმოდგენილია განაწილების კანონით (ან განაწილების ფუნქციით უწყვეტ შემთხვევაში). მათ საფუძველზე წარმოდგენილი რისკის მათემატიკური ლოდინის მაქსიმუმის ძიება ალბათურად აფასებს, ეკონომიკური რისკის შემთხვევაში, მოგების მაღალ ალბათურ მნიშვნელობას, ხოლო გაბნევის მახასიათებლად შემოტანილია დისპერსია.

თუ რისკს განვიხილავთ საწყისი სახით, რეზერვის გარეშე ანუ როცა  $d = 0$ , მაშინ რისკის შესაფასებლად გამოიყენება მისი კოეფიციენტი  $K = b(1 - p)/ap$ , რომელიც რისკის მათემატიკურ ლოდინთან შემდეგი ფორმულით არის დაკავშირებული:

$$Ex = a \cdot p - b(1 - p) = a \cdot p(1 - k),$$

$$Ex = ap - b(1 - p) = ap(1 - k),$$

საიდანაც გამომდინარეობს, რომ, ალბათური თვალსაზრისით, რისკი წამგებიანია, როცა  $Ex < 0$  ( $k > 0$ ), თუ  $Ex > 0$  ანუ  $0 < k < 1$ , მაშინ რისკი მომგებიანია.  $Ex = 0$  ანუ  $k = 1$ , საქმე გვაქვს საეჭვო შემთხვევასთან და მისი შემდგომი დაზუსტება შეძლებისდაგვარად უნდა წარიმართოს. არ არის გამორიცხული, რომ  $Ex$ -ის უარყოფითი მნიშვნელობის მიუხედავად რისკში მოგებას მაინც აქვს ადგილი. ალბათური მოგებაც შეიძლება საეჭვო იყოს, თუმცა ეს ნაკლებადაა მოსალოდნელი. ასეთია თვით ალბათური დასკვნის ბუნება. რისკთან დაკავშირებული უფრო რთული შემთხვევები მოცემულია შესაბამის ლიტერატურაში [1], სადაც რისკის მხოლოდ მოსალოდნელი ზარალის ალბათობით განმარტება უმარტივესია და, შესაბამისად, შეზღუდულია. მხოლოდ ასეთი

**მეცნიერება****ეკონომიკა და მარკეტინგი****SCIENCE**

მიღვითაა შესაძლებელი ეკონომიურობის მიღწევა, მაგრამ ამით რისკის კონკრეტულ პრობლემას მეტი სიზუსტით ვერ გადავჭრით.

რისკის პრობლემის გადასაწყვეტად შედარებით დახვეწილი მეთოდები მოცემულია ფინანსურ ინჟინერიაში და ნაწილობრივ ფინანსურ მათემატიკაში. ამ მხრივ საქართველოში ჩატარებულია მაღალკვალიფიციური კვლევები.

მათემატიკურ აპარატს თავის არსენალში აქვს კვლევის დიდი შესაძლებლობები განუსაზღვრელობის ანალიზისათვის სტოქასტიკურ დაპროგრამებაში, თამაშთა თეორიაში და ა.შ. თანამედროვე კომპიუტერების გამოყენებით.

რისკის მოქმედების აღსაწერად ეკონომიკის რთულ რაოდენობრივ და ხარისხობრივ პრობლემებში, რომლებიც განპირობებულია რთული წინააღმდეგობრივი პრობლემებით, თავს იჩენს ეგრეთწოდებული “განუსაზღვრელობა”, როდესაც ცნობილი არ არის გადაწყვეტილების მიღების შესაძლო მდგომარეობათა ალბათობები და უკუეგები სამეწარმო საქმეში. ამას ისიც ამძიმებს, რომ არ არსებობს საიმედო მონაცემები ალბათობათა აპოსტერული (ცდებზე დამყარებული) წესით დასადგენად, რომლის გამოყენებისას შესაძლებელი იქნებოდა ალბათობათა აპრიორული (ცდებისაგან დამოუკიდებელი) განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღება განუსაზღვრელობის პირობებში სუბიექტურ ხასიათს ატარებს და ექსპერტების გამოყენებით ტარდება.

შეგნიშნავთ, რომ რისკის ამოცანა უფრო კეთილთვისებიანია იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელი ხდება მისი შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონის წარმოდგენა და ალბათობის დადგენა, რომელიც გამოხატავს ზარალისა და მოგების შემთხვევების დადგენას. მაშინ რისკზე წასვლა საიმედოა და ადვილად გასანალიზებელი, თუ ხიფათის ალბათობა დამაჯერებლად მცირეა.

ეკონომიკური რისკი და მისი კრიტერიუმები სამეურნეო საქმიანობაში განიხილება გადაწყვეტილების შესარჩევად, მოსალოდნელი დანაკარგების ან შემოსავლიდან გადახრის, ან ორივეს ერთდროული ანალიზით. თუ შესაძლებელია, მაშინ უმჯობესია ამას დაემატოს რისკით მოგების მაქსიზაციისა და მისი გაბნევის მინიმიზაციაზე ერთდროული ზრუნვა.

საბაზრო სიტუაცია არაცხად, განუსაზღვრელ გარემოში ყალიბდება და უკავშირდება რისკით გადაწყვეტილების მიღებას, რაც ახასიათებს კომერციულ საქმიანობას, მოქმედებებს, სახეზეა კონკურენცია, წარმოების ეფექტიანობა, ამასთან, ფასების ცვლილებები და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის მუდმივი ცვლილებები რხევებითაც ხასიათდება, რომლებსაც კანონზომიერი ხასიათი აქვს, ამასთან, ისინი მოსალოდნელი გადახრებით რისკისა და პროგნოზირების აუცილებლობის წინაშე გვაყენებენ ნავთობისა და გაზის მრეწველობაში. მათი ეკონომიკის მაგალითზეც ჩანს ზარალის ალბათობაზე ყურადღების გამანვილების უპირატესობა სხვა მეორეხარისხოვან ღონისძიებებთან შედარებით, როდესაც ხანძრისა და აფეთქების საფრთხე ზღუდავს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ზომებს და მკაცრ მოთხოვნებს უყენებს საწარმოს, საჭიროებს სპეციალური სამსახურების ორგანიზებას შრომის დაცვისა და უსაფრთხოდ მუშაობის უზრუნველსაყოფად [2].

ნავთობისა და გაზის მრეწველობაში (ისევე, როგორც მრეწველობის სხვა დარგებში) ფინანსურ რისკს დანაკარგის დადგომის ალბათობით გამოხატავენ. იგი ეყრდნობა რა კონკრეტული შემთხვევის სტატისტიკურ მონაცემებს, შეიძლება მაღალი სიზუსტით შეფასდეს. ფინანსური რისკით მიმდინარეობს დარგისთვის (საწარმოსათვის) ფულადი სახსრების გამოძებნა იმ მიზნით, რომ საწარმო მზად დახვდეს ზარალის შემთხვევას, შეასუსტოს მისი მოქმედების სიმწვავე ან

აღმოფხვრას შესაძლებლობის ფარგლებში. ამისათვის ქმედით ღონისძიებას რისკის დაზღვევა წარმოადგენს, რომლის ფონდით შესაძლებელია ზარალის დაფარვა [3].

ნავთობისა და გაზის საბადოების ათვისების პროცესში კაპიტალდაბანდების განხილვა რისკის ფაქტორის მიხედვით უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამიტომ ზარალის შიშით რისკზე უარს ვერ ვიტყვი. ნავთობის მრეწველობის ეკონომიკის აღმავლობისათვის მცირე სიმძლავრის საბადოების შემთხვევაში დიდი რისკი უფრო მეტად არ შეიძლება გავაზვიადოთ, პირიქით უნდა დავყოთ შეძლებისდაგვარად მარტივ შემდგენებად.

რთული სამუშაოების ცალკეულ ნაწილებად წარმოდგენით და მათი რისკის დივერსიფიკაციით (რისკის განაწილება) საშუალება გვძლევს ყველა რისკის ერთდროულად მოხდენის ალბათობის სიდიდე შევამციროთ. მოსალოდნელია გამოვავლინოთ ერთმანეთის საპირისპირო ცალკეული რისკები, რაც რისკის ალბათობას კიდევ უფრო შეამცირებს. რისკის დივერსიფიკაციის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ, როდესაც რუსეთიდან გაზის მიღების შეწყვეტის საშიშროება შეიქმნა, მთავრობამ მოახერხა ირანიდან გაზის მიწოდების ალტერნატიული გზის გამონახვა და მომავლისათვის მისი დაფიქსირება.

რისკის მართვის სტრატეგიაში ღონისძიებათა ერთობლიობით განხილვა რისკის შემცირებისა და გადანაწილების სტრატეგია. თუმცა რისკის დივერსიფიკაციისას გემართებს სიფრთხილე, რათა რისკის ზედმეტად დანაწილებით (დაწვრილმანებით) არ შემცირდეს წარმოების ეფექტიანობა.

არ უნდა “ჩავლოთ ერთ საქმეში” მთლიანად ჩვენი სახსრები ან მათი დიდი ნაწილი, მეწარმე არ უნდა გაურბოდეს რისკს, იგი გონივრული გადაწყვეტილებით უნდა წარმართავდეს ზარალის შემცირებას, მცირედისათვის დიდი გარისკვა მიზანშეუწონელია, დროულად უნდა განხორციელდეს საიმედო დაზღვევა და ა.შ.

რისკის გამოვლენა საკმაოდ რთულია სამეურნეო ამოცანებში, როდესაც იგი ბიზნეს-გეგმისთვის აუცილებელ შემდგენს წარმოადგენს და თავს იჩენს ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც დაკავშირებულია მოვლენაზე ზემოქმედ ყველა შესაძლო ზარალის ჯამთან და სამუშაოებთან, რომლებიც გათვალისწინებულია ბიზნეს-გეგმის შესასრულებლად. ამას ისიც ართულებს, რომ ზარალის მოსალოდნელი ვარიანტები ერთდროულად არ ვლინდება, თუმცა სავარაუდო მიახლოებით მაინც ხდება შესაძლებელი იმ ფაქტორების გამოყოფა, რომლებიც რისკის პირობებში ზემოქმედებენ გადაწყვეტილების მიღებაზე [4].

ახლა შევეხოთ რისკს ბიზნეს-გეგმასთან დაკავშირებით, სადაც იგულისხმება ინვესტორთა მოზიდვა და მათი უნარისა და შესაძლებლობების ეფექტური გამოყენება. რისკის საშიშროების მიუხედავად, ბიზნეს-გეგმაში ფირმის მომგებიანობის დამახასიათებელი ფაქტორები უნდა იქნეს წამოწეული, ხოლო თუ რისკთან დაკავშირებით მხოლოდ კონკრეტულ მასალაზე გავამახვილებთ ყურადღებას, მაშინ იგი ხელს შეუშლის მეწარმეობის დროულ დაწყებას. ამიტომ ბიზნეს-გეგმაში რისკთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცოდნის ეკონომიკით მოქმედებას, რისკების საფუძვლიანად შეფასების ჩვევებს და იმასაც, თუ რამდენად მაღალია მენეჯერის შესაძლებლობები თავი გაართვას წარმოშობილ სიძნელეებს და ინვესტორის ყურადღება გაამახვილოს საწარმოს გაძლიერების შესაძლებლობაზე, მისი მაღალი პოტენციალის შექმნასა და ეფექტიან გამოყენებაზე.

ამასთან, აუცილებელია რისკით მომგებიანობის პირობებში გარკვევა. ცნობილია, რომ რაც უფრო მეტ რისკზე მიდის ფირმა, მით მეტი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს მართვის მიმართულებებს, თუ რამდენადაა ისინი დამყარებული საბაზრო შესაძლებლობების გამოყენებაზე და იმაზეც რა განაპირობებს მოგების მაქსიმუმის მიღწევას [5]. მასთან შესაბამისობაშია რისკის გამო-

## მეცნიერება

## ეკონომიკა და მარკეტინგი

## SCIENCE

ვლენის შემდეგი სქემა: რისკების დაწვრილებითი განხილვა შესაბამისი ხდომილობის დაფიქსირებით, მათი დაჯგუფება უპირატესობის ნიშნის მიხედვით და ანალიზის ჩატარება; რისკის შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონის შედგენის მოსინჯვა; რისკების კლასიფიკაცია და დაჯგუფება; მათი მთლიანობაში შეფასება და გადაწყვეტილების მიღების ამოცანის დასმა რისკის გათვალისწინებით; ზარალის შემთხვევის დაწვრილებითი გარჩევა და მასთან დაკავშირებულ რისკის შემცირებაზე ზრუნვა რისკის დივერსიფიკაციის (რისკის საქმიანი განაწილების) მეშვეობით.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება რისკის გათვალისწინებას ნავთობისა და გაზის საბადოების გეოლოგიურ-ეკონომიკური შეფასებისას. გეოლოგიურ-ეკონომიკური შეფასება წარმოებს განსაზღვრულობისა და განუსაზღვრელობის და, მაშასადამე, მაღალი რისკების პირობებში. განუსაზღვრელობის ძირითად წყაროებად გვევლინება ინფლაცია, ცვლილებები მარაგების რაოდენობასა და ხარისხში, ტექნოლოგიაში და ა.შ.

პროექტის რეალიზაციისას წარმოქმნილ არახელსაყრელ სიტუაციებსა და შედეგებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა რისკთან ასოცირდება.

წარმოშობის წყაროს მიხედვით, განასხვავებენ სისტემატურ და არასისტემატურ რისკებს. სისტემატური რისკი დაკავშირებულია გარე ფაქტორების ცვლილებასთან, რომლებზეც ზეგავლენა შეუძლებელია. არასისტემატური რისკი დაკავშირებულია შიგნით ფაქტორების ცვლილებასთან.

რისკის დონე იზომება ინვესტირებით მიღებული მოსალოდნელი შემოსავლის გადახრით მის საშუალო ან საანგარიშო სიდიდიდან, რომლებიც უკავშირდებიან:

ა) ფინანსური დანაკარგების რისკის აბსოლუტურ სიდიდეს, როგორც ზარალების ჯამს;

ბ) ფინანსური დანაკარგების ფარდობით ზომას, როგორც ზარალების ჯამის ფარდობას შერჩეულ ბაზისურ მაჩვენებელთან.

საინვესტიციო რისკები სხვადასხვა მეთოდებით იზომება: საშუალო კვადრატული გადახრის, ვარიაციის კოეფიციენტის,  $\beta$ -კოეფიციენტის მიხედვით და ექსპერტული შეფასებათა მეთოდით. ეს უკანასკნელი გამოიყენება მაშინ, როდესაც ინვესტორს არ გააჩნია საჭირო საინფორმაციო ან სტატისტიკური მონაცემები ზემოხსენებული მაჩვენებლების გასაანგარიშებლად.

რისკების შეფასების შედეგები ცალკეული საინვესტიციო პროექტების მიხედვით საშუალებას იძლევა რაოდენობრივად შევაფასოთ მათი დონეები. ამ მიზნით იყენებენ ინვესტიციების შემდეგ მახასიათებლებს [6,7]:

1) ურისკო ინვესტიციები. არ არის დაბანდება მოკლევადიან სახელმწიფო ობლიგაციებში;

2) ინვესტიციები რისკის დასაშვები დონით – მათთვის შესაძლებელია მთელი საანგარიშო წმინდა მოგების დანაკარგი განსახილველი პროექტის მიხედვით;

3) ინვესტიციები კრიტიკული რისკის დონით – მათთვის შესაძლებელია არა მარტო მოგების, არამედ მთლიანი საანგარიშო შემოსავლის თანხის დაკარგვა განსახილველი პროექტის მიხედვით;

4) ინვესტიციები კატასტროფული რისკის დონით – შესაძლებელია ინვესტორის მთელი აქტივების დაკარგვა გაკოტრების შედეგად.

სპეციალისტთა შეფასებით, ინვესტირებისას ფინანსური დანაკარგების ალბათობის ზღვრულ მაჩვენებლებად ითვლება:

– ინვესტიციებისათვის რისკის დასაშვები დონით – 0,1;

– ინვესტიციებისათვის რისკის კრიტიკული დონით – 0,01;

– ინვესტიციებისათვის რისკის კატასტროფული დონით – 0,001.

ზოგადად რისკ-მენეჯერის მოვალეობად ითვლება ყველა სახის რისკის შემცირება, არასასურველი რისკების თავიდან აცილების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ამჟამად, მნიშვნელობა ენიჭება რისკის მიმზიდველობის დასაბუთებულად წარმოდგენას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ინვესტორთა მოზიდვას. მაგრამ რისკით მომგებიანობის მნიშვნელობა არ არის სათანადო დონეზე. ჩვენი მეწარმეები იშვიათად ინტერესდებიან რისკის პრობლემებით. მათივე სიტყვებით, ხელშემშლელ პირობებში უხდებათ მუშაობა, ხოლო რისკის დამატება მათ სამეწარმეო საქმეზე ხელს ააღებინებს. მეწარმეებისათვის დღეს სამწუხარო რეალობად იქცა თავის გადარჩენის პოლიტიკა.

საქართველოს ეკონომიკაში რისკის გამოყენებით დაინტერესება დაბალ დონეზეა, რომლის ერთ-ერთი მიზეზია ეროვნული პროდუქციის დეფიციტი. მაგალითად, ნავთობპროდუქტებსა და საწვავ გაზზე ბოლომდე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა მაღალი ფასებისა და მოსახლეობის დაბალი მყიდველობითი უნარის გამო. ამასთან, სპეციალისტთა მოსაზრებით, საქართველოში ნავთობისა და გაზის რესურსები საკმარის რაოდენობითაა, თუმცა დაკონკრეტებული ალბათობები ჯერ კიდევ არ არის დამაჯერებლად გამოკვლეული და შეფასებული. ასეთი გამოკვლევა ნაკლებად პოპულარულია იმ ძირითადი მიზეზით, რომ ნავთობისა და გაზის საბადოების ათვისების სამუშაოები ძვირად ღირებულა. ამას ისიც განაპირობებს, რომ საბადოების დამუშავება რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში ხდება. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია საკმარისი რაოდენობის კაპიტალის გამოყოფა, ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობები კი ძირითადად მობილიზებულია ენერგორესურსებზე მოთხოვნის იმპორტით დასაკმაყოფილებლად.

### დასკვნა

მიუხედავად ამ სირთულეებისა, რისკის პრობლემის კვლევა ნავთობისა და გაზის მრეწველობაში უნდა წარიმართოს არა მხოლოდ ზარალის ალბათობების გამოვლენით, არამედ მოგებასთან დაკავშირებით. შემოსავლის მაქსიმიზაცია უნდა გახდეს წამყვანი ქვეყნის ეკონომიკის ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარების გზების დასახვისათვის.

### ლიტერატურა

1. ჰ. ვარიანი. მიკროეკონომიკა, თანამედროვე მიდგომა (წიგნი 1) თბილისი: დიოგენე, 1998. თარგმანი ინგლისურიდან. გვ. 268–381.
2. რ. თევზაძე, გ. მახარაძე, გ. ბერაია, ვ. საყვარელიძე, გ. ტაბატაძე, თ. გაბახაძე. ნავთობ-გაზის კომპლექსის საწარმოთა მენეჯმენტი. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2002. გვ. 98.
3. ს. ჩოჩიშვილი. რისკის მართვა. თბილისი: უნივერსალი, 2002, გვ. 37–39.
4. Бачкай Х., Месена Д., Мико Д., Еен Е., Хусти Э. Хозяйственный риск и методы его измерения/ Пер. с венгерского. Москва: Экономика, 1979, с. 126-127.
5. გ. პაპავა. სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა. თბილისი: სამშობლო, 1998, ტ. II. გვ. 438–439.
6. Гольдман Е. Л., Назарова З. М., Маутина А. А. и др. Экономика геологоразведочных работ. Москва: Издательский дом «Руда и металлы», 2003, с. 99-101.
7. Зубарева В.Д., Саркисов А.С., Андреев А.Ф. Проектные риски в нефтегазовой промышленности. Москва, 2005.

## მაგისტრალური მილსადენების კოროზიული მდგომარეობის გამოკვლევა

წარდგენილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თ. ჭელიძის მიერ

**Key words:** Technical criterion, risk-factor, weary speed, adhesion.

**Abstract:** Study of corrosion state of main gas pipelines.

Corrosion state of magistral gas pipelines is investigated and the method of data interpretation is given in the paper. Also the results of the field - experimental investigation are presented for the magistral gas pipelines along the Saguramo - Tsiteli Khidi in the East Georgia. Corrosion state assessment of gas pipeline is the subject of multiple-factor investigation; corresponding mathematical modeling of experimental investigation is used for its optimization. This means to determine the minimum type of experiments, independent variables that make it possible to establish mathematical model of corrosion. Mathematical investigation of corrosion state was carried out by solution of linear equation system.

Interpretation of the field-experimental investigation, along Saguramo - Tsiteli Khidi, was carried out by mentioned method. Particularly the weighted fraction of individual risk-factor causing corrosion was estimated on the bases of mathematical modeling. High, enhanced, moderate, moderate and low corrosion states were fixed along the gas pipeline. The conditional coefficients of corrosion were estimated.

It was established that the efficacy of the method is very high. Obtained error is  $\pm 18^\circ$  with 0.95 probabilistic reliability.

### შესავალი



ზ. სიხარულიძე,

შ.პ.ს. „აილისი“

მმართველი დირექტორი  
ტექ. მეც. კანდიდატი

დეტალურ შესწავლას.

განხილულია მაგისტრალური მილსადენების მდგომარეობის გამოკვლევის მეთოდის შემუშავება და გაზსადენის 82 კმ-იანი მონაკვეთის გამოკვლევის შედეგები.

ექსპლუატაციის პერიოდში, მაგისტრალური მილსადენები განიცდის სხვადასხვა სახის სტატიკურ, დინამიკურ და აგრესიული გარემოს ზემოქმედებას. ამ უკანასკნელის გავლენა, პრაქტიკიდან გამომდინარე, არის უფრო მეტად კრიტიკული და მოითხოვს მისი ზემოქმედებით გამოწვეული შედეგების



დ. მაისურაძე,

შ.პ.ს. „აილისი“

დირექტორის მოადგილე

### ძირთადი ნაწილი



ი. თაყაძე,

შ.პ.ს. „აილისი“

ტექ. მეც. კანდიდატი

ერთიანი კონცეფცია მილსადენების საექსპლუატაციო პერიოდში, მისი ტექნიკური პარამეტრების დასაზუსტებლად, არ არის დადგენილი. თუმცა არის გარკვეული კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელია მილსადენის პარამეტრების შეფასება და მათი მახასიათებლების პროგნოზირება [1,3-5]. აქედან გამომდინარე, ყველა



გ. ჯაში,

გეოლ.-მინ. მეცნიერებათა კანდიდატი





გ. ბოლოთაშვილი,  
კიბერნეტიკის ინსტიტუტი,  
ტი. ტექ. მეც. კანდიდატი

კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო ხდება მიზანმიმართული გამოკვლევის მეთოდის შემუშავება და შესაბამისი გამოკვლევის ჩატარება [1,2].

ძირითადი პარამეტრი, რომელსაც უნდა პასუხობდეს გაზსადენი საექსპლუატაციო ვადა. ამ პარამეტრზე მოქმედებს მრავალი სახის ერთმანეთთან არაცალსახად დაკავშირებული ფაქტორები. აგრესიული გარემოს ზემოქმედებით გამოწვეული კოროზიული დაზიანებები, როგორც წესი, ადგილობრივ-ლოკალური ხასიათისაა და არ მოითხოვს მთელი მილსადენის ერთდროულ შეცვლას. მილსადენის ექსპლუატაცია შესაძლოა გაგრძელდეს ნებისმიერი ვადით ავარიული მონაკვეთების პერიოდული რეაბილიტაციის ხარჯზე. ამ შემთხვევაში, მილსადენების საექსპლუატაციო ვადა განისაზღვრება იმ პერიოდით, ვიდრე მილსადენი არ მივა ზღვრულ მდგომარეობამდე, რომლის შემდეგ მილსადენის ექსპლუატაცია დაუშვებელია ან სარეაბილიტაციო საშუალების წარმოება ეკონომიკურად გაუმართლებელი. აქედან გამომდინარე, მილსადენის საექსპლუატაციო ვადის განსაზღვრა არის ეკონომიკური კვლევის ამოცანა და დაკავშირებულია საწარმოო ხარჯებთან. ტექნიკური კრიტერიუმებით, საექსპლუატაციო ვადის დადგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ წინასწარ განისაზღვრება ის საექსპლუატაციო პერიოდი, რომელიც უნდა ჰქონდეს მილსადენს რეაბილიტაციის შემდეგ, კაპიტალური რემონტის ჩატარებამდე. ჩამოყალიბდა წინაპირობა: მაგისტრალური მილსადენის გამოკვლევა ჩატარებულიყო იმ მოცულობით და სიღრმით, რომელიც უზრუნველყოფდა სარეაბილიტაციო უზნების გამოვლენას და შემდეგ მილსადენის ექსპლუატაციას ნორმებით დადგენილი წნევით და 10 წლის საგარანტიო-საექსპლუატაციო ვადით. მილსადენის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის ჩატარებამდე გაანალიზებულ იქნა წინა საექსპლუატაციო მონაცემები, მოხდა მისი მდგომარეობის კლასიფიკაცია სხვადასხვა რისკფაქტორის მიხედვით და ჩამოყალიბდა გამოკვლევის მეთოდის ძირითადი მიდგომები.

ძირითადი პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ მილსადენის მდგომარეობას არის მილსადენების ნარჩენი სიმტკიცე, რომელიც სხვადასხვა გარე ფაქტორების ზეგავლენით განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებას, მილის საიზოლაციო საფარის მდგომარეობა, რომელსაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მილის კოროზიისაგან დაცვისათვის და მილსადენის დარჩენილი საექსპლუატაციო ვადა ავარიული მდგომარეობის გაჩენამდე.

მილის ნარჩენი სიმტკიცის მათემატიკური შეფასებისათვის აუცილებელია საწყისი პარამეტრები, რომლებიც ჩვენ შემთხვევაში წარმოადგენს მილის დამაბუღ-დეფორმირებული მდგომარეობის პარამეტრებს და მილის კედლის სისქის შემცირებას სხვადასხვა ფაქტორების გამო. ასეთი ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია კოროზიისაგან გამოწვეული დაზიანებები.

მილის საიზოლაციო საფარის მდგომარეობის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია იზოლაციის დიელექტრიკული მახასიათებლების შეფასება და დაზიანებული ადგილების გამოვლენა. ეს უკანასკნელი შესაძლოა გამოწვეულ იქნეს უხარისხოდ შესრულებული საიზოლაციო საშუალებით ან მილის ჩაღების მომენტში მისი მექანიკური დაზიანებით. მილსადენის ავარიულ მდგომარეობამდე დარჩენილი საექსპლუატაციო ვადის განსაზღვრისათვის საჭიროა სიმტკიცის მარაგის ცვლილების დინამიკის დადგენა კოროზიისა და საექსპლუატაციო ცვეთის სიჩქარის სიდიდეების გათვალისწინებით.

მილის კოროზიული მდგომარეობის გამოკვლევა მრავალფაქტორიანი კვლევის საგანია და მისი ოპტიმიზაციისათვის გამოიყენება ექსპერიმენტული კვლევის მათემატიკური დაგეგმარება. გამოკვლევის მათემატიკური დაგეგმარება გულისხმობს იმ მინიმალური სახეობის ექსპერიმენტებს, სადაც დამოუკიდებელი ცვლადების ვარიაციების ხარჯზე შესაძლებელ იქნება დადგინდეს კოროზიული პროცესის მათემატიკური მოდელი.

კოროზიული მდგომარეობა მრავალი ცვლადის ფუნქციაა და შემდეგი სახე აქვს:

$$K = f(X_1, X_2, \dots, X_n),$$

სადაც  $K$  არის მილის კოროზიის განზოგადებული სიდიდე,  $X_n$  - კოროზიული პროცესების გამომწვევი ცალკეული პარამეტრები.  $f$  ფუნქციის სახის დადგენა მათემატიკური საშუალებების გამოყენებით საკმაოდ რთული ამოცანაა და, რიგ კონკრეტულ შემთხვევაში, შეუძლებელიც, ვინაიდან მოითხოვს  $n$  რაოდენობის ექსპერიმენტის ჩატარებას. იმ შემთხვევაში თუ  $n$  არის ცალკეული ცვლადების ვარიანტების რაოდენობა, ხოლო  $\lambda$  - ცვლადების რაოდენობა, მაშინ საჭირო იქნება  $n = \lambda^n$  რაოდენობის ექსპერიმენტის ჩატარება. აქედან ცხადი ხდება თუ რა რაოდენობის ექსპერიმენტი იქნება საჭირო დასმული ამოცანის ამოსახსნელად. პრინციპული გამოსავალი უარის თქმა მრავალი ერთფაქტორიანი ექსპერიმენტის ჩატარებაზე და ერთი მრავალფაქტორიანი ექსპერიმენტის ჩატარება. ამ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ყველა  $\lambda$  ცვლადის ერთდროული ვარიანტების და განტოლებათა სისტემის გამოყენებით ყველა ცვლადის  $K$  გავლენის კოეფიციენტის დადგენა. ამ მიზნით შედგენილ იქნა  $m > n$  არათავსებადი წრფივ განტოლებათა სისტემა

$$\begin{cases} a_{11}x_1 + a_{12}x_2 + \dots + a_{1n}x_n = b_1 \\ \text{-----} \\ a_{m1}x_1 + a_{m2}x_2 + \dots + a_{mn}x_n = b_m \end{cases},$$

სადაც  $a_{ij}$  არის  $i$  შუროფში  $j$ -ური პარამეტრის მნიშვნელობის შეფასების ქულა.  $b_i$  არის  $i$  შუროფში კოროზიის შეფასების რიცხვითი მახასიათებელი. ბაზისურ განტოლებათა სისტემის ამოხსნა ხდება რამდენიმეჯერ. ამოხსნის შედეგად ვპოულობთ თითოეული პარამეტრის დამოკიდებულებას კოროზიაზე და ვახდენთ ამ კავშირის გადაყვანას 10-ბალიან სისტემაში. მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, თუ მილსადენის ყოველი გაზომილი წერტილისთვის თითოეული პარამეტრის შეფასების ქულას გავამრავლებთ პარამეტრის ცვლილების შეფასების ქულაზე და მიღებულ მნიშვნელობებს ავჯამავთ მივიღებთ მონაცემთა ბაზას, საიდანაც შესაძლებელი იქნება მილსადენისთვის კოროზიის ცვლილების გრაფიკული გამოსახვა. კერძოდ, შესაძლებელი იქნება დავაფიქსიროთ მაღალი, მომატებული, საშუალო და ნაკლებად კოროზიული უბნები. ანალოგიური გზით, არათავსებადი განტოლებათა სისტემის ამოხსნით, შესაძლებლობა გვექმნება შევაფასოთ კოროზიის სიჩქარე. გვეცოდინება რა კოროზიის სიჩქარე და ნარჩენი სიმტკიცე, მოვასდენთ მილსადენის კლასიფიცირებას საექსპლუატაციო წნევის და ვადის მიხედვით.


გამოკვლევის აღნიშნული ალგორითმი რეალიზებული იქნა პროგრამული პაკეტის სახით და გამოყენებულ იქნა გაზსადენის 82 კმ-იანი მონაკვეთის ტექნიკური მდგომარეობის შესაფასებლად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მილსადენის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებისათვის აუცილებელია კომპლექსური გამოკვლევების ჩატარება. ბუნებრივია, დგება საკითხი თუ რა საიმედოობითაა შესაძლებელი მაგისტრალური მილსადენის, როგორც სისტემის “მილისაფარი-გარე ფაქტორები“ შეფასება. ამის დადგენა შესაძლებელია გამოკვლევების ბოლო ეტაპზე საკონტროლო შუროფების მომზადებით და კომპლექსური გამოკვლევის შედეგების შემოწმებით.

გამოკვლევის მეთოდიკაში წარმოდგენილი გაზომვების ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა მიწისზედა ელექტრომეტრული გაზომვები, შუროფებში და ბუნებრივად არსებულ ღია ადგილებში გაზომვები და მიღებული მონაცემების მათემატიკური დამუშავება და გამოთვლები. გამოყენებულ იქნა მიწისზედა ელექტრომეტრული გაზომვები მინიმალური ინტერვალებით, ინტერვალური გაზომვები და გაზსადენის ცალკეულ უბნებზე ლოკალური გაზომვები.

1-ლ ნახ-ზე სტრუქტურული სქემის სახით მოცემულია მაგისტრალური გაზსადენის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის მეთოდიკა, რომლის საშუალებით გამოკვლეულ იქნა 720/820 მმ დიამეტრის მაგისტრალური გაზსადენი. იგი შეადგენს საქართველოს მაგისტრალურ-





ნახ. 2. კოროზიული გამოკვლევის შედეგები მაგისტრალური გაზსადენის 10 კმ-იანი მონაკვეთისათვის

პრაქტიკულად გაზსადენის მთელ სიგრძეზე პასიური დაცვა შესრულებულია ბიტუმის მასტიკის ნორმალური და გაძლიერებული ტიპის იზოლაციით. აქტიური დაცვისათვის დამონტაჟებულია კათოდური დაცვის 14 დანადგარი და 3 ელექტროდრენაჟი.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდე გაზსადენის ფუნქციონირება მიმდინარეობდა საპროექტოსთან მიახლოებული პარამეტრებით. მნიშვნელოვანი დაზიანებები, რომელთაც შეეძლოთ დაერღვიათ გაზმომარაგების რეჟიმი, არ ყოფილა. უკანასკნელ 10-15 წლის განმავლობაში გაზსადენი ფუნქციონირებდა ელექტროქიმიური დაცვის გარეშე, რაც ძირითადი მიზეზი გახდა გახშირებული კოროზიული დაზიანებებისა.

მე-2 ნახ-ზე, ნიმუშის სახით, მოცემულია გაზსადენის გამოკვლევის შედეგები 10 კმ-იანი მონაკვეთისათვის, რომელიც მიღებულ იქნა პროგრამული პაკეტის გამოყენებით.

წარმოდგენილი გრაფიკები ასახავს: გაზსადენის მილის გასწვრივ გრუნტის კუთრი ელექტრული

წინაღობის ცვლილებას, მილი-მიწა პოტენციალების განაწილებას - გაზომილს ელექტროდის გატანის მეთოდით, გრუნტის გრძივ პოტენციალებს, დაფიქსირებულ მოხეტიალე დენების განაწილებას, საიზოლაციო საფარის გარდამავალ წინაღობას, საიზოლაციო საფარის ადგეზიის სიდიდეს, მილსადენის ხანდაზმულობას, დაზიანებული იზოლაციის ადგილებს, კოროზიისაგან გამოწვეულ დაზიანებების ადგილებს, მილსადენის კოროზიული მდგომარეობის მათემატიკურ შეფასებას, რომელიც მიღებულ იქნა არათავსებადი წრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნით და მილსადენის გასწვრივ არსებული სიტუაციური მდგომარეობას.

შურფირება შესრულდა საშუალო, მომეტებული და მაღალი კოროზიული საშიშროების უბნებზე, რომლებიც შერჩეულ იქნა მე-2 ნახ-ზე გამოსახული მონაცემების გათვალისწინებით. მილის გამოვლენილი კოროზიული მდგომარეობა შეფასებულ იქნა კოროზიის პირობითი კოეფიციენტით  $K_0 = (\pi * D^2 / 4) * h * n$ , სადაც D და h არის კოროზიული ნიჟარების დიამეტრი და სიღრმე, n-კოროზიული ნიჟარების რაოდენობა ერთეულოვან ფართობზე.

### დასკვნა

შემუშავებულ და აპრობირებულ იქნა მაგისტრალური გაზსადენების ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მათემატიკურ-ალბათური მეთოდიკა.

გამოკვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა მაღალი, მომატებული და საშუალო სიდიდის კოროზიული უბნები.

მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად დადგენილ იქნა, რომ მაღალი მომატებული და საშუალო სიდიდის კოროზიული უბნების გამოვლენის ცდომილება  $\pm 18\%$  -ს შეადგენს, 0.95 ნდობის ალბათობით.

### ლიტერატურა

1. Стрижевский И.В., Зиневич А.М., Никольский К.К., Глазков В.И., Котик В.Г. Защита металлических сооружений от подземной коррозии: Справочник. М., Недра, 1981.
2. Семенов А.С. Электроразведка методом естественного электрического поля. Л., Недра, 1980.
3. S. Watanabe. Pattern recognition: human and mechanical Lohn Wiley, Sons, Now York, 1987
4. F. Caley, Y. Gonzalez, Y. Hallen. A study on the reliabilite assessment methodology fon pipelines with active corrosion defects, Intrnational Journal of Pressure Vessels and Piring, Eisivier, 2002.
5. A. Vetrov, Y. Ilyin, V. Isael, N. Shapovalov. Electrometrical Methods Application for Detection of Heating Sistem pipeline corrosion. American Geophysical Union, Fall Meeting, 2004.

## მილსადენებით მდინარეთა გადაკვეთებზე წყლის საანგარიშო მაქსიმალური ხარჯის შეფასება

წარდგენილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ც. მირცხულავას მიერ

**Key words:** Calculating provision, water maximal discharge, distribution function.

**Abstract:** Evaluation of peak discharges of water under estimation by pipelines at the river cross points.

The work presents a general description of the issues connected with the determination of the estimated water provision and adequate peak discharge and the selection of the distribution function during quantitative evaluation of the risk of denudation of the pipeline where the pipeline crosses the water-pipes under the ground. Following the increased role of functioning of the pipelines, the risk of environmental impact is also increased. At the same time, there are different approaches in different countries of calculating peak discharges and therefore, a unified international standard acts enabling to settle this question through more reliable single methods should be developed.

### შესავალი



**გურამ გრიგოლია,**  
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჰიდრომეტეოროლოგიის ს/კ ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

საქართველო, გეოპოლიტიკური მდებარეობით, მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენს სხვადასხვა სახის კომუნიკაციების გასაყვანად. საქართველოს ტერიტორიაზე აშენებული კომუნიკაციებიდან აღსანიშნავია ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. ისინი სტრატეგიული ობიექტებია და მათი ნორმალური და საიმედო მუშაობა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნულ მილსადენებს ქვეყნისათვის არა მარტო დიდი სარგებლობის, არამედ დიდი ზიანის



**ვაჟა ტრაპაიძე**  
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ჰიდრომეტეოროლოგიის ს/კ ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ჰიდროლოგიის მიმართულების ასისტენტ პროფესორი

მოტანაც შეუძლიათ, რაც, დაზიანების შემთხვევაში, გარემოზე კატასტროფულ ეკოლოგიურ ზემოქმედებაში გამოიხატება.

მილსადენები შეიძლება იყოს ზედაპირული ან მიწისქვეშა. ბოლო წლებში უსაფრთხოების გაზრდის მიზნით აქცენტი აღებულია მიწისქვეშა მილსადენებზე, თუმცა ტექნიკური და ტექნოგენური პროცესები ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია. მილსადენების დაზიანების 84,4% დაკავშირებულია



გიორგი ბრეგვაძე

ჰიდრომეტეოროლოგიის ს/კ ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ჰიდროლოგიის მიმართულების ასისტენტ პროფესორი

ლია მილსადენის გაშიშვლებასთან, რომელიც გამოწვეულია წყალსადინარში კალაპოტური პროცესებით. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საშუალოდ ყოველ მეორე გაშიშვლებას მილის ერთი გაგლეჯა მოჰყვება.

მდინარეთა გადაკვეთებზე მილსადენების გაშიშვლების რისკის შეფასების დროს უნდა გავითვალისწინოთ გადასასვლელების საერთო რაოდენობა, მუშაობის ხანგრძლივობა და ალბათურად ავსნათ როგორი სურათია მოსალოდნელი. გაანგარიშებისა და ანალიზის დროს უნდა განვიხილოთ როგორც ცალკეულ მოვლენებთან დაკავშირებული რისკი, ასევე მათი ერთობლივი მოქმედების სხვადასხვა ვარიანტი.

სტიქიური მოვლენების დეტალური შესწავლა, მათი საანგარიშო მოდელების შედგენა, მათთან დაკავშირებული რისკისა და ზემოქმედების შეფასება მილსადენის გაყვანისას ერთი-ერთი უპირველესი და ძირითადი ამოცანაა.

მილსადენით წყალსადინარების წყალქვეშა გადაკვეთისას მილის გაშიშვლების რისკის რაოდენობრივი შეფასებისათვის მნიშვნელოვანია საანგარიშო უზრუნველყოფისა და წყლის მაქსიმალური ხარჯის დადგენა.

### ძირითადი ნაწილი

მაქსიმალური ხარჯის საანგარიშო მოდელი უზრუნველყოფის მრუდით გამოისახება, რომლის მიხედვით შეიძლება დავადგინოთ საანგარიშო უზრუნველყოფის შესაბამისი ხარჯი (%), რომელიც ითვალისწინებს ამ ხარჯის ერთჯერად გადამეტებას განსახილველ პერიოდში საშუალოდ ერთხელ  $n$  მრავალი წლიურიდან. მაგალითად, თუ საანგარიშო უზრუნველყოფა ( $P=2\%$ ) ნიშნავს, რომ ამ უზრუნველყოფის საანგარიშო ხარჯი არ იქნება გადამეტებული საშუალოდ ერთხელ 50 წელიწადში (და არა ყოველ 50 წელს).

საანგარიშო უზრუნველყოფის დადგენა დამოკიდებულია ნაგებობების სიმტკიცეზე, კატეგორიებზე, ფინანსურ დანახარჯებზე, ნაგებობის სიდიდეზე, შესაძლო ავარიის შემთხვევაში ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ზიანზე, მსხვერპლის რაოდენობაზე და ა.შ.

ჰიდროტექნიკური ნაგებობების საანგარიშო უზრუნველყოფის განსაზღვრისათვის სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული კრიტერიუმები მოქმედებს (ცხრ. 1). ზოგიერთ ქვეყანას ეს კრიტერიუმები საერთოდ არა აქვს. რაც შეეხება მილსადენების მიერ მდინარეთა ხეობების გადაკვეთის დროს საანგარიშო უზრუნველყოფის განსაზღვრას, მისი ცალკე საანგარიშო კრიტერიუმი არ არსებობს, ამას თვით მშენებელი კომპანია წყვეტს, ტერიტორიის მფლობელ ქვეყანაში მოქმედი ჰიდროტექნიკური ნაგებობების საანგარიშო ხარჯის განსაზღვრის კრიტერიუმის მიხედვით. მსოფლიოში გავრცელებული მიდგომის შესაბამისად, ეს კრიტერიუმები განსაკუთრებით მკაცრდება მთიან ქვეყნებში და მთის მდინარეებზე.

საანგარიშო უზრუნველყოფები სხვადასხვა ქვეყანაში

ცხრილი 1

№	ქვეყანა	კატეგორიები და საანგარიშო უზრუნველყოფები, %			
		I	II	III	IV
1	ბულგარეთი, ყოფილი სსრკ	0,001	0,1	0,5	1
2	ინგლისი	მშხ	0,001	0,1	0.65
3	ავსტრია	0,02	0,05	0,1	0,2
4	პოლონეთი	0,02	0,1	1	3,3

შენიშვნა. მშხ - მაქსიმალურად შესაძლო ხარჯი

ზოგიერთ ქვეყანაში (ეგვიპტე, გერმანია, ინდოეთი, პორტუგალია, ბელგია) ნაგებობები კატეგორიებად არ არის დაყოფილი და საანგარიშო უზრუნველყოფა აღებულია 0.1%, ხოლო კანადაში – 0,001%.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაპროექტებისას BP-ის მიერ განსაზღვრულ იქნა, რომ საანგარიშოდ აღებულიყო 1% ხარჯი. ქართველ სპეციალისტებთან ინტენსიური კონსულტაციების შემდეგ ეს სიდიდე 0,5% განისაზღვრა. გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტიც, რომ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მდინარეთა გადაკვეთისას საანგარიშოდ აღებულია 1%, რამაც ზოგიერთი მდინარის გადაკვეთაზე (ჩოლაბაური, ყვირილა) მილის გაშიშვლება გამოიწვია. იმისათვის, რომ ასეთი შემთხვევები აღარ განმეორდეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე აიღეს 0,5%-იანი საანგარიშო ხარჯის უზრუნველყოფა. ზოგადად, რაც უფრო მცირეა უზრუნველყოფის ალბათობის სიდიდე, საიმედოობასთან ერთად იზრდება მშენებლობის პროცესში მატერიალური დანახარჯები.

ასევე რთულ ამოცანას წარმოადგენს მიღებული უზრუნველყოფის წყლის ხარჯის გაანგარიშება. გვაქვს ორი შემთხვევა: საკვლევ გადაკვეთაზე არსებობს დაკვირვებული მონაცემები და დაკვირვებული მასალა არ არსებობს. პირველ შემთხვევაში, მაქსიმალური ხარჯის გაანგარიშება დამოკიდებულია განაწილების ფუნქციის შერჩევაზე და მისი პარამეტრების შეფასების სიზუსტეზე, მეორე შემთხვევაში, ძირითადად გამოიყენება ემპირიული ფორმულები, რომელთაც სხვადასხვა საფუძველი აქვს და მათი გამოყენება ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით ხდება.

ცალკეულ ქვეყანაში განაწილების სხვადასხვა ფუნქციას იყენებენ. საერთაშორისო მითითებებში ჩამოთვლილი განაწილების ფუნქციებიდან რომელიმეს უპირატესობა არ აქვს მინიჭებული. საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ძირითადად იყენებდნენ სამპარამეტრიან განაწილებას და 80-იანი წლებიდან  $N_B$  ჯონსონის ( $N_B$ ) განაწილებას. სხვადასხვა განაწილების ფუნქციის გამოყენებით გამოთვლილი ხარჯები განსხვავებულ შედეგებს გვაძლევს.

უმრავლეს შემთხვევაში, ჰიდროლოგიაში გამოყენებული განაწილების ფუნქციის საზღვრები და კონკრეტული ფორმის მისაღებად მასში შემავალი შესაფასებელი სტატისტიკური პარამეტრების როლდენობა ურთიერთკავშირშია (ცხრ. 2).



განაწილების ფუნქციის საზღვრები და პარამეტრები

ცხრილი 2

განაწილების ფუნქცია	საზღვრები		Cs	E
	მაქს.	მინ.		
ნორმალური	-∞	∞	0	3
გუმბელი	-∞	∞	1.14	2.4 (+3)
გამა	0	∞	2 Cv	6 Cv <sup>2</sup>
ლოგნორმალური	0	∞	3Cv + Cv <sup>3</sup>	16Cv <sup>2</sup> + 15Cv <sup>4</sup> + 6Cv <sup>6</sup> + Cv <sup>8</sup>
ბინომური	a	∞	2Cv/1-a	3Cs <sup>2</sup> /2
შ. ჯონსონის	a	b	f(a, b, Cv)	f(a, b, Cv)

მათემატიკურ სტატისტიკაში დადგენილია, რომ განაწილების ფუნქციის ფორმას ძირითადად განსაზღვრავს პირველი ოთხი მომენტი და გასათვალისწინებელი მომენტების შემდგომი ზრდა მის ფორმაზე პრაქტიკულად აღარ მოქმედებს.

ჰიდროლოგიურ გაანგარიშებებში რეკომენდებულია გამოყენებულ იქნეს ისეთი განაწილების ფუნქციები, რომლებიც ვრცელდებიან 0-დან +∞-მდე და განისაზღვრებიან არა უმეტეს სამი პარამეტრით.

ასეთი რეკომენდაციები ემყარება იმ მოსაზრებებს, რომ ჩამონადენის პროცესში ზედა და ქვედა საზღვრების დადგენა თეორიულად შეუძლებელია. რადგან წყლის ხარჯის სიდიდე არ შეიძლება იყოს უარყოფითი, ხოლო მისი მინიმალური მნიშვნელობა თეორიულად ვერ განისაზღვრება, ქვედა საზღვარი ანუ მისი შესაძლო მინიმალური სიდიდე შეიძლება მივიჩნიოთ ნულის ტოლად. ასეთივე მსჯელობით წყლის ხარჯის უდიდესი მნიშვნელობის განსაზღვრა თეორიულად შეუძლებელია და ამიტომ ის შეიძლება უსასრულოდ ჩავთვალოთ.

ჰიდროლოგიაში სამპარამეტრიანი ფუნქციის გამოყენების უპირატესობა დაფუძნებულია იმ მოსაზრებაზე, რომ ექსცესის (მეოთხე მომენტის) შეფასება დიდ ცდომილებასთან არის დაკავშირებული ჰიდროლოგიური მონაცემების სიმცირის გამო. გარდა ამისა, სამი პარამეტრის მნიშვნელობის დამთხვევის შემთხვევაში სხვადასხვა განაწილების ფუნქციებს შორის პრაქტიკულად განსხვავება არ შეინიშნება. განაწილების ფუნქციების (რომელთა ექსცესები დიდად არ განსხვავდება) შედარებისას ეს მოსაზრება მართლდება, მაგრამ სხვა შემთხვევაში განაწილების ფუნქციებს შორის განსხვავებები მნიშვნელოვანია (ცხრ. 3).

რაც შეეხება ექსცესის შეფასების ცდომილებას, მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც შესწავლას და გათვალისწინებას (გარკვეული შესწორების სახით) საჭიროებს ისეთი განაწილების ფუნქციების გამოყენებისას, რომლისთვისაც ექსცესს არ ვაფასებთ, მაგრამ ფაქტიურად ექსცესის რაღაც მნიშვნელობას მაინც ვითვალისწინებთ (იმ მნიშვნელობას, რომელიც გამოყენებული განაწილების ფუნქციაში დევს).

განაწილების ფუნქციების მნიშვნელობები სხვადასხვა უზრუნველყოფის დროს

ცხრილი 3

პარამეტრი	განაწილების ფუნქციები	0,01%	0,1%	1%	<i>E</i>
$Cv = 0.38$	გუმბელი	3.56	2.88	2.19	2.4
	ლოგნორმალური	3.67	2.97	2.20	2.68
$Cs = 1.14$	სამპარამეტრიანი გამა	3.61	2.98	2.19	
$Cs = 3Cv$	ბინომური	3.38	2.79	2.17	1.95

საინჟინერო ობიექტებისა და კონსტრუქციების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია შეიძინეს შესაბამისი განაწილების მრუდი, რომელიც ყველაზე მისაღებია.

**დასკვნა**

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ მილსადენების ფუნქციონირების როლის ზრდასთან ერთად იზრდება გარემოზე ზემოქმედების რისკი. ამასთან, სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს სხვადასხვანაირი მიდგომა მდინარეთა გადაკვეთებზე მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშების დროს, ამიტომ საჭიროა შემუშავდეს ერთიანი საერთაშორისო ნორმატიული აქტი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს უფრო საიმედო და ერთიანი მეთოდით გადაწყდეს ეს საკითხი. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, ვინაიდან იგეგმება სხვადასხვა კომუნიკაციის მშენებლობა.

ერთი-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რაც ამ დროს უნდა გავითვალისწინოთ არის ის, რომ მილსადენები ერთიანი (მთლიანი) სისტემაა, რომელიც გადის სხვადასხვა ქვეყანაში, კვეთს უამრავ მდინარეს და ხევს და მათმა (ცალკეული უბნების) დაზიანებამ შეიძლება მთელი სისტემა გამოიყვანოს მწყობრიდან.

**ლიტერატურა**

1. ც. მირცხულავა. რისკი. თბილისი, 1998.
2. Крицкий С.Н., Менкель М.Ф. Гидрологические основы управления речным стоком. М.: Наука, 1981, с.255.
3. Сванидзе Г. Г., Григолия Г. Л. Применение распределения Джонсона для расчета речного стока //Водные ресурсы, № 6 , 1974, с.45-59.
4. Международное руководство по методам расчета основных гидрологических характеристик. Л.: Гидрометеиздат, 1984.
5. Casebook of methods for computing hydrological parameters for water projects. Paris, UNESCO, 1987.

## დაკავშლ-დეფორმირებული მდგომარეობის შეფასება უკუბაზნევის მეთოდით

**Key words:** Fiber-optical, transmitter, backdispersion method, reflectometer, reflectogram, stained-deformed state.

**Abstract:** Estimation of strained-deformed state by backdispersion.

Complicated transient processes taking place in constructions caused by the dynamic influence are investigated using fiber-optical lightcarrier backdispersion method.

The optical radiation backdispersion put in to the lightcarrier is measured by means of reflectometer. The reflectogram recorded in the reflectometer is a backdispersion curved along the fiber-optical lighthcarrier caused by various reasons.

### შესავალი



**ჯემალ ბახტაძე,**  
ტექ. მეცნ. დოქტორი, საინ-  
ჟინრო აკადემიის აკადემიკო-  
სი, სტუ-ს კონსტრუქციების  
ტექნიკური დიაგნოსტიკის  
კათედრის გამგე

კონსტრუქციებში მიმდინარე რთული გარდამავალი პროცესები, რომლებიც გამოწვეულია დინამიკური ზემოქმედებით, განხილული უნდა იქნეს არა ფრაგმენტულად, არამედ კომპლექსურად მათი ექსპლუატაციის დროს, რაც მოითხოვს სამეცნიერო კვლევის ახალ მიდგომას, რომელსაც საფუძვლად უდევს მათემატიკური მოდელირების და ეგმ-ზე რიცხვითი ექსპერიმენტების ჩატარების პრაქტიკა.



**ელინა ქრისტესიაშვილი,**  
ტ.მ.კ., №122 კათედრის  
ასოცირებული  
პროფესორი

### ძირითადი ნაწილი




**თეა ნარეკლიშვილი,**  
საშენი მასალების და  
ნაკეთობების, №91 კათედრის  
ასისტენტ პროფესორი


ოპტიკური შუქსატარებით გაზომვების ჩატარებისას იზომება შუქსატარში შეყვანილი ოპტიკური გამოსხივების უკუგაბნევა რეფლექტომეტრის მეშვეობით, რომლის სქემა მოცემულია 1-ელ ნახ-ზე.

გაზომვების ჩატარებისას შუქსატარში შეჰყავთ დიდი სიმძლავრის ლაზერის იმპულსი. უკან გაბნეული სინათლე ფიქსირდება მგრძნობიარე ფოტომომლებზე.

შუქსატარის მიერ ჩაწერილი რეფლექტოგრამა წარმოადგენს უკან გაბნევის მრუდს ბოჭკოვან-ოპტიკური შუქსატარის მთელ სიგრძეზე, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით.



ნახ. 1. ოპტიკური დიაგნოზის მქონე რეფლექტომეტრის სტრუქტურული სქემა



ნახ. 2. შუქსატარში უკუგაბნევის მრუდი

მრუდის ნორმალურ სვლას ოპტიკურ შუქსატარში წარმოადგენს მდოვრე მრუდი – 1; დამახინჯება 2 წარმოადგენს ჩაქრობის ნახტომს, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნეს მექანიკური ძაბვებით; სიგნალი 3 აღიძვრება შუქსატარის ბოლოდან.

როგორც ცნობილია, სიგნალების სიმძლავრის შემცირება, რომლებიც შუქსატარში ვრცელდება  $Z$  კოორდინატის გასწვრივ, გამოისახება განტოლებით:

$$\frac{P'(z)}{P(z)} = -\alpha_0(z), \quad (1)$$

სადაც  $P'(z) = \frac{dP(z)}{dz}$ , ხოლო  $\alpha_0(z)$  მიღების კოეფიციენტია.

სიმძლავრის კოორდინატზე დამოკიდებულება შემდეგი განტოლებით გამოისახება:

$$P(z) = P_0 e^{-\alpha(z)z}, \quad (2)$$

სადაც  $P_0$  სიგნალების სიმძლავრეა ოპტიკური ბოჭკოს შესასვლელზე.

სინათლის დანაკარგები ოპტიკურ ბოჭკოში სინათლის იმპულსური სიგნალის უკუგაბნევის დროს:

$$\alpha(z) = \frac{1}{z} \int_0^z \alpha_0(z) dz. \quad (3)$$

ეს გაბნევა, როგორც წესი, ემორჩილება რელეის კანონს.

გაბნეული სინათლის სიმძლავრე, რომელიც ბოჭკოს შემავალ ტორსში გადის, განისაზღვრება, როგორც მანძილის ფუნქცია:

$$P(z) = KSP_0 e^{-2\alpha(z)z}, \quad (4)$$

სადაც  $K$  მუდმივაა, ხოლო  $S$  -ობტიკურ ბოჭკოში უკუგაბნევის კოეფიციენტი. ასეთ შემთხვევაში დანაკარგების მაჩვენებელი

$$\alpha(z) = \frac{1}{2z} \int_0^z [\alpha'_0(z) + \alpha''_0(z)] \alpha_z, \quad (5)$$

სადაც  $\alpha'_0(z)$  და  $\alpha''_0(z)$  დანაკარგების კოეფიციენტებია პირდაპირი და უკუმიმართულებით, რომლებიც შეიძლება მიახლოებით ტოლად ჩაითვალოს.

მრავალმოდინანი ობტიკური ბოჭკოსათვის (გულარის დიდი დიამეტრით) სინათლე გაიბნევა იზოტროპულად მთელ გარემომცველ სივრცეში და  $S$  კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით:

$$S = \frac{\alpha_s (NA)^2}{4n_1^2}, \quad (6)$$

სადაც  $\alpha_s$  სინათლის გაბნევის კოეფიციენტია, ხოლო  $NA = \sqrt{n_1^2 - n_2^2}$  - ობტიკური ბოჭკოს რიცხვობრივი აპერტურა.

ერთმოდინანი ობტიკური ბოჭკოსათვის

$$S = \frac{3}{2} \alpha_s \left( \frac{NAa}{W_0 n_1} \right)^2, \quad (7)$$

სადაც  $a$  რადიუსია,  $W_0$  - პარამეტრი, რომელიც განსაზღვრავს ძირითადი მოდის განაწილებას განივი მიმართულებით.

თუ გამოვიყენებთ აპროქსიმაციას შუქსატარისათვის, რომელსაც გარდატეხის საფეხუროვანი ცვლილების მაჩვენებელი აქვს:  $\frac{W_0}{a} = 0,65 + 1,619\nu^{-\frac{3}{2}} + 2,879\nu^{-6}$ , მაშინ შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ  $1,5 < \nu < 2,4$  დიაპაზონში

$$0,21 \frac{n_1^2 - n_2^2}{n_1^2} \leq \frac{S}{\alpha_s} \leq 0,24 \frac{n_1^2 - n_2^2}{n_1^2}. \quad (8)$$

დანაკარგების განსაზღვრისათვის, ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია ვისარგებლოთ ფორმულით:

$$\alpha(z) = \frac{1}{2z} \log \frac{KSP_0}{P(z)}, \quad (9)$$

სადაც  $P$  და  $P(z)$  ობტიკური ბოჭკოს შესასვლელზე  $Z$  კოორდინატიდან არეკლილი სიმძლავრეებია.

თუ დანაკარგები  $\Delta Z$  სიგრძის მონაკვეთზე მუდმივაა, მაშინ

$$2(z_1 + \Delta z)\alpha(z_1) = 10 \log \frac{KSP_0}{P(z_1 + \Delta z)},$$

საიდანაც

$$\alpha(z_1) = \frac{5}{\Delta z} \log \frac{P(z_1)}{P(z_1 + \Delta z)}. \quad (10)$$

როცა  $\Delta z \rightarrow 0$ , მაშინ

$$\alpha(z_1) = \frac{5P'(z_1)}{P(z_1)}. \quad (11)$$

Z საკვლევი ოპტიკური ბოჭკოს კოორდინატის და დროის მომენტის დანაკარგებით მივიღებთ:

$$P(t) = KSP_0 e^{-\alpha(t)\nu t}, \quad (12)$$

სადაც  $\nu$  ოპტიკურ ბოჭკოში სიგნალების გავრცელების სიჩქარეა.


ნაკეცი ფუნქცია  $f(x)$  და  $g(x)$  ორი ფუნქციის  $(a, b)$  ინტერვალზე

$$\Psi(t) = \int_a^b f(t-z)g(x)\alpha x = \int_a^b f(x)g(t-x)\alpha x. \quad (13)$$

თუ უკუმიმართულებით გაბნეული სინათლის სიმძლავრეს მიღევის ნახტომამდე  $P_2$ -ით აღვნიშნავთ, ხოლო ნახტომის შემდეგ  $P_1$ -ით და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სიგნალი ორჯერ გაივლის დეფექტის ადგილს, მივიღებთ მიღევის გამოსახულებას  $A = 5 \log \frac{P_2}{P_1}$ . ამასთან,

$P_2$  და  $P_1$  სიმძლავრეები უნდა გაიზომოს არაერთგვაროვანი უბნებისაგან დაშორებით. სიგნალის მიღევის გამოსათვლელად ვიყენებთ შემდეგ ფორმულას:

$$A = 5 \left[ \log \frac{P_2}{P_1} - \left( \frac{z_1 - z}{z_4 - z_1} \log \frac{P_1}{P_4} - \frac{z_2 - z}{z_2 - z_3} \log \frac{P_3}{P_2} \right) \right]. \quad (14)$$



ნახ. 3. უკუმიმართულებით გაბნეული სინათლის სიმძლავრეები  
 გაბნეული სინათლის სიმძლავრე

$$P_T(t) = KP_0 t_{\text{მოგ}} \alpha_S \nu \left( \frac{NA}{2n} \right)^2 e^{-\alpha_0 \nu t}. \quad (15)$$

თუ  $K = 1$ ,  $NA = 2$ ,  $n = 1,5$ ,  $\alpha_S = 4$  დბ/კმ და  $t_{\text{მოგ}}$ -ს გამოვსახავთ ნანოწამით, მაშინ

$$P_T(t) = 0,9 \cdot 10^{-6} P_0 t_{\text{მოგ}} e^{-\alpha_0 \nu t}. \quad (16)$$

ფორმულიდან ჩანს, რომ გაბნეული სიგნალის სიმძლავრე წერტილში ( $t_0$ ) ექვსი ხარისხით მცირეა, ვიდრე გამოსხივებული სიგნალის სიმძლავრე.

რეფლექტოგრაფიის მეშვეობით სინათლის სიმძლავრის მიღების ნახტომების განსაზღვრის გარდა, შეიძლება იდენტიფიცირდეს სხვა არაერთგვაროვნებებიც. არეკლილი სიგნალების დისკრეტული ნახტომები განსაზღვრავს არეკლადი უბნების ადგილებს, დიდი ამოცდებები კი – ოპტიკური ბოჭკოს შესაძლო გაწყვეტას.

რეფლექტოგრაფიით შეგვიძლია განვსაზღვროთ ასევე შუქსატარის უკუგაბნევის მუდმივა  $S$ . გაზომვის მეთოდი განიხილავს სინათლის არეკვლას ბოჭკოვან-ოპტიკური შუქსატარის ბოლოში. სინათლის სიმძლავრე, რომელიც არეკლილია შუქსატარის ბოლოდან, იზომება:  $P_{\text{ბოლო}} = K\Gamma P_0 P_0 e^{-2\alpha z_s}$ , სადაც  $\Gamma$  არეკვლის კოეფიციენტია.  $P_S = KP_0 S \Delta z e^{-2\alpha z_s}$ , სადაც  $\Delta z = vt_{\text{მომ}}$ .

$S$  პარამეტრი განისაზღვრება  $\frac{P_S}{P_0}$  ფარდობით

$$S = \frac{\Gamma}{\Delta z} \cdot \frac{P_{\text{ბოლო}}}{P_{\text{უკუ}}} e^{-2\alpha(z_s - z_0)}. \quad (17)$$

გაზომვის სიზუსტე იზრდება, თუ ოპტიკური შუქსატარის ორივე ბოლოსთან შესაძლებელია მიდგომა. მაგალითად, არეკლილი სიგნალების სიმძლავრეები როგორც  $P$  პირდაპირი, ისე  $P$  უკუმიმართულებით გამოითვლება ფორმულებით:

$$P_{\text{პირ}}(z) = K_0 \Gamma(z) S(z) \exp \left[ -2 \int_0^z \alpha_0(z) \alpha z \right], \quad (18)$$


$$P_{\text{უკუ}}(z) = K_0 \Gamma(z) S(z) \exp \left[ -2 \int_0^z \alpha_0(z) \alpha z \right],$$

სადაც  $K_0$  მუდმივი სიდიდეა.

სიგნალის მიღება

$$\sqrt{P_{\text{პირ}}(z) P_{\text{უკუ}}(z)} = \text{const} \Gamma(z) S(z). \quad (19)$$

ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის მონაცემები, რომლებიც 500-მეტრიან ოპტიკური ბოჭკოს ხაზისთვის არის მიღებული, მოცემულია ნახაზზე.




ნახ. 4. ექსპერიმენტული კვლევის მონაცემები

1 – საკვლევი ტრაქტის არაერთგვაროვნება;  $P_{\text{პირ}}$  და  $P_{\text{უკუ}}$  – პირდაპირი და უკუმიმართულებით არეკლილი სიგნალების სიმძლავრეები, 2 – გაბნეული სიგნალის სიმძლავრის მიღება

ოპტიკური რეფლექტომეტრის გამოყენება შესაძლებელია აგრეთვე ოპტიკური ბოჭკოს გულარის სიმძლავრის გასაზომად

$$P(z) = \frac{KSP_0 e^{-2\alpha_0 z} a_0^2}{a^2(z)}, \quad (20)$$

სადაც  $a(z)$  გულარის დიამეტრია  $Z$  კოორდინატით.



ნახ. 5. ოპტიკური ბოჭკოს ხაზი

ოპტიკური ბოჭკოს გარსში მთელი რიგი მოდების მიღვეით. მე-5, დ ნახ-ზე კი ნაჩვენებია  $a(Z)$  ფუნქცია, რომლითაც შესაძლებელია ოპტიკური ბოჭკოს გულარის დიამეტრის განსაზღვრა.

### დასკვნა

დამუშავებულია უკუგაბნევის მეთოდი ბოჭკოვან-ოპტიკური შუქსატარების გამოყენებით, რომელიც საშუალებას იძლევა შევაფასოთ კონსტრუქციების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა.

### ლიტერატურა

1. ჯ. ბახტაძე. განზოგადებული ფორმულა სინათლის განაწილების საანგარიშო - ფოტომეტრული მეთოდით დეფორმაციის გაზომვისას // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, № 3. თბილისი, 1983.
2. Бахтадзе Дж. Волоконная оптика при исследовании деформации. Монография. Тбилиси: Сабчота Сакартвело, 1990.
3. Голубков В.С., Евтихийев Н.Н., Популовский В.Ф. Интегральная оптика в информационной технике. М.: Энергоиздат, 1985.
4. D. Schicketanz. Theorie der Rückstreuung bei Clafasern Siemens Forsch – u Entwickl. Ber. Bd 9(1984). Nr. 4.



## ПРИЧИНЫ И УСЛОВИЯ ВОЗНИКНОВЕНИЯ РЕЗКИХ КОЛЕБАНИЙ ДАВЛЕНИЯ В НАПОРНЫХ ГИДРОТРАНСПОРТНЫХ СИСТЕМАХ, РЕКОМЕНДАЦИИ ДЛЯ ИХ УСТРАНЕНИЯ

**Key words:** Main pipeline, centrifugal pumps, hydraulic shock, pressure, nonstationary processes, transient processes.

**Abstract:** On reasons and conditions of the appearance of sharp pressure fluctuations of in the hydraulic pressure systems, recommendations for their elimination.

Reasons and conditions of the appearance of sharp pressure fluctuations are examined during the transient and nonstationary processes in the hydraulic conveying pressure systems, which transport solid bulk materials when at hydraulic mixtures are supplied different diagrams by means of the individually or series-connected centrifugal ground pumps and coal pumps; on the basis of their analysis some recommendations are given for prevention the oscillations in the significant limits or flow of processes under the specific conditions smoothly as far as possible, with coal pumps change and the speeds pressure within the permissible limits.

### Введение



Л.И.Махарадзе,  
действительный член  
Международной акаде-  
мии минеральных  
ресурсов и Инженерной  
академии Грузии, д.т.н.,  
проф.

По сравнению с напорными гидравлическими системами, подающими однофазные жидкости, в напорных гидротранспортных системах, транспортирующих твердые сыпучие материалы, из-за специфики эксплуатации, несравнимо часто имеет место возникновение резких колебаний давления при переходных и нестационарных процессах. Нередко при указанных процессах амплитуда и частота изменения давления достигают опасных величин, которые могут вывести из строя насосы, трубопроводы, трубопроводную арматуру и другое оборудование. Естественно, все это отрицательно влияет на надежность и технико-экономические показатели аналогичных систем [1, 2].

Исходя из этого, с целью разработки рекомендаций по предотвращению резких колебаний давления для конкретного случая, с учетом развития указанных неустановившихся процессов, определение причин и условий возникновения переходных (рис.1) и нестационарных (рис.2) процессов в напорных гидротранспортных системах, при которых возникают резкие колебания давлений, является важнейшей динамической (в нашем случае гидродинамической) задачей для системы при ее переходе из одного установившегося состояния в другое под действием приложенного возмущения, например, при включении и выключении насосов, при открытии и закрытии запорно-регулирующей арматуры, резком увеличении или уменьшении плотности гидросмеси (концентрации твердых частиц в потоке гидросмеси и его гранулометрического состава и т.д. (см.рис.1)).

ПРИЧИНЫ И УСЛОВИЯ ВОЗНИКНОВЕНИЯ ПЕРЕХОДНЫХ ПРОЦЕССОВ  
 В НАПОРНЫХ ГИДРОТРАНСПОРТНЫХ СИСТЕМАХ



Рис.1.



Рис.2

## Основная часть

В линейных непрерывных динамических системах переходный процесс может продолжаться бесконечно долго. Напорные гидротранспортные системы являются нелинейными системами. Примем, что в этих системах возникновение переходного процесса (режима) начинается с того момента, когда значение давления становится на 5% больше его же значения при установившемся процессе. Такая оценка совершенно правомерна, так как более отрицательно влияет амплитуда давления, а не частота его колебания.

По тому же понятию, нестационарный процесс – нестационарное движение жидкости или газа по трубопроводу, характеризуемое переменностью во времени полей давления и скорости, например: турбулентное течение гидросмеси; процессы, возбуждаемые ударной волной, обусловленной приложением различных возмущений и т.д. В таком случае, как и в предыдущем, нестационарный процесс представляет опасность, если значение давления на 5% и больше превысит его значение при установившемся процессе.

Принятые выше допущения для характеристики переходных и нестационарных процессов являются условными, в основном, для различия этих явлений от установившихся процессов (режимов), так как увеличение значения давления всего на 5% относительно его же значения при установившемся процессе не представляет для трубопроводов особой опасности, так как известно, что трубопроводы напорных гидравлических систем рассчитываются на прочность с 25%-ным запасом, т.е.  $P_{раз.}=1,25 P_0$  (где  $P_{раз.}$  - давление на разрыв, Па;  $P_0$ - давление в трубопроводе при установившемся процессе в нормальном режиме эксплуатации, Па).

Здесь же необходимо отметить, что в напорных гидротранспортных системах установившиеся процессы, по классическому понятию, практически не имеются, так как изменения скорости и давления в 5%-ом пределе практически в подавляющем случае происходят из-за постоянного изменения в какой-то степени концентрации гидросмеси (объемное содержание твердых частиц в гидросмеси) и гранулометрического состава твердой фракции (п.1 и 2 на рис.1). Это ясно видно из рис.3 и 4.

На рис.3 дается осциллограмма характера изменения скорости (расхода) в нагнетательном трубопроводе с внутренним диаметром 700 мм землесосного снаряда, добывающего речной песок из русла реки, средний диаметр добываемого и транспортируемого по трубопроводу песка  $d_{cp}=3,0$  мм.

Из рис.3. видно, что скорость (расход) потока гидросмеси в трубопроводе, даже в зоне установившегося режима, изменяется в значительном диапазоне (от – 24 до + 36%) относительно ее среднего значения при установившемся режиме, которое в данном случае  $v_{cp}= 2,5$  м/с. Это объясняется тем, что при всасывании гидросмеси из искусственно сформированного приемного зумпфа в русле реки постоянно меняются как концентрация твердых частиц в потоке гидросмеси, так и их гранулометрический состав. По характеру изменения скорости, даже в зоне установившегося режима, нельзя гидродинамический процесс в трубопроводе назвать установившимся – стационарным. Более правильно было бы его назвать квазистационарным.




Рис. 3. Характер изменения скорости (расхода) гидросмеси в трубопроводе с внутренним диаметром землесосного снаряда  $D=700$  мм, добывающего песок, со средним диаметром  $d_{cp}=3,0$  мм из русла реки

С целью изучения влияния изменения плотности (концентрации) гидросмеси на режим гидротранспортной системы, нами проведены специальные исследования на той же гидротранспортной системе.

На рис.4 дается характер изменения плотности (концентрации) гидросмеси в нагнетательном трубопроводе с внутренним диаметром  $D=700$  мм. Варьированием положения всасывающей трубы и ее наконечника в искусственно сформированном приемном зумпфе производили постепенное наращивание плотности (концентрации) гидросмеси до ее значения  $\rho_{см.маx}=1465$  кг/м<sup>3</sup>, которое в данном случае оказалось предельным. При таком значении плотности произошел срыв вакуума во всасывающей трубе и разрыв сплошности потока. В результате вынуждены были промыть трубопровод и остановить систему, так как в данном случае была такая возможность.




Рис. 4. Характер изменения плотности (концентрации) гидросмеси в нагнетательном трубопроводе с внутренним диаметром землесосного снаряда  $D=700$  мм (изменение плотности осуществлялось посредством положения всасывающей трубы и ее наконечника)

Вышесказанное подтверждается также графическим материалом, приведенным на рис.5. На этом рисунке показан характер изменения расхода гидросмеси ( $Q_{см}$ ) в зависимости от расходной плотности гидросмеси ( $\rho_{расх.}$ ) в трубопроводе с внутренним диаметром полупромышленной экспериментальной установки  $D=68$ . Во время экспериментов в качестве твердого сыпучего материала использовался речной песок. Кривые 1-3, 10, 11 соответствуют случаю, когда средний диаметр твердых частиц, транспортируемых по трубопроводу потоком воды, составлял  $d_{ср}=1,5$  мм, а кривые 4-9 – случаю, когда средний диаметр твердых частиц составлял  $d_{ср}=2,8$  мм. Из этого рисунка видно, что на характер изменения расхода (скорости) в значительной степени влияет гранулометрический состав твердого сыпучего материала. С увеличением среднего диаметра твердых частиц увеличивается степень нестационарности потока гидросмеси [4].

Колебаниями давления в значительных пределах характеризуются запуск и остановка центробежных насосов (п.3 на рис.1), нарушение работы головного (ГН) или промежуточных (ПН) насосов (п.4 на рис.1), их повторное включение за короткий промежуток времени после их аварийной остановки (п.5 на рис.1). Об этих процессах подробно изложено в наших ранее опубликованных монографиях и научных трудах [1, 5].

Отметим одно: на нагнетательных трубопроводах ГН гидротранспортных систем, как правило, всегда устанавливается обратный клапан, при открытии и закрытии которого, в случае, когда нет возможности промывки трубопроводов (такая возможность имеется только лишь на объектах гидромеханизации) и значительно изменяется геометрическая высота подачи, всегда происходит изменение давления в значительных пределах. Это хорошо видно

из осциллограмм, приведенных на рис.6. Они записаны на трубопроводе с внутренним диаметром  $D=1000$  мм при запуске и остановке насоса 20ГР-8Т. Из этого рисунка видно, что, даже при запуске насоса и неравномерном открытии обратного клапана (п.8 на рис.1), происходят резкие колебания давления, когда его амплитуда в два раза превышает его же значение при установившемся режиме (кривая 1). При остановке насоса и закрытии обратного клапана, превышение давления над давлением установившегося режима еще более ощутимое, увеличивается и частота колебаний (кривые 2 и 3). При записи осциллограммы 2 у обратного клапана произошел отрыв потока (нарушение сплошности потока) и возникновение гидравлического удара при соударении обратного потока с закрытым запорным органом (тарелкой) обратного клапана. В таком случае естественно превышение давления более значительное.




Рис. 5. Характер изменения расхода (скорости) гидросмеси в зависимости от расходной плотности гидросмеси в трубопроводе с внутренним диаметром  $D=68$  мм: 1 – 3, 10, 11 – при транспортировании речного песка со средним диаметром  $d_{ср}=1,5$  мм; 4 – 9 – при транспортировании речного песка со средним диаметром  $d_{ср}=2,8$  мм

Осциллограммы, приведенные на рис.6, записаны при индивидуальной работе насоса 20ГР-8Т, т.е. гидросмесь до места назначения подавалась посредством одного насоса.





Рис. 6. Осциллограммы переходных процессов запуска (кривая 1) и остановки (кривые 2 и 3) центробежного грунтового насоса 20ГР-8Т (по трубопроводу с внутренним диаметром  $D=1000$  мм транспортировались «хвосты» обогащения железной руды со средним диаметром  $d_{cp}=0,28$  мм)

Еще более остро протекают переходные процессы в гидротранспортных системах, работающих с последовательно включенными насосами по схеме «насос в насос». Подтверждением этого являются осциллограммы, приведенные на рис.7. На этом рисунке осциллограмма 2 записана в трубопроводе с внутренним диаметром  $D=400$  мм при запуске головного насоса (углесоса) 12У10, а осциллограмма 1-на нагнетательном трубопроводе второго промежуточного (последовательно включенного) углесоса той же марки. Такие процессы нами исследованы в широком масштабе как на полупромышленных лабораторных установках, так и на крупных промышленных системах. Результаты этих исследований изложены в наших ранее опубликованных научных трудах и монографиях [1, 2, 6].





რის.7. ოსცილოგრამები პერეოდულ პროცესებს ტრუბოპროვდე გიდროტრანსპორტულ სისტემის სუტრენულ დიამეტრს  $D=400$  მმ პრის პოსედოვალურს რაბოტეს უგლესოს 12У10 პო სხემე «ნასოს ვ ნასოს»: 1 – პრის ჯაუსკეს ვტორის პრეჟუტოვალის ნასოს; 2 – პრის ჯაუსკეს გოლვოს უგლესოს, რაბოტაუბო ს ოტრისატელის ვსასვალის – ს პოდპორს (პო ტრუბოპროვდე ტრანსპორტირვალოს ცემენტოს სრესე პლოტნოსტუ  $\rho_{\text{см}}=1650$  კგ/მ<sup>3</sup>)

დრე პრედოტვრატენი რეკის კოლესბანის დრე პერეოდულ პროცესის (რეჟიმის) – ნედოპუბენი პრევებენი ამპლიტუდის, ვ ზნაჩისტელის სტეპენის ნად დრე პრესიეს უსტანოვივბესოვს რეჟიმის, ნეობხოდის ოსუბშესტენი მეროპრისატის, ცელესობრატნოსტის კოტორის სლედუბე ობრედენი ვ ზნაჩისტელის ვოზნიკნოვენის ვ რავისტის ესის პროცესოს.

ჴდეს ჯე ნეობხოდის ობრედენი, კო დის სპოსობ ისი ობო უსტრისტოვო, კაკიმ ბო ონო ნე ბოლო, ნე მოკეტ ობესუბენი პოლნოუ გარანტის ნადეჟნის ჯაუსტის ოტ რეკის კოლესბანის დრე პრესიეს, ტაკ კაკ ვო ვრემე ეკსპლუატის ნაპორის გიდროტრანსპორტის სისტემის პერეოდულ რეჟიმის მოკეტ ვოზნიკნოვბე პო ნესკოლკის პრისაინის. ესტესტენის, რავნის ბუდუბე ის პროცესის რავისტის.

### ზაკლუბენი

ანალიზირუბე პრისაინის ვ სლესიას ვოზნიკნოვენის პერეოდულ პროცესოს ვ ნაპორის გიდროტრანსპორტის სისტემის, ს ცელის პრედოტვრატენი რეკის კოლესბანის დრე პრესიეს, მოკეტ რეკომენდოვბე სლედუბე მეროპრისატის:

ა) პრის პრისაინის ვ სლესიას 1 ვ 2 (რის.1) ნეობხოდის ოსუბშესტენი რეგულირვობენი პლოტნოსტის (კონცენტრის) გიდროსმისის, დრე კო, ვ ობრავატელის პორდკეს, სლედუბე ოსუბშესტენი კონტროლს ჴე ესის პარამეტრის. ს ესის ცელის, ნეობხოდის ოსნატენი ვსასვალის ტრუბის გიდ-

ротранспортных систем плотномером. На объектах гидромеханизации (когда землесосными установками и землесосными снарядами твердые материалы добываются из искусственных приемных зумпфов, или русла реки, со дна моря и океана) изменение указанного параметра возможно варьированием положения всасывающей трубы и ее наконечника. На гидротранспортных системах технологического назначения регулирование плотности следует осуществить добавлением жидкости (воды) из специально сооруженных для этой цели объемов. Для регулирования неоднородности (гранулометрического состава) гидросмеси каких-нибудь эффективных способов и средств до настоящего времени практически не существуют.

ბ) Для обеспечения минимального превышения давления над давлением установившихся процессов, возникших при причинах и условиях 3 и 4 (рис.1), необходимо осуществление мероприятий, рекомендованных нами в результате многолетних исследований на лабораторных полупромышленных установках и крупных промышленных гидротранспортных системах, функционирующих в разных отраслях промышленности [1, 2, 5, 6].

ვ) Причины и условия по пунктам 5 и 6 (рис.1) - непредвиденные, т.е. незапланированные по технологии гидротранспортирования твердых сыпучих материалов. Поэтому, естественно, не существует каких-нибудь мероприятий, которые могли бы эффективно осуществить. Для предотвращения резких повышений давления в таких случаях на гидротранспортных системах следует предусмотреть средства защиты от гидравлических ударов [1, 2, 10].

გ) Предотвратить возникновение резких колебаний давления по причинам и условиям, указанным в пунктах 7 и 8 (рис.1), можно применением запорно-регулирующей арматуры, снабженной специальными устройствами (демпферными приспособлениями) для плавного закрытия и открытия, которые полностью могут предотвратить возникновение каких-нибудь нежелательных последствий [1, 2, 5, 6].

Еще более сложной научно-практической проблемой является разработка рекомендаций для предотвращения возникновения нестационарных процессов в напорных гидротранспортных системах, так как все причины и условия (см.рис.2) являются случайными, заранее непредвиденными, т.е. не связаны с операциями, предусмотренными технологией и управлением работой систем.

Исключением являются причины и условия по пункту 9 (рис.2), когда, с целью предотвращения резких колебаний давления, целесообразно осуществление рекомендаций, указанных в пункте а).

Все остальные причины, указанные в пунктах 1-8, 10 и 11, являются условиями возникновения в системах гидравлических ударов. Несмотря на то что существует множество конструкций различных [9] уловителей; уловителей с дробильными устройствами; грунтозаборные устройства с интенсификацией грунтозабора; разрыхлители (фрезерные, роторноковшовые, скребковые, вибрационные, гидравлические) - все они невысокоэффективные, т.е. не могут полностью исключить возможности: перекрытия негабаритом всасывающей трубы и всасывающего наконечника (п.1, рис.2); пробкообразования в нагнетательном трубопроводе (п.2, рис.2); застревания негабаритных частиц твердого материала в межлопаточном пространстве центробежного насоса (п.4, рис.2). Особенно важно, что практически не существует реального мероприятия, которое могло бы полностью предотвратить возможность нарушения вакуума во всасывающей трубе, после чего происходят разрыв сплошности потока

и возникновение гидравлического удара соударением встречных потоков, при которых возникают наиболее значительные превышения давления над давлением установившегося процесса [1, 2, 5, 6, 10].

Как и в предыдущем случае, анализируя причины и условия возникновения нестационарных процессов в напорных гидротранспортных системах, с целью предотвращения возникновения резких колебаний давления, можно рекомендовать следующие мероприятия:

д) При застревании негабаритных частиц (или иных негабаритных предметов) твердого материала в межлопаточном пространстве центробежного насоса (п.4, рис.2), следует остановить систему по установленному для данной системы порядку, разобрать насос и изъять из него негабариты.

е) Для предотвращения частого изменения высоты подпора в приемном зумпфе при работе ГН с отрицательной высотой всасывания (п.5, рис.2), автоматически осуществить пополнение приемного зумпфа необходимым объемом жидкости из специально сооруженных объемов. Этим же мероприятием можно предотвратить захват большого количества воздуха из приемного подпорного зумпфа (п.8, рис.2), а также при неравномерной подаче гидросмеси от обогатительной фабрики в приемных подпорных зумпфах ГН, работающих с отрицательной высотой всасывания (п.9, рис.2).

ж) При изменении в значительной степени высоты в приемном зумпфе при работе ГН с положительной высотой всасывания (п.6, рис.2), срыв вакуума во всасывающей трубе и возникновение резких колебаний давления можно предотвратить регулированием положения всасывающей трубы и всасывающего наконечника землесосной установки в соответствии с показанием плотномера, т.е. высоты их положения под водой (преимущественно в случаях искусственных приемных зумпфов, русла реки, со дна моря и океана).

з) С целью предотвращения возникновения резких колебаний давления при нарушении включенных насосов, в многоступенчатых гидротранспортных системах, работающих по схеме «насос в насос» (п.7, рис.2), следует руководствоваться рекомендациями по пункту б).

и) При причинах и условиях по пунктам 1-3, 10, 11 нельзя предотвратить возникновение резких колебаний давления, поэтому с целью защиты гидротранспортных систем следует применить устройства для защиты аналогичных систем от гидравлических ударов [1, 2, 5, 6].

Как было сказано выше, а также в ранее опубликованных наших трудах [1, 2, 5, 6, 10], для полной гарантии обеспечения безопасной эксплуатации напорных гидротранспортных систем, необходимо осуществление комплекса мероприятий, в зависимости от конкретных условий эксплуатации, схемы подачи гидросмеси и ее гидродинамических параметров.

### Литერატურა

1. Махарадзе Л.И. Защита гидротранспортных систем от гидравлических ударов. М.: Стройиздат; Тбилиси: Мецниереба, 1996. - 150 с.
2. Махарадзе Л.И., Кирмелашвили Г.И. Гидравлический удар в трубопроводах при транспортировании многофазных гидросмесей. Тбилиси: Мецниереба, 1997. - 232 с.

**მეცნიერება** - **მაკრობრალური მიწსაღწევი** - **SCIENCE**

3. Махарадзе Л.И., Гочиташвили Т.Ш. К расчету прочности напорных трубопроводов гидротранспортных систем//Сообщения Академии наук Грузии, т.151, №3. Тбилиси, 1995, с.471-477.
4. Махарадзе Л.И., Геленидзе М.Н. Результаты экспериментальных исследований некоторых гидродинамических параметров напорных гидротранспортных систем// Труды Грузинского технического университета, №6 (439). Тбилиси, 2001, с.26-31.
5. Дмитриев Г.П., Махарадзе Л.И., Гочиташвили Т.Ш. Напорные гидротранспортные системы (справочное пособие). М.: Недра, 1991. - 304 с.
6. Махарадзе Л.И., Гочиташвили Т.Ш., Криль С.И., Смйловская Л.А. Трубопроводный гидротранспорт твердых сыпучих материалов. Тбилиси: Мецниереба, 2006. - 350 с.
7. Makharadze L., Iamanidze T. Analysis of Reasons and Conditions of Development of Non-Stationary Processes in Hydrotransport Pressure Systems. Bulletin of the Georgian Academy of Sciences. Volume 172, Number 2, September-October. Tbilisi, 2005. pp.209-211.
8. Махарадзе Л.И., Нинидзе Г.И., Стерякова С.И. Трубопроводы и трубопроводная арматура для систем гидротранспортирования твердых сыпучих материалов //Горный журнал, №2 (15). Тбилиси, 2005, с.36-42.
9. Шкундин Б.М. Землесосные снаряды. М.: Энергия, 1973. - 272 с.
10. Makharadze L., Khatiashvili K., Sulaberidze D., The generalized algorithm and computer realization of computing techniques of the antishock means. 13<sup>th</sup> International Conference on “Transport & Sedimentation Of Solid Particles. September 18-20, 2006. Tbilisi, Georgia, pp.187-194.

## კარკასულ კონსტრუქციებში ოპტიკური ბოჭკოს ლაბირინთული ფორმით დამაგრებით დაზიანების კერების დადგენის მათემატიკური უზრუნველყოფა

**Key words:** Damage, carcass constructions, breakese, fiber labirinth-like.

**Abstract:** Mathematical provision for Detecting the Site of Fault by Means of fixing the Labyrinth Spiral Coiling of Optical Fiber in Carcass Construction.

The problem of damage detection in the carcass construction with breakage of optical fiber fixed the carcass is solved. It is mathematically proved that the coordinates of optical fiber breakage on labyrinth-like coil can be easily determined with the help of a simple program. The proposed technical innovation allows to receive continuous information about the state of carcass construction in real time. i.e. to realize the monitoring of structural integrity of carcass construction.

### შესავალი



**ჯემალ ბახტაძე,**

ტექ. მეცნ. დოქტორი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, სტუ-ს კონსტრუქციების ტექნიკური დიაგნოსტიკის კათედრის გამგე

ცნობილია, რომ ოპტიკურ ძაფზე გარედან ყოველგვარი მექანიკური ან თერმული მოქმედება გვაძლევს მასში კანალიზირებული სინათლის პარამეტრების ცვალებადობას, რაც სასარგებლოდ შეიძლება გამოვიყენოთ [1,2,3,4,5].

დაზიანების კერების მოძებნის მეთოდი კარკასულ კონსტრუქციებში ოპტიკური ძაფის ლაბირინთული ფორმით დამაგრებაში მდგომარეობს შემადგენელი ღეროების შიგნით (რკინაბეტონის კარკასი) ან გარედან (ლითონის კარკასი), მიწისძვრის ან სხვა ექსტრემალურ სიტუაციაში კარკასის შემადგენელი ან ბზარის გაჩენის შემთხვევაში, ოპტიკური ძაფის ღეროებში და გადაწყვეტაში, რომლის კოორდინატების დადგენით პოულობენ დაზიანების ადგილს, მის მიმართულებას და სიღიღეს.



**ელინა ქრისტესიაშვილი,**  
ტ.მ.კ., №122 კათედრის ასოცირებული პროფესორი

ღეროების ღეროების დეფორმაციის ან ბზარის გაჩენის შემთხვევაში, ოპტიკური ძაფის ღეროებში და გადაწყვეტაში, რომლის კოორდინატების დადგენით პოულობენ დაზიანების ადგილს, მის მიმართულებას და სიღიღეს.



**ტ. ანჯაფარიძე**


№47 „კვებისა და სამაცივრო საწარმოთა მოწყობის“ კათედრის ასოც. პროფესორი

### ძირითადი ნაწილი

ამოცანა იმ წერტილის კოორდინატების დადგენაში მდგომარეობს, რომელიც  $l$  მანძილითაა დაშორებული ლაბირინთული ფორმის მქონე ოპტიკური ძაფის საწყისი წერტილიდან ( $l$  მანძილი გამოითვლება რეფლექტომეტრით).

ამოცანის დასმოდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს კარკასულ კონსტრუქციაში დამაგრებული ლაბირინთული ფორმის ოპტიკური ძაფის ნებისმიერი წერტილის კოორდინატები. მაშასადამე, რაღაც პირობების გათვალისწინებით, უნდა მოიძებნოს  $x, y, z$

სიღიღეები, რომლებიც შეესაბამება საძიებელი წერტილის კარკასსა და ფუნდამენტს.



ნახ.1

ამოცანის გადასაწყვეტად შესაძლებელია იგი პირობითად დავყოთ ორ ნაწილად: პირველი – ოპტიკური ბოჭკოს დაზიანების კერის კოორდინატები ფუნდამენტში და მეორე – დაზიანების კერების კოორდინატები კარკასში. პირველი ამოცანა ორგანზომილებიანია, მეორე – სივრცითი, სამგანზომილებიანი.

ფუნდამენტში ოპტიკური ბოჭკოს განლაგება და საკოორდინატო სისტემის შემოღება მოცემულია 1-ელ ნახ-ზე.

გამოვიყენოთ კოორდინატთა მეთოდი. შემოვიღოთ საკვანძო წერტილები. აღვნიშნოთ ისინი  $P_i(X_i, Y_i)$ -ით. საკვანძო წერტილებად ავიღოთ ის წერტილები, სადაც ფუნდამენტში შეერთებულია სვეტები. ფუნდამენტში წერტილების განლაგება ნაჩვენებია 1-ელ ნახ-ზე.

ნებისმიერ  $P_i(X_i, Y_i)$  და  $P_{i+1}(X_{i+1}, Y_{i+1})$  ორ საკვანძო წერტილს შორის მანძილი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:


$$\rho_i(P_i, P_{i+1}) = \sqrt{(X_{i+1} - X_i)^2 + (Y_{i+1} - Y_i)^2},$$

ხოლო ოპტიკური ბოჭკოს მთლიანი სიგრძე:

$$\rho = \sum_{i=1}^{n-1} \sqrt{(x_{i+1} - x_i)^2 + (y_{i+1} - y_i)^2}.$$

ვთქვათ, ბოჭკოს დაზიანება მოხდა ბოჭკოს დასაწყისიდან რაღაც  $l$  მანძილზე. საჭიროა დავადგინოთ, რომ კვანძებს შორის მოხდა დაზიანება და შემდეგ აღმოვაჩინოთ მასში ბოჭკოს დაზიანება. ჯერ დავადგინოთ, რომ კვანძებს შორის მოხდა დაზიანება; ამისათვის მოვიქცეთ შემდეგნაირად: გამოვთვალოთ პირველ და მეორე კვანძებს შორის  $\rho_1$  მანძილი და  $l$ -ს შევადაროთ. თუ  $\rho_1 < l$ , მაშინ  $l$  კვანძში ბოჭკოს დაზიანება არ მომხდარა; წინააღმდეგ შემთხვევაში დაზიანება სწორედ  $P_1$  და კვანძებს შორის მოხდა. დავუშვათ  $\rho_1 < l$ ; გამოვთვალოთ  $P_1$  და  $P_3$  კვანძებს შორის მანძილი,  $\rho_2$ . თუ  $\rho_1 + \rho_2 < l$ , მაშინ ოპტიკური ბოჭკოს დაზიანება მოხდა  $P_3$

კვანძს გარეთ. თუ პროცესს გავაგრძელებთ და განვიხილავთ  $P_{i-1}$  და  $P_i$  კვანძს შორის მანძილს,  $\rho_i + \rho_2 + \dots + \rho_1 < l$ , მაშინ ოპტიკური ბოჭკოს დაზიანება მოხდება  $P_i(X_i, Y_i)$  და  $P_{i+1}(X_{i+1}, Y_{i+1})$  წერტილებს შორის. სქემატურად ეს წერტილები ნაჩვენებია მე-2 ნახ-ზე.



ნახ. 2

რადგანაც ოპტიკური ბოჭკოს დაზიანება მოხდა  $P_i$ ,  $P_{i+1}$  კვანძებს შორის, გამოვთვალოთ რა მანძილითაა დაცილებული  $P_i(X_i, Y_i)$  კვანძიდან დაზიანებული ბოჭკო

$$l_1 = \rho_1 + \rho_2 + \dots + \rho_1 - l,$$

ხოლო

$$l_2 = |P_i, P_{i+1}| - l_1.$$

შესაძლებელია ამოცანის მეორე ნაწილის გადაწყვეტა. ამისათვის დავადგინოთ  $P(x, y)$  წერტილის  $(x, y)$  კოორდინატი. ცხადია, რომ

$$l_1 = \lambda \cdot l_2 \Rightarrow \lambda = \frac{l_1}{l_2}.$$

მოვახდინოთ  $P_i(X_i, Y_i)$  და  $P_{i+1}(X_{i+1}, Y_{i+1})$  მონაკვეთის  $\lambda$  თანაფარდობით დაყოფა, მაშინ

$$x = \frac{x_i + \frac{l_1}{l_2} \cdot x_{i+1}}{1 + \frac{l_1}{l_2}}; \quad y = \frac{y_i + \frac{l_1}{l_2} \cdot y_{i+1}}{1 + \frac{l_1}{l_2}}.$$

$x$  და  $y$  სიდიდეები განსაზღვრავს წერტილს, რომელიც წარმოადგენს ოპტიკური ბოჭკოს დაზიანების ადგილს.

განვიხილოთ კარკასზე დამაგრებული ოპტიკური ბოჭკოს დაზიანების ადგილის ამოცანა. იგი სამგანზომილებიანია, ე.ი. საჭიროა დავადგინოთ  $P(x, y, z)$  კოორდინატები. საკოორდინატო სისტემა კარკასზე მოცემულია მე-3 ნახ-ზე. საკვანძო წერტილად მივიღოთ რიგელებისა და სვეტების შეერთების ადგილი. სიბრტყის შემთხვევის ანალოგიურად, ნებისმიერ ორ საკვანძო წერტილს შორის მანძილი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:


$$\rho_i(P_i, P_{i+1}) = \sqrt{(x_{i+1} - x_i)^2 + (y_{i+1} - y_i)^2 + (z_{i+1} - z_i)^2},$$

ხოლო კარკასზე განთავსებული ოპტიკური ბოჭკოს მთლიანი სიგრძე:

$$\rho = \sum_{i=1}^{n-1} \sqrt{(x_{i+1} - x_i)^2 + (y_{i+1} - y_i)^2 + (z_{i+1} - z_i)^2}.$$


ვთქვათ, ოპტიკური ბოჭკოს დაზიანება მოხდა დასაწყისიდან რაღაც  $l$  მანძილზე და საჭიროა დავადგინოთ მისი კოორდინატები.  $P_1$ ,  $P_2$  კვანძებს შორის არსებული ოპტიკური ბოჭკო დაზიანებული არ იქნება, დაზიანება აღმოჩნდება  $P_i$  და  $P_{i+1}$  კვანძებს შორის. შესრულდება შემდეგი პირობა:

$$\rho_1 + \rho_2 + \dots + \rho_i > l.$$



ნახ. 3

კვანძის სქემა, სადაც მოხდა დაზიანება, მოცემულია მე-4 ნახ-ზე.



ნახ. 4

რადგანაც  $l_1 = P_1 + P_2 + \dots + P_i - l$ , ამიტომ

$$l_2 = |P_1, P_{i+1}| - l_1.$$

დავადგინოთ  $(x, y, z)$  კოორდინატები.

რადგანაც  $l_1 = \lambda \cdot l_2$ , ამიტომ

$$\lambda = \frac{l_1}{l_2}.$$

ეს საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ  $(x, y, z)$  კოორდინატები:


$$x = \frac{x_i + \frac{l_1}{l_2} \cdot x_{i+1}}{1 + \frac{l_1}{l_2}}; \quad y = \frac{y_i + \frac{l_1}{l_2} \cdot y_{i+1}}{1 + \frac{l_1}{l_2}}, \quad z = \frac{z_i + \frac{l_1}{l_2} \cdot z_{i+1}}{1 + \frac{l_1}{l_2}}.$$

პერსონალურ კომპიუტერზე დამუშავებულია პროგრამული უზრუნველყოფა, საპროგრამო ენა MATLAB-ში, რომელიც საშუალებას იძლევა კარკასსა და ფუნდამენტში მოვებნით დაზიანებული ადგილის წერტილის კოორდინატები გრაფიკულად.


განვიხილოთ ორი მაგალითი:



1. ფუნდამენტის შემთხვევა



2. კარკასის შემთხვევა



დასკვნა

კარკასულ კონსტრუქციებში ოპტიკური ბოჭკოს ლაბირინთული ფორმით დამაგრებით დგინდება დაზიანების კერები.

ლიტერატურა

1. ჯ. ბახტაძე. ბოჭკოვანი ოპტიკა დეფორმაციის გამოკვლევაში. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1990, გვ. 213 (რუსულ ენაზე გრიფით სამსახურებრივი სარგებლობისათვის).
2. ჯ. ბახტაძე. კონსტრუქციების დაზიანების ტექნიკური დიაგნოსტიკა და ექსპერტიზა (სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი). თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000, გვ. 151.
3. ჯ. ბახტაძე, ი. კირცხალია, მ. სამადაშვილი. ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდი, მაგალითად, კარკასული შენობა ნაგებობების სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგისათვის // საქპატენტის განაცხადი №2522, დადებითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე.
4. გ. ბახტაძე, ი. კირცხალია, მ. სამადაშვილი, გ. ლალუნდარიძე. საკვლევ ობიექტში, მაგალითად, რკინაბეტონის ბურჯში ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდის დამაგრების ხერხი // საქპატენტის განაცხადი, №3042 დადებითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე.
5. პიტერ ფური. ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდები რთულ სამოქალაქო ნაგებობებში. ვერმონტი, (ა.შ.შ.): ვერმონტის უნივერსიტეტი. 1995. გვ. 6.

## მაგისტრალურ მილსადენზე ოპტიკური ბოჭკოს ლაბირინთული სპირალისებრი დახვევის მეშვეობით დაზიანების კერების დადგენის მათემატიკური უზრუნველყოფა

**Key words:** Main pipeline, labyrinth spiral coiling of optic fiber thread, breakage point coordinates, mathematical provision.

**Abstract:** Mathematical support for detecting the sites of damage by means of labyrinth spiral provision coiling of optical fiber on the main pipe-line.

The problem of detection of the sites of main pipe-line damage with breakage of optical fiber coiled on the pipe-line is solved in the article. It is mathematically proved that the coordinates of the optical fiber breakage as a result of damage on labyrinth-like coil can be easily determined with the help of a simple program. The proposed technical innovation allows to receive continuous information in real time, i.e., realise structural integrity monitoring of the main pipe-line.

### შესავალი



**ჯემალ ბახტაძე,**

ტექ. მეცნ. დოქტორი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, სტუ-ს კონსტრუქციების ტექნიკური დიაგნოსტიკის კათედრის გამგე

დაზიანების კერების მოძებნის მეთოდის ძირითადი არსი მაგისტრალურ მილსადენზე (გაზსადენი, ნავთობსადენი და სხვ.) ოპტიკური ძაფის ლაბირინთული სპირალისებრი დახვევაა, ასევე მილსადენზე დაზიანების (ბზარების, კოროზიის შედეგად შესუსტებული უბნების, გაღუნვის შედეგად კვეთის შესუსტების და ა.შ.) გაჩენის შედეგად ოპტიკური ძაფისა გაწყვეტა, რომლის კოორდინატების დადგენით პოულობენ, მაგალითად, მილსადენზე გაჩენილი ბზარის კოორდინატებს [1].



**ირაკლი გოგუაძე,**

საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, სტუ-ს №88 კათედრის პროფ., საერთაშორისო ექსპერტი, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მონიტორინგის პრობლემური ლაბორატორიის ხელმძღვანელი

### ძირითადი ნაწილი

ამოცანის მიზანია იმ წერტილის კოორდინატების პოვნა, რომელიც  $L$  მანძილითაა ( $L$  მანძილის სიდიდეს გვაძლევს რეფლექტომეტრი) დაშორებული ლაბირინთული სპირალისებრი ოპტიკური ძაფის საწყისი წერტილიდან.


ამოცანის არსიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს ცილინდრული ფორმის მილსადენზე დახვეული ოპტიკური ძაფის ნებისმიერი წერტილის კოორდინატები. დასმული ამოცანა სამგანზომილებიანია, ე.ი. უნდა მოიძებნოს, რაღაც პირობების გათვალისწინებით,  $X, Y, Z$  სიდი-



ტ. ანჯაფარიძე  
 №47 „კვებისა და სამაცივრო  
 საწარმოთა მოწყობილობის“  
 კათედრის ასოც. პროფესორი

დეები, რომლებიც სივრცეში შეესაბამება საძიებელ წერტილს ცილინდრზე. ოპტიკური ძაფი გარკვეული თანაფარდობითაა დახვეული. იგი წარმოადგენს ხრახნს იმის გამო, რომ ოპტიკური ძაფის დიამეტრი ცილინდრის დიამეტრზე მცირეა. ამიტომ შესაძლებელია მისი დახვევის შემდეგ ცილინდრის დიამეტრის ზრდა უგულებელვყოთ.

ვთქვათ, ცილინდრის დიამეტრია  $d$  და ოპტიკური ძაფის სიგრძე  $l$ . მოცემული ორი პარამეტრი ცალსახად ვერ განსაზღვრავს ოპტიკურ ძაფზე მდებარე წერტილის კოორდინატებს, ამიტომ საჭიროა შემოვიტანოთ დამატებითი პარამეტრი, კერძოდ,  $\alpha$  კუთხე (ხვიის ზრდის კუთხე), ე.ი. ხრახნწირზე  $d, \alpha, l$  სიდიდეებით ყოველთვის განისაზღვრება ნებისმიერი წერტილი და ძირითადი პარამეტრი გუწოდოთ (ნახ. 1).



ნახ. 1

განვიხილოთ ერთი სრული ხვია. ღერძულ კვეთაში მიიღება მართკუთხედი, რომლის სიგრძე წარმოადგენს ფუძეში არსებული წრეწირის სიგრძეს, ხოლო სიმაღლე პერიოდულად მეორდება ხვიათა რაოდენობის მიხედვით (ნახ.2).

$l_1$ -ის ხვიათა რაოდენობაზე ნამრავლი მოვცემს  $l$  შუქსატარის სიგრძეს. თუ ცილინდრზე მოცემულია  $h$  რაოდენობის ხვია, მაშინ


$$l = l_1 \cdot h.$$

ცილინდრის ფუძეში მოცემული წრეწირისათვის დავწეროთ წრეწირის განტოლება პოლარულ კოორდინატებში:

$$\begin{cases} MB = y = \frac{\alpha}{2} \sin \varphi, \\ OB = x = \frac{\alpha}{2} \cos \varphi. \end{cases} \quad (1)$$

მოცემულ შუალედში  $\varphi$  კუთხის ცვლილებით აღიწერება წრეწირზე მდებარე ყველა წერტილი, ე.ი. (1) წარმოადგენს წრეწირის განტოლებას პარამეტრული სახით. მართლაც, თუ (1) სისტემის ორივე განტოლებას ავიყვანთ კვადრატში და შევკრიბავთ, მივიღებთ:

$$x^2 + y^2 = \left(\frac{d}{2}\right)^2 = R^2.$$



ნახ. 2

რაც ამტკიცებს, რომ (1) წრეწირის განტოლებაა, რომლის ცენტრი მდებარეობს კოორდინატთა სათავეში. როგორც მე-2 ნახ-დან ჩანს,

$$h = \pi d \operatorname{tg} \alpha .$$

მას ბიჯი ვუწოდოთ.

ასევე  $h = l_1 \cdot \sin \alpha$ , ხოლო  $Z = nh = n l_1 \sin \alpha = l \sin \alpha$ .

ელემენტარული მათემატიკური კურსიდან ცნობილი ფორმულის თანახმად,

$Z = l \cdot \sin \alpha$  განტოლებიდან მივიღებთ:

$$l \sin \alpha = \frac{d\varphi}{2} \operatorname{tg} \alpha ;$$

$$l \sin \alpha = \frac{d\varphi \sin \alpha}{2 \cos \alpha} ;$$


$$2l \cos \alpha = d\varphi ;$$

$$\varphi = \frac{2l \cos \alpha}{d} .$$

შევვტანოთ  $\varphi$  მნიშვნელობა (1)-ში

$$\begin{cases} x = \frac{d}{2} \cos\left(\frac{2l \cos \alpha}{d}\right); \\ y = \frac{d}{2} \sin\left(\frac{2l \cos \alpha}{d}\right). \end{cases}$$

მოცემული სისტემა და  $Z = l \cdot \sin \alpha$  მთლიანობაში საშუალებას გვაძლევს სივრცეში ოპტიკურ ძაფზე (ხრახნწირზე) მოცემული წერტილის კოორდინატები განისაზღვროს  $d, \alpha$  და  $l$  სიდიდეებით, ე.ი. საბოლოოდ გვაქვს:



ნახ.3

$$\begin{cases} x = \frac{d}{2} \cos\left(\frac{2l \cos \alpha}{d}\right) \\ y = \frac{d}{2} \sin\left(\frac{2l \cos \alpha}{d}\right) \\ z = l \sin \alpha \end{cases}$$

$n$  ხვიათა რაოდენობა განისაზღვრება  $n = \frac{l \cos \alpha}{\pi d}$  ფორმულით.


განვიხილოთ მაგალითები.

I მაგალითი.  $\pi d = 1$ , სიმატივისათვის წრეწირის სიგრძე ჩავთვალოთ 1-ის ტოლად (ნახ. 3).  
 ვთქვათ,

$$l = 4 \cdot l_1 = 4\sqrt{2};$$

$$Z = l \cdot \sin \alpha = 4\sqrt{\sin 45^\circ} = 4 \frac{\sqrt{2} \cdot \sqrt{2}}{2} = 4.$$

მეორე მხრივ,  $Z = 4 \cdot h = 4 \cdot 1 = 4$ , ე.ი.  $Z$  კოორდინატი ცალსახადაა განსაზღვრული. შევეცადოთ განვსაზღვროთ  $x$  და  $y$  კოორდინატები. უნდა აღვნიშნოთ, რომ  $z$ -ის სხვადასხვა მნიშვნელობას შეესაბამება გარკვეული  $x$  და  $y$ -ის ერთი და იგივე მნიშვნელობა. ამიტომ  $l$  სიგრძე განსაზღვრავს  $x$ ,  $y$ ,  $z$  ცალსახა მნიშვნელობებს.



ნახ. 4

$$\varphi = \frac{2l \cos \alpha}{d} = \frac{2 \cdot 4\sqrt{2} \cdot \frac{\sqrt{2}}{2}}{1} = 8\pi$$

$$\begin{cases} x = \frac{d}{2} \cos 8\pi = \frac{d}{2} \\ y = \frac{d}{2} \sin 8\pi = \frac{d}{2} \cdot 0 = 0 \\ Z = 4. \end{cases}$$

II მაგალითი.

თუ  $l = 3 \cdot l_1 = 3\sqrt{2}$ , მივიღებთ  $\alpha = 45^\circ$ .

$$\varphi = \frac{2l \cos \alpha}{d} = \frac{2 \cdot 3\sqrt{2} \cdot \cos 45^\circ}{1} = 6\pi;$$

$$x = \frac{d}{2} \cos 6\pi = \frac{d}{2} \cdot 1 = \frac{d}{2};$$

$$Y = \frac{d}{2} \sin 6\pi = \frac{d}{2} \cdot 0 = 0;$$

$$Z = 3\sqrt{2} \sin 45^\circ = 3\sqrt{2} \frac{\sqrt{2}}{2} = 3.$$


III მაგალითი.

$\alpha = 45^\circ$ ;  $l = \frac{7\sqrt{2}}{2}$ ;  $d$ ; მოვნახოთ  $x, y, z$  კოორდინატები:

$$\begin{cases} x = \frac{d}{2} \cos 7\pi = \frac{d}{2} \cos(\pi + 6\pi) = \frac{d}{2} \cos \pi = \frac{d}{2}; \\ y = \frac{d}{2} \sin 7\pi = \frac{d}{2} \sin(\pi + 6\pi) = \frac{d}{2} \sin \pi = \frac{d}{2} \cdot 0 = 0. \end{cases}$$

$$z = l \sin \alpha = \frac{7\sqrt{2}}{2} \cdot \frac{\sqrt{2}}{2} = 3,5.$$

ანალოგიურად, ამ მეთოდით შესაძლებელია ოპტიკური ძაფის წყვეტის წერტილის კოორდინატების ამოცნობა, როცა გვაქვს არა წრეწირი, არამედ ელიფსი.



ნახ. 5

მე-4 და მე-5 ნახაზებზე მოცემულია ზემოთ აღწერილი მეთოდით მილსადენზე დახვეული ოპტიკური ძაფის გაწყვეტის წერტილის კოორდინატების დადგენის კერძო შემთხვევა. რეფლექტორამიდან ოპტიკური ძაფის გაწყვეტის წერტილამდე მანძილის დადგენის შემდეგ მილსადენზე დახვეული ძაფის წყვეტის წერტილის კოორდინატები დადგინდება ჩვენ მიერ დამუშავებული მარტივი პროგრამით, რაც მილსადენზე დეფექტის წარმოქმნის მანიშნებელია. დაზიანების ადგილის აღმოჩენის სიზუსტე 10-15%-ის ფარგლებშია, რაც მისაღებია. ზემოთ მოცემული მეთოდი ნაკლებპრომატევადია და დღეისათვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად ითვლება მაგისტრალურ მილსადენებში დეფექტების აღმოსაჩენად [2,3,4].

### დასკვნა

მაგისტრალურ მილსადენზე, ოპტიკური ბოჭკოს ლაბორინთულ-სპირალისებრი დახვევით, დაზიანების კერების დადგენა ხდება ჩვენ მიერ დამუშავებული მათემატიკური პროგრამით. დაზიანების აღმოჩენის სიზუსტე 10-15%-ის ფარგლებშია.

### ლიტერატურა

1. ჯ. ბახტაძე, მ. სამადაშვილი. მოწყობილობა მაგისტრალური მილსადენის სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგისათვის//საქპატენტი განაცხადი АП 1999003563. დადებითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე 6.06.2000, განაცხადის საკანცელარიო ნომერია (2654/01-99).
2. მ. სამადაშვილი. მილსადენების სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდებით. თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2001. გვ. 90.
3. ჯ. ბახტაძე. კონსტრუქციების დაზიანების ტექნიკური დიაგნოსტიკა და ექსპერტიზა (სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი). თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000. გვ. 151.
4. ჯ. ბახტაძე. ბოჭკოვანი ოპტიკა დეფორმაციის გამოკვლევაში. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1990. გვ. 213 (რუსულ ენაზე გრიფით „სამსახურებრივი სარგებლობისათვის“).

## დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლის სიღრმული აგებულება არსებული გეოფიზიკური კვლევების ინტერპრეტაციის მიხედვით

წარდგენილია რუსეთის ფედერაციის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ზ. მგელაძის მიერ

**Key words:** Seismic prospecting, fault, isoline, structure, time section, interpretation, borehole.

**Abstract:** Depth structure of west georgia oastal line according to the existed geophysical researches interpretation.

As a result of many years various geophysical investigations within the coastal line of Western Georgia and adjacent area of the Black Sea water the deep geological structure of Mesozoic sediments is revealed according to separate conditional seismic horizons on the basis of which the structural maps and maps of time velocities, schemes and seismic sections are complied and they are coordinated with the sections of boreholes of different depth and destination. Such an interpretation has decisive role for revealing new deposits of oil and gaz on the territory of Georgia. In the present article the question of close connection of geological structure between the prospecting objects of Rioni - Enguri intreflues and adjacent area of Black Sea water and perspectives of oil bearing capacity is considered.

### შესავალი



ნ. ჯიქია,

ნავთობისა და გაზის საბადოების ძიების და დაზუსტების №70 კათედრის ასისტენტ პროფესორი

განსახილველი ტერიტორიის, რომელიც გეოგრაფიულად ემთხვევა ამიერკავკასიის მთათაშუეთის დასავლეთ დაძირვის კოლხეთის ზონას, უმეტესი ნაწილი მჭიდროდაა დასახლებული და მდიდარი ჰიდროგრაფიული ქსელით არის დასერილი, რომელთა მთავარ არტერიებს წარმოადგენს მდინარეები: მოქვა, ღალიძგა, ოქუმი, ენგური, ხობისწყალი, ტეხური, აბაშა, რიონი და ცხენისწყალი, ხოლო შავი ზღვის სანაპირო ზოლის სამხრეთ ნაწილში – პალიასტომის ტბა. წლების განმავლობაში მრავალი მკვლევარის მიერ წარმოებულ იქნა გეოლოგიური



ნ. ებრალიძე,

თემატური პარტიის გეოფიზიკოსი

აგეგმვა, სხვადასხვა დანიშნულების ჭაბურღილების ბურღვა, ჰიდროგეოლოგიურ-გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევები (განსაკუთრებით, ნავთობ-გეოფიზიკის), რომელთა მონაცემების ანალიზის საფუძველზე დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლის, მეზოზოურ-კაინოზოური დანალექი საფარის ცალკეული ასაკის სტრატეგრაფიული კომპლექსები უთუოდ წარმოადგენს საძიებო ობიექტებს ნავთობგაზდაგროვების აღმოჩენის თვალსაზრისით, რასაც აძლიერებს ის ფაქტიც, რომ საერთოდ საქართველოს დანალექი საფარის თითქმის ყველა სტრატეგრაფიული ერთეულიდან ცნობილია ნავთობისა და გაზის მრავალრიცხოვანი მოდენა თუ გამოვლინება – ბურღვის პროცესში (ან სამთო გამონამუშევრებში) და ზედაპირული გამოსავლები. აქედან



გამომდინარე, საქართველოში არსებული ბუდობების ანალოგიურად შესაძლებელი ხდება აღმოჩენილ იქნეს სამრეწველო მნიშვნელობის ნავთობგაზდაგროვებები.



**ნ. ზურაძე,**  
ნავთობისა და გაზის საბა-  
ლოების ძიების და დამუშა-  
ვების №70 კათედრის  
პროფესორი

ცნობილია, რომ ნავთობგაზიანობის პირდაპირ ნიშნებს მიეკუთვნება: 1. ბუნებრივი ზედაპირული გამოსავლები; 2. გამოვლინებები ბურღვის პროცესში (ან სამთო გამონამუშევრებში); 3. ბიტუმების არსებობა ქანებში; 4. თხევადი და გაზობრივი ნახშირწყალბადების არსებობა ფენის წყლებში; 5. მძიმე ნახშირწყალბადების არსებობა აირებში; 6. ბურღვის პროცესში ნავთობისა და გაზის მოდენები. გარდა ამისა, გადამწყვეტ როლს ასრულებს



**დ. ვაზანია,**  
სს ნავთობკომპანია „თელე-  
თის მიწისქვეშა გაზსაცავე-  
ბის“ მშენებლობის გეოლო-  
გიური სამსახურის წამყვანი  
სპეციალისტი, გეოლ.-მინ.  
მეცნ. დოქტორი

ზედაპირული და სიღრმული სტრუქტურული აგებულების კავშირის, ნალექების სიმძლავრეებისა და ლითოფაციების განაწილების კანონზომიერებისა და სიღრმული რღვევების გავრცელების დადგენა.

ნავთობგაზდაგროვებების აღმოჩენის საქმეში აშკარად იკვეთება გეოფიზიკური (სხვადასხვა მეთოდებით) კვლევების პრიორიტეტი.

### ძირითადი ნაწილი

კოლხეთის დაბლობის ფარგლებში ყველა სახის სასარგებლო წიაღისეულზე წარმოებულ გეოლოგიურ-გეოფიზიკური და ჰიდროგეოლოგიურ-გეოქიმიური კვლევებისა და ბურღვის მონაცემების ანალიზმა რეალური დახმარება უნდა გაუწიოს დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლის დანალექი საფარის ნავთობგაზიანობის პერსპექტივების განსაზღვრას, რაზეც მიუთითებს ის ფაქტიც, რომ აქ ნავთობგაზდაგროვებები დაკავშირებულია ზედაიურული (ოქუმი), ზედაცარცული (ჭალადიდი), მეოტური და სარმატული (სუფსა-შრომისუბანი) ასაკის ქანებთან.

შავი ზღვის ქვეყნების გეოფიზიკური ექსპედიციების კვლევების მიხედვით დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლის გეოლოგიური აგებულება უშუალო გაგრძელებას პოულობს შავი ზღვის აკვატორიაში, სადაც დანალექი საფარის შესაძლო ნავთობგაზშემცველი ჰორიზონტები სტრუქტურული აგებულების და ლითოლოგიური შედგენილობის მიხედვით გაცილებით უკეთეს ჰიდროდინამიკურ პირობებში იმყოფება. აქედან გამომდინარე, ჩანს რა როლს ასრულებს დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლის სიღრმული გეოლოგიური აგებულებისა და ნავთობგაზშემცველობის დაზუსტება მიმდებარე შავი ზღვის აკვატორიის ნავთობგაზიანობის შესწავლის საქმეში, რის გამოც ხდება ყველა სახის გეოფიზიკური კვლევების ინტერპრეტაცია (ბურღვის მონაცემების გათვალისწინებით) და პირველი რიგის საძიებო ობიექტების გამოყოფა. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოსა და მიმდებარე შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში გეოლოგიურ-გეოფიზიკური ინფორმაციის კომპლექსური ინტერპრეტაცია პერსპექტიული ობიექტების გამოყოფისა და შემდგომი კვლევების დაგეგმვის მიზნით ბოლო ათი წლის განმავლობაში არ ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით შავი ზღვის აკვატორიის აღმოსავლეთ ნაწილში (1985-1998) გელენჯიკის ექსპედიციის და ამერიკული ნავთობკომპანიის “ANADARKO” მიერ (2000-2005 წწ.) წარმოებულ გეოფიზიკურ კვლევებს. დასავლეთ საქართველოსა და მიმდებარე შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში წარმოებულ სეისმური, გრავიმეტრიული და მაგნიტომეტრიული მასალების კომპლექსური ინტერპრეტაციის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ნავთობგაზშემცველი უბნების გამოყოფა (ბურღვის მონაცემების გათვალისწინებით).



დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეულ წლებში ჩატარებული სეისმოსაძიებო სამუშაოების დაკვირვების ბაღე უმეტეს უბნებზე არადაამაკმაყოფილებელია, რაც განპირობებულია რთული ზედაპირული პირობებით (ჰიდროგრაფიული ქსელი, ჭაობიანი ფართობი, დასახლებული პუნქტები), ხოლო მიღებული სეისმური ინფორმაცია ხარისხობრივად არაერთგვაროვანია. ტამიში-ოჩამჩირე და დღვაბა-ქვალონი-ხობის უბნებზე სეისმური მასალა შედარებით დამაჯერებელი სურათის მიღების საშუალებას იძლევა, მაგრამ არ გამოიხატა კავშირი ოჩამჩირისა და ოქვინარის უბნებს შორის, რაც სეისმური ინფორმაციის არასაკმარისობით არის გამოწვეული. ვერ მოხერხდა ოქვინარის ფართობის სიღრმული აგებულების სარწმუნო ასახვაც, რთული საინტერპრეტაციო ინფორმაციის გამო.

1984 წელს ცაიშის მოედანზე ფრანგული კომპანიის “CGG” და „საქნავთობგეოფიზიკის“ მიერ ჩატარებულ იქნა ერთობლივი სეისმო-საძიებო სამუშაოები. მიღებული მასალების დამუშავება ჩატარდა CGG-ს გამოთვლით ცენტრში (საფრანგეთი). მასალების ხარისხი იცვლება როგორც სხვადასხვა, ისე თითოეული პროფილის გასწვრივ, მაგრამ მასალა მთლიანობაში საკმაოდ დამაჯერებელია. აღსანიშნავია სუსტად გამოხატული ღრმა არეკვლები, რაც გამოწვეულია ამ უბნისათვის დამახასიათებელი რღვევითი ტექტონიკით.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევ ტერიტორიაზე არსებული მრავალი ჭაბურღილის მიუხედავად, ქანებში სეისმური ტალღების გავრცელების სიჩქარეების შესწავლა სეისმოკაროტაჟით (სკ) და ვერტიკალური სეისმური პროფილირებით (ვსპ) მოხდა მხოლოდ თორმეტ ჭაბურღილში: ტამიში №2, ოჩამჩირე №2, გალი №1, ცაიში №4, 5, 8, აღმოსავლეთ ჭალადიდი №16, დასავლეთ ჭალადიდი №8, ქვალონი №8, 24, საღვამიძაო №16 და სამტრედია (ჯაპანა) №1 (1972-1985 წლები). ხოლო ვსპ-ს დაკვირვებები და შემდგომი დამუშავება არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. პირველადი მასალის არარსებობის გამო, სიჩქარული ანალიზი ჩატარდა ფრაგმენტულად (ცალკეულ უბნებზე). ასეთი უბანია ცაიში, სადაც რამდენიმეჯერ ჩატარდა უწყვეტი ჰორიზონტალური სიჩქარული ანალიზი ANVIT პროგრამით, ხოლო საშუალო და ინტერვალური სიჩქარეების მნიშვნელობები მიუთითებენ ინტერვალური სიჩქარეების მკვეთრ ზრდაზე ზედა ინტერვალისაგან (2500-დან 3000 მ/წმ) ქვედა ინტერვალისაკენ. რაც იმაზე მიუთითებს, რომ არ შეიძლება დავეყრდნოთ ცალკეული სიჩქარული ანალიზის შედეგებს და აუცილებელია გამოვიყენოთ რამდენიმე სიჩქარული ანალიზის შედეგი. ჰორიზონტალური სიჩქარული სპექტრი, რომელიც მიღებულია ANVIR პროგრამით სანდოა იმ პირობებში, როცა მკვეთრ ჰორიზონტებთან დაკავშირებული სიჩქარეები შეიძლება დამახინჯდეს ძლიერი ხელისშემშლელი პირობებით ან ჯერადი ტალღებით, რომლებიც არ დაიკვირვება ჭრილზე. უფრო მეტიც, სიჩქარეების მნიშვნელობების გაფანტვა გვაძლევს მიახლოებით ინფორმაციას რეალურ სიჩქარეებზე. ჰორიზონტალური სიჩქარული სპექტრები მთლიანობაში გვიჩვენებს, რომ ცაიშის მოედანზე ინტერვალური სიჩქარეები სტაბილურია უმნიშვნელო ცვლილებებით.


სიჩქარული ანალიზის პროცედურა, მიუხედავად მცირე უზუსტობებისა, მიუთითებს ინტერვალური სიჩქარეების უმნიშვნელო ცვლილებებზე. ჭაბურღილების ადგილმდებარეობის მიხედვით ჩანს, რომ ინფორმაცია დრეკადი ტალღების გავრცელების სიჩქარეების შესახებ საძიებო ფართობებზე არათანაბრად არის შესწავლილი, რადგან არის უბნები, სადაც საერთოდ არ არის ასეთი კვლევები ჩატარებული. გარდა ამისა, სრულად არ ხდება ჭაბურღილების სიღრმეების გამოყენება და მიზნობრივ ჰორიზონტამდე ინტერვალის შეუსწავლელი რჩება.

სეისმური გამოკვლევებით შესწავლილ ყველა ჭაბურღილში დაიკვირვება სეისმური ტალღების სიჩქარეების ზრდა სიღრმის ზრდასთან ერთად. თუმცა საშუალო სიჩქარეების შე-

სახეებ ინფორმაცია მთლიანობაში არაა სრულყოფილი, ზუსტად ვერ ასახავს რეალურ ცვალებადობას ვერტიკალური და ლატერალური მიმართულებით. ამის გამო, ზოგჯერ ჰორიზონტების ჩაწოლის სიღრმეების ნიშნულები და სტრატოფიცირება ხშირად პირობით ხასიათს ატარებს.

მიუხედავად ამისა, სეისმურ პროფილებზე გამოიყო ორი პირობითი ჰორიზონტი, რომლებიც დაკავშირებულია ზედა ცარცის (ტურონი) საგებთან და ქვედა ცარცის (აპტ-ნეოკომი) საგებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერპრეტაციის სიზუსტე ბევრადაა დამოკიდებული მასალის ხარისხსა და დაკვირვების სიხშირეზე, რის გამოც რუკები და სქემები უფრო სრულყოფილი ხდება. ღრმა ჭაბურღილების საკმაო რაოდენობამ, სადაც ჩატარებულია ვსპ, საშუალება მოგვცა შემოგვეკონტურებინა განივი მიმართულების ტამპის ანტიკლინი. ორი ჩაკეტილი იზონაზით (2650 და 2700 მ) გამოსახული ეს სტრუქტურა დასავლეთი მიმართულებით, მცირე უნდულაციის შემდეგ, უკავშირდება ზღვიური გაგრძელების ამოწვევას. ანტიკლინის ჩრდილოეთი ფრთა გადადის ლახუბას სინკლინში, რის შემდეგ იწყება ახალი ამოწვევა.



ლახუბის სინკლინი ერთმანეთისაგან გამოჰყოფს ტამიშის და ოჩამჩირის ანტიკლინურ სტრუქტურებს. ოჩამჩირის ანტიკლინის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი არის გამოხატული ხმელეთზე, რომელიც უნდულაციით უკავშირდება მოქვა-ფოქვეშის ანტიკლინს. ამ უკანასკნელს აქვს რთული აგებულება, რომლის მორფოლოგია და ღერძის მიმართულება უცნობია, ხოლო რისი საშუალებაც მოგვცა სეისმურმა მასალამ და ღრმა ჭაბურღილების მონაცემებმა წარმოდგენილია სტრუქტურული შევრდის სახით. ოჩამჩირის სახმელეთო სტრუქტურას ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება ლახუბას და აჩიგვარას სინკლინები. აჩიგვარას სინკლინი აჩიგვარას სიღრმული რღვევითაა გართულებული და გამოჰყოფს გალისა და ოქვინარის ანტიკლინურ სტრუქტურებს. გალის ანტიკლინის არსებობაზე მიუთითებს პროფილებზე არსებული ამოწვები. ეს ფართობი სეისმოძიებით სუსტადაა შესწავლილი და თალი პირობითად არის შემოკონტურებული (№4 ჭაბურღილის მახლობლად). ოქვინარის უბანზე არსებული სეისმური მასალების მიხედვით, ნალექების და ქანების დახრის კუთხეები დაბალია და არ ხერხდება სტრუქტურის სრული შემოკონტურება, მაგრამ ჩანს, რომ სტრუქტურა განედური მიმართულებისაა და გამოხატულია შევრდის სახით. ამასთან, ამოწვევა დასავლეთით შედის შავი ზღვის აკვატორიაში.

ოქვინარის სტრუქტურის სამხრეთით გამოხატულია ანალოგიური აგებულების ოტობაიას სინკლინი, რომელიც სამხრეთით გადადის დიდი ერგეთის სინკლინში.

ოტობაიას და ერგეთის სინკლინების სამხრეთით, სამხრეთ სამეგრელოს ამოწვევის სტრუქტურების სიღრმული აგებულების დამაჯერებლობის თვალსაზრისით, ცაიშის რღვევის აღმოსავლეთით ჰორიზონტები სტრატოფიცირებულია (ცაიშის №№3, 4, 8 ჭაბურღილების მონაცემების მიხედვით), ხოლო რღვევის დასავლეთით, ღრმა ჭაბურღილების არარსებობის გამო, ინტერპრეტაცია ემყარება ტალღური ველების ანალიზს. ANADARCO-GEORGIA COMPANI-ს მიერ ჩატარებულმა სეისმო-საძიებო სამუშაოებმა თითქმის დაახუსტა ყულევის სტრუქტურის აგებულება, რომლის თალი გადაადგილებულია დასავლეთით ზღვის აკვატორიაში (თუმცა დაბეჯითებით ამის თქმა არ შეიძლება, რადგან სანაპირო ზოლში და ხმელეთის ამ უბანზე სეისმოძიება არ ჩატარებულა). ყულევის №№2, 7 ღრმა ჭაბურღილები მიუთითებს ზღვისკენ მიმართულ ამოწვევაზე, რომლის სამხრეთ-დასავლეთი ფრთა გარღვეულია ყულევის რღვევით, რომელიც ხმელეთზეც ვრცელდება ჭალადიდის სტრუქტურების სამხრეთით (რაც მიუთითებს ზღვისა და ხმელეთის მჭიდრო სტრუქტურულ კავშირზე). ყულევის სტრუქტურის სამხრეთ-აღმოსავლეთით გავრცელებულია დასავლეთ ჭალადიდის, აღმოსავლეთ ჭალადიდის და საღვამიჩაოს ანტიკლინები გამყოფი სინკლინებით.

ჩამოთვლილი ანტიკლინების ჩრდილოეთით გავრცელებულია რღვევით გართულებული შედარებით ფართო ყორათის სინკლინი, რომლის ჩრდილოეთი ფრთა თანდათან გადის ქვალონის სუბგანედური მიმართულების ანტიკლინში, რომლის თალი შემოკონტურებულია 1200 მ (ტურონის საგები) იზონახით. ქვალონის ანტიკლინის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფრთა გართულებულია რღვევით, ჩრდილოეთით ესაზღვრება სუბგანედური მიმართულების ხობის სინკლინი, რომლის დასავლეთით გამოხატულია მერიდიანული მიმართულების დღვების ანტიკლინი. ერგეთის (დასავლეთი) და ხობის (აღმოსავლეთი) სინკლინებით შემოსაზღვრული ეს ანტიკლინი ორთალოვანია და შემოკონტურებულია 1900 მ და 2100 მ იზონახებით, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით ისახება ამოწვევა (ემიჯნება რღვევას), ხოლო სამხრეთი პერიკლინი არ გამოისახება. ასევე დაუდგენელია მისი კავშირი ქვალონის ანტიკლინთან.

ხობის სინკლინის ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოხატული ცაიშის ანტიკლინი წარმოადგენს სუბგანედური მიმართულების ასიმეტრიულ ნაოჭს, რომლის თალური ნაწილი გართულებულია რღვევით (შეცოცება), ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთი ფრთა გადადის ნარაზენის სინკლინში. აქ

ძნელდება სეისმური მონაცემების სრული წარმოდგენა. ტალღური სურათისა და ცაიშის №5 ღრმა ჭაბურღილის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ მასში გადის სდ-ჩა მიმართულების რღვევა.

ხოების სინკლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოისახება განედური მიმართულების ერთსახელა ანტიკლინი, რომელთა ნავთობგაზდაგროვებისათვის ხელსაყრელი სტრუქტურაა, რადგან ხობის №1 ჭაბურღილის მონაცემებით, ცარცული ნალექების კირქვები გადაფარულია პალეოგენური ასაკის თიხებით, ტურონის საგების მიხედვით შემოკონტურებულია ორი ჩაკეტილი იზოხაზით -1050 მ და -1100მ.

აბაშის მოედანზე სეისმური პროფილების გაიშვიათებული ქსელის გამო, ერთსახელა ამოწვევის დადგენა ვერ მოხერხდა, სამხრეთ-დასავლეთით იზოხაზები იძირება და უნდულაციის შემდეგ იწყებს ამოწვევას, რომელიც გრძელდება სამტრედიის მოედანზეც. ამასთან, აბაშისა და სამტრედიის მოედნების გაერთიანება ვერ მოხერხდა დამაკავშირებელი პროფილების არარსებობის გამო.

სამტრედიის მოედანზე ტურონის საგები წარმოდგენილია სუბგანედური მიმართულების ანტიკლინით, რომელიც გართულებულია მცირე ამპლიტუდის მქონე რღვევით. აღმოსავლეთით იზოხაზები გამოხატავს ვანის სინკლინის ჩრდილო-დასავლეთ პერიკლინს. ეს სტრუქტურები ჩრდილო-აღმოსავლეთით რღვევით შემოისაზღვრება. რღვევის ჩრდილო-აღმოსავლეთით ხონი-წყალტუბოს ფართობზე იზოხაზებით გამოხატულია შუაიურული ასაკის ვულკანოგენების მორფოლოგია და წარმოადგენს ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულების მქონე მონოკლინს, რომელიც გართულებულია ჩდ-სა მიმართულების რღვევებით. მონოკლინური ამოწვევის ფონზე დაიკვირვება ფარცხანაყანების ჩაკეტილი (-550 მ) იზოხაზებით შემოკონტურებული ანტიკლინი. ჩრდილოეთით გამოისახულია ერთსახელა სინკლინი, მის გაგრძელებაზე გამოისახება სუბგანედური სტრუქტურული შვერილის სახით წარმოდგენილი მალლაკის ამოწვევა.

ფარცხანაყანების №1 ჭაბურღილის (1510 მ) მონაცემებით, ბაიოსური ასაკის ქანები განსნილია 1006, ხოლო მალლაკის №1 ჭაბურღილში (1510 მ) 1370 მ სიღრმეებზე. ამასთან, მალლაკისა და ფარცხანაყანების ანტიკლინები საინტერესოა ნავთობგაზდაგროვების ძიების თვალსაზრისით. დამატებითი სეისმო-საძიებო სამუშაოებით კი უნდა დაზუსტდეს ამავე ანტიკლინების სიღრმული აგებულება შუაიურული ნალექების მიხედვით, რაც საშუალებას მოგვცემს საძიებო ბურღვით ამ უბანზე 4000 მ სიღრმეზე შესწავლილ იქნეს ქვედა და შუაიურული ნალექების ჭრილი და ნავთობგაზიანობა. მეორე ჰორიზონტი მიეკუთვნება ნეოკომის საგებს, ხოლო ხონის როფის მიდამოებში ბაიოსურ ვულკანოგენურ წყებას. ეს მოედნები, სეისმური მონაცემებით, ერთმანეთისაგან რღვევითაა გამოყოფილი. ამასთან, დანაოჭების ხარისხი ქვედაცარცულისა და ტურონის საგების მიხედვით ერთნაირია, ხოლო აგებული რუკების მიხედვით გამოისახება შემდეგი ტექტონიკური ერთეულები: ტამიშის, ოჩამჩირის, დღვაბის, ჭალადიდის, ქვალონის, ცაიშის, ხობის და ფარცხანაყანების ანტიკლინები; მოქვა-ფოქვეშის და მალლაკის სტრუქტურული შვერილები; ლახუბის, აჩიგარის, ოტობაიას, ერგეთის, ყორათის, ხობის სინკლინები; ცაიშის, ქვალონის და სატანჯოს რღვევები. ამასთან, ლოკალური სხვაობები მაინც შეინიშნება, კერძოდ, დასავლეთ ჭალადიდის ქვედაცარცული ანტიკლინი საგებზე არ არის შემოკონტურებული, აღმოსავლეთ ჭალადიდისა კი მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი პერიკლინია გამოხატული; ტურონის საგებზე ქვალონის ანტიკლინის ჩრდილოეთი ფრთა გარღვეულია, ხოლო ქვედა ცარცის საგებზე ამავე სტრუქტურის თაღია გართულებული რღვევით. ტურონის საგების მიხედვით ცაიშის ანტიკლინის თაღის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მთლიანად მოკვეთილია რღვევით.

საკვლევ ტერიტორიაზე სეისმოძიებასთან ერთად ჩატარებულ იქნა გრავიმეტრიული და აერომაგნიტური კვლევები. დასავლეთ საქართველოს მთათაშუეთის სიძიძის ძაღის ანომალიების

რუკა ბუგეს რელექციაში შედგენილია ნ. გამყრელიძის მიერ [2002], სადაც ლოკალური ანომალიები არ დაიკვირვება, იზონორმალეები დეტალურად ვერ ასახავს გრავიტაციულ ველს.

როგორც ცნობილია, ძირითადი სტრუქტურული ელემენტები ყოველთვის პოულობს ასახვას მაგნიტურ ველში. ხმელეთზე ბოლო აერომაგნიტური კვლევები ჩატარდა 1984 წელს. დასავლეთ საქართველოს მაგნიტური ანომალიების ველის მიხედვით გამოყოფილია რამდენიმე პეტრომაგნიტური უბანი, რომლებიც ასახავენ ქანების ჩაწოლის პირობებს და შედგენილობას მაგნიტური ველის მეშვეობით, სადაც ბაიოსური ნალექები მცირე სიღრმეზეა ან ამოდის ზედაპირზე. მაგნიტური ველი ხასიათდება ჰორიზონტალური გრადიენტის მაღალი დიფერენციაციით და აღწევს 450 გამმ.კმ, ველის ინტენსივობა მერყეობს – 540-დან 600 გამმ-მდე. ოქუმის სტრუქტურული კონცხის მაგნიტურ ველს შეესაბამება 220 გამმ. ინტენსივობის ანომალია, რომლის ჰორიზონტალური გრადიენტი 200 გამმ/კმ აღწევს. მაგნიტური ველის მკვეთრი დაცემა ოქუმის სტრუქტურის სამხრეთ-დასავლეთით, კოლხეთის დაბლობის მიმართულებით მიუთითებს ბაიოსური ნალექების მკვეთრ დაძირვაზე.

კოლხეთის დაბლობი ხასიათდება მაგნიტური ანომალიის მნიშვნელობის შემცირებით და მშვიდი ხასიათით (100 გამმ), რაც განპირობებულია ცარცული და კაინოზოური ასაკის კარბონატულ-ტერიგენულ ნალექების სიმძლავრეებით და ღრმად დაძირული ბაიოსური ასაკის მაგნიტური ქანებით.

მაგნიტური ველის თვისებების ინტერპრეტაცია მიუთითებს საკვლევ ტერიტორიაზე რღვევის ფართო გავრცელებაზე ჩრდილო-დასავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სუბანედური და სუბპერიდიანული მიმართულებებით. ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების დიდი რღვევა გადის ტყვარჩელთან და გამოყოფს დიდი კავკასიონის ნაოჭა სისტემას ამიერკავკასიის მთათაშუეთის დასავლეთი დაძირვის (კოლხეთის) ზონისაგან. ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულების რღვევა გადის ს. ჯვართან და გამოყოფს ოქუმის სტრუქტურულ კონცხს ოდიშის როფისაგან.

აერომაგნიტური აგეგმვის შედეგებით, საკვლევ ტერიტორიაზე ნავთობგაზპერსპექტიულობის თვალსაზრისით, გამოიყოფა ხუთი ლოკალური სტრუქტურა (ამოწვევა) – ახუცის მთის სამხრეთით, კოჩარასთან, ჩხოროწყუსთან, ზუგდიდთან და წალენჯიხასთან. საერთოდ ლოკალური სტრუქტურები სხვადასხვაგვარად აისახება მაგნიტურ ველზე იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს მათ აგებულებაში მაგნიტური ქანები. იმ შემთხვევაში, თუ მაგნიტური ქანებითაა აგებული ნაოჭის ღერძული ნაწილი, დაიკვირვება მაგნიტური ველის მატება.

1991 წლამდე მიღებული სეისმური მასალების ინტერპრეტაციის საფუძველზე დადგენილია საკვლევ ტერიტორიის სტრუქტურული აგებულება მეზოზოური ნალექების ორი ჰორიზონტის (ტურონის და ქვედაცარცულის) საგების მიხედვით; ამასთან, დადგინდა, რომ ნაოჭის მორფოლოგია სიღრმეში თითქმის არ იცვლება და დადასტურდა, რომ ხმელეთზე გამოვლენილი სტრუქტურული ელემენტები გაგრძელებას პოულობს შავი ზღვის აკვატორიაში; ხოლო დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლის და მასთან მიმდებარე შავი ზღვის აკვატორიის გეოლოგიურ აგებულებასთან და ნავთობგაზშემცველობასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები ჯერ კიდევ დეტალურ კვლევა-ძიებას მოითხოვს, რისთვისაც ამიერკავკასიის მთათაშუეთის ცენტრალური (იმერეთის) აზვეების ფარგლებში, სადაც ყურადღების ღირსია ტოარს-აალენური ასაკის კარბონატულ-ტერიგენული ნალექები (800-1000 მ), უნდა მოხდეს დეტალური გეოფიზიკური კვლევა-ძიების ჩატარება ოკრიბის ამოწვევის ფარგლებში, იურიული ნალექების გეოქიმიური და ჰიდროგეოლოგიური ანალიზების შეჯერება.

### დასკვნა

ამიერკავკასიის მთათაშუეთის ცენტრალური აზეგებისა და აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის ურთიერთშეხების ზოლში უნდა დადგინდეს სურამი-გოკიშურის შეცოცებისქვეშა აგებულების ჭრილი და ნავთობგაზიანობა.

მთათაშუეთის დასავლეთი დაბირვის (კოლხეთის) ზონის აღმოსავლეთ ნაწილის მაღლაკი-ფარცხანაყანები-კოპიტნარის მოედნებზე საჭიროა დეტალური სეისმოძიების გაგრძელება აალენური სართულის ნალექების სახურავის მიხედვით და განისაზღვროს 4500 მ სიღრმეზე ქვედა და შუა იურიული ნალექების ჩაწოლის სიღრმეები.

აერომგანიტური კვლევების მონაცემებით, საყურადღებოა წალენჯიხის მაგნიტური ანომალია, სადაც სეისმოსაძიებო სამუშაოები არ ჩატარებულა, ნავთობგაზშემცველობის თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს ყულევის და დღვაბის ანტიკლინების აგებულებაში მონაწილე მეზოზოური ნალექები ოლიგოცენურ-მიოცენური ნალექებით. მეზოზოური ასაკის წყების ნალექები თანმზღებ ნავთობგაზსაძიებო კომპლექსებს წარმოადგენს, ხოლო შესაძლო ნავთობგაზშემცველი კომპლექსების დაზუსტების მიზნით საჭიროა ახალი პროგრამირებით ჩატარდეს არსებული გეოფიზიკური მასალის ინტერპრეტაცია. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეოთხეულის ქვეშ დამარხულ ზობის, საღვამიჩაოს, მალთაყვის, ყულევის, გალის, ოჩაჩირის, ტამიშის და დრანდის ანტიკლინური სტრუქტურების სიღრმულ აგებულებას. ახალი პროგრამებით ინტერპრეტაციის საფუძველზე უნდა განისაზღვროს პირველი რიგის საძიებო ობიექტები შესაძლო ნავთობგაზშემცველი კომპლექსების სიმძლავრეების და ლითოფაციების განაწილების გათვალისწინებით.

დიდი მინიშნელობა ენიჭება ს. ოქუმიან №1 ღრმა ჭაბურღილში (300 მ) ზედაიურიული ასაკის ქანებიდან მიღებულ ნავთობს, სადაც მომავალში უნდა განისაზღვროს წყალნავთობკონტური და იურიული ნალექების მიხედვით ოქუმის ამოწვის აგებულება და ნავთობგაზშემცველობა ორივე პერიფერიის მიხედვით.

დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლისა და მიმდებარე შავი ზღვის აკვატორიის გეოლოგიურ-გეოფიზიკური შესწავლის დონეზე, პერსპექტიული სტრუქტურების აგებულების დადგენის მიზნით ახალი პროგრამით შემაჯამებელი ინტერპრეტაციისას უნდა დამუშავდეს შეღფის გეოფიზიკური, გეოქიმიური და ჰიდროგეოლოგიური მასალები; დაზუსტდეს ნავთობგაზწარმოშობისათვის ხელსაყრელი არეები; გამოიყოს ნავთობგაზშემცველი ქანების მიხედვით პირველი რიგის საძიებო ობიექტები.

### ლიტერატურა

1. ზ. მიქელაძე. კოლხეთის დაბლობისა და მიმდებარე შავი ზღვის აკვატორიის საქართველოს სექტორის ცენტრალურ ზოლში მეზოზოურ ნალექებთან დაკავშირებული ნავთობიანი ჰორიზონტების მორფოლოგიის შესწავლა. ეროვნული კონპანია "საქნავთობის" ფონდები (თემატური პარტიის ანგარიში). თბილისი, 1997 წ.
2. ნ. ებრალიძე, დ. ირსიაშვილი. კოლხეთის დაბლობისა და მიმდებარე შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში მიღებული სეისმური გრავიმეტრიული და მაგნიტომეტრიული მასალის ანალიზი და ინტერპრეტაცია. ეროვნული კომპანია "საქნავთობის" ფონდები (სეისმოგეოლოგიური ანგარიში). თბილისი, 2005 წ.



УДК 551.8.763.1

Т.А. Ломинадзе, И.В. Церетели, В.А. Тодриа

## КОЛИЧЕСТВЕННОЕ СООТНОШЕНИЕ ОСНОВНЫХ ФАУНИСТИЧЕСКИХ КОМПЛЕКСОВ В БАТСКО-ТИТОНСКИХ ОТЛОЖЕНИЯХ ГРУЗИИ

**Key words:** Georgia, Bathonian, Callovian, Oxfordian, Kimeridgian, Tithonian, ammonites, biostratigraphy.

**Abstract:** The quantitative relationship of main fauna complexes in Bathonian-Tithonian deposits in Georgia.

The analysis of Bathonian-Tithonian complexes of marine fauna in Georgia revealed that on genera level their quantitative relationship varies considerably in time. The number of ammonites genera reaches maximum in Callovian and minimum in Middle and Late Oxfordian. The picture is quite different as to distribution of corals. They rarely appear in Callovian and reach their maximum development in Middle and Late Oxfordian. The formation of coral reefs and lagoons beyond reefs created unfavourable conditions for distribution and development of ammonoids. As for the microfauna its maximum quantity is observed in Middle Oxfordian.

The work presents a new biostratigraphic scheme of Bathonian-Tithonian deposits of Georgia by ammonites and foraminifera.

### Введение



**Т.В. Ломинадзе,**  
докт. геол.-мин. наук,  
проф., зав. каф. №29,  
ГГУ

Батско-титонские отложения Грузии довольно разнообразны и представлены геосинклинальными, эпиконтинентальными и лагунными образованиями. Наиболее богатыми Морскими организмами являются эпиконтинентальные отложения, представленные глинистыми и карбонатными песчаниками, мергелями, доломитами, известняками и др. Разнообразие отложений связано с частыми и, иногда, резкими тектоническими явлениями в юрское время, расширением или сужением площади акваторий, углублением или омелением палеоморских бассейнов, возвышением или размывом субстрата и другими факторами.



**И.Д. Церетели,**  
кандидат геол.-мин.  
наук.

На распространение и развитие морских организмов довольно сильно влияли трансгрессии и регрессии, господствующие течения, изменения температуры воды, возникновение островных барьеров и другие факторы.



**В.А. Тодриа,**  
докт. геол.-мин. наук.

Из юрских образований Грузии был собран богатый палеонтологический материал. Выявлены отдельные слои с хорошо сохранившимися остатками фауны и флоры. Почти из всех литологических свит собран микропалеонтологический материал, а в бзыбской (пестроцветной) свите Абхазии был найден позвонок динозавра (*Gabunia et al.*, 1998). Однако необходимо отметить, что значительное количество

слоев еще в недостаточной степени охарактеризованы палеонтологическим материалом.

Данная работа является первой попыткой выявления количественного соотношения батско-титонских морских организмов, обнаруженных на территории Грузии

### Основная часть

Самой интересной и в то же время архистратиграфической группой является Ammonoidea (Djanelidze, 1933; Кахадзе, 1942; Химшиашвили, 1957, 1976, 1984, 1989; Ломинадзе, 1967, 1982; Церетели, 1968, 1989; Пайчадзе, 1973, 1976). При изучении имеющегося в нашем распоряжении материала нам пришлось провести ревизию, сравнение и сопоставление целого ряда систематических единиц аммоноидей с современной номенклатурой, как на уровне семейств, так и родов и видов, что позволило уточнить целый ряд стратиграфических вопросов и более подробно расчленить отдельные ярусы юрской системы Грузии по аммонитам (Топчишвили и др., 2006; см.здесь схему).

Полученные результаты позволили более четко восстановить как картину географического распространения родов головоногих моллюсков, так и их чередования во времени. Необходимо отметить, что нами здесь не рассматриваются филлоцератиды и литоцератиды, так как представители этих групп имеют очень широкие пределы стратиграфического распространения.

В батском веке в морях Грузии были распространены представители 12-ти родов аммонитов, из которых в келловейские моря переходят лишь 3. В собственно келловейском веке встречаются представители 29-ти родов, из которых в оксфорде продолжает существование лишь 1 род, а еще один - доживает до титонского века. В оксфордском веке встречаются 6 родов, в кимериджском - 8, из которых 7 не выходят за пределы данного века. В титонском веке количество родов увеличивается вдвое и достигает 16. Из них 15 родов характеризуют собственно титонский ярус.

Таким образом, в бассейнах батско-титонского времени на территории Грузии были распространены представители 64-х родов 11-ти семейств аммонитов.

Подобная изменчивость количества родов аммоноидей в отдельных веках была обусловлена непостоянством геологических условий в юрское время. Так, на территории современной Грузии в раннебатское время закончился регрессивный цикл и в конце среднего бата на участке Рача-Кударо началась морская трансгрессия, которая получила более широкие масштабы в последующем, келловейском веке. Расширение эпиконтинентального бассейна вызвал расцвет аммонитовой фауны.

Начиная со среднего оксфорда стали развиваться береговые и барьерные коралловые рифы, что создало неблагоприятные условия для дальнейшего распространения и расцвета аммонитов. Этим объясняется резкое сокращение количества их родов. Морская регрессия достигла максимума в кимериджском веке, что привело к омелению бассейна, поэтому небогатая аммонитовая фауна сохранилась лишь в отдельных, относительно глубоких участках залива. Только в конце титонского века вновь усиливается морская трансгрессия и создаются более благоприятные условия для дальнейшего развития аммонитов.

При сравнении классической схемы У.Аркелла (Arkell, 1957) с нашими данными,

можно заметить, что соотношение количества родов аммонитов в батско-титонском диапазоне геологического времени в глобальном масштабе с аналогичными данными для Грузии выглядит следующим образом: по данным Аркелла, в глобальном масштабе в батском веке были распространены представители 55 родов аммонитов, в Грузии же - 12 (21,8%), в келловейском - 115 и 29 (25,2%), в оксфордском - 95 и 6 (6,3%), в кимериджском - 75 и 8 (10,7%), в титонском - 90 и 16 (17,8%).

**Биостратиграфическое расчленение батско-титонских отложений Грузии по аммонитам и фораминиферам**

Ярус	Подъярус	Субсредиземноморская провинция	Грузия (Аммониты)	Грузия (Фораминиферы)
Титонский	верхний	Transitorius		Слои с Feurtilia frequens - Pseudocyclamina parvula
		Scruposus		
	средний	Palmatus		Слои с Charentia compressa - Mesoendothyra ex gr. Izumiana
		Cillata		
		Bavaricum		
		Vimeneus		
нижний	Tripicatus			
	Huonotum			
Кимериджский	верхний	Beckeri		Слои с Alveosepta jaccardi personata - Pseudocyclamina lituus
		Eudoxus		
		Acanthicum	Acanthicum	
	нижний	Divisum	Divisum	
		Hypselocyclum		
Platynota				
Оксфордский	верхний	Planula		Слои с Alveosepta jaccardi jaccardi - Epistomina nemunensis
		Bimammatum		
		Bifurcatus		
	средний	Transversarium	Transversarium	Слои с "Ceratolamarckina" subspeciosa - Trocholina conica
		Plicatilis	Plicatilis	
	нижний	Cordatum	Cordatum	Слои с Lenticulina polonica polonica - Lenticulina tumida
Mariae				
Келловейский	верхний	Lamberti	Lamberti	Слои с Lenticulina cultratifomis - Lenticulina pseudocrassa
		Athleta	Athleta	
	средний	Coronatum	Metomphalum	
		Anceps		
		Gracilis	Gowerianus	
нижний	Macrocephalus	Macrocephalus	Слои с Lenticulina sculpta - Epistomina parastelligera	
Батский	верхний	Discus		Слои с Epistomina mosquensis - Trocholina conica conica
		Retrocostatum	Julii	
	средний	Bremeri	Bremeri	Слои с Ammodiscus colchicus - Lenticulina praerussiensis
		Morrisi		
		Subcontractus		
		Progracilis		
	нижний	Aurigerus	Yeovilense	Слои с Ophthalmidium infraoolithicum - Sublamarckella costifera
Zigzag				
Паркинсоновский	верхний	Parkinsoni	Parkinsoni	
		Garantiana	Garantiana	
		Niortense	Niortense	

Данные Аркелла, возможно, несколько устарели, однако вышеприведенные процентные соотношения, скорее всего, мало изменились. Следует принять во внимание и то обстоятельство, что батско-титонские морские отложения Грузии фаунистически охарактеризованы весьма неодинаково.

В позднеюрских образованиях Грузии значительное место занимают кораллы. Они представляют собой довольно разнообразную группу, характеризующую рифовые и другие, смежные с ними фации. В Грузии установлено 34 рода кораллов. В келловее обнаружен только один род. Наиболее богаты ископаемыми кораллами оксфордские образования - 27 родов. Из них 15 обнаружены в средне- и верхнеоксфордских отложениях; 5 переходят в кимериджские образования, а 7 же - достигают титонские. В собственно кимериджских отложениях встречаются 16 родов, из которых 4 характерны для данного века. Из титонских отложений оределены 9 родов, среди которых диапазон только одного рода не выходит за пределы данного яруса (Бендукидзе, 1982).

В батско-раннеоксфордском диапазоне геологического времени, когда в эпиконтинентально-береговой полосе моря накопились терригенные отложения, для развития кораллов были неблагоприятные условия. Со среднего оксфорда, с осадждением крупнозернистого материала начинается карбонатная седиментация. Сложилась хорошие условия для развития этих животных и начинают образовываться барьерные коралловые рифы (Бендукидзе, 1967). В этом отрезке времени наблюдается наибольшее количество коралловых родов. В последующем, в связи с углублением некоторых участков бассейна, количество родов этих организмов начинает уменьшаться.

В батско-титонское время были широко распространены также и гастроподы, общее количество родов которых достигает 73-х (Двали, 1972). В частности, в келловейском веке распространены представители 16-ти родов, из которых 9 после келловей не известны. В оксфордском веке распространен 21 род, из которых 5 не выходят за пределы данного века, а 16 - переходные. В кимериджское время встречаются 18 родов. Наиболее богаты гастроподами титонские отложения, в которых отмечены 25 родов, из которых 10 являются титонскими, а остальные - переходные.

В юрских отложениях Грузии довольно часто встречаются плеченогие моллюски и, реже, ежи. Описана лишь незначительная часть плеченогих, что же касается ежей, то они по сей день не изучены.

Широкое географическое распространение имеют двустворчатые моллюски. Описано около 70-ти видов, которые относятся к 22-м родам 11-ти семейств. Господствующие роды, такие как *Avicula*, *Mytilus*, *Modiola*, *Pinna*, *Plagiostoma*, *Lima*, *Stenostreon* и др., пользуются широким стратиграфическим распространением, поэтому, в большинстве случаев, трудно установить чередование во времени семейств и родов (Кахадзе, 1942; Химшиашвили, 1957; Ратиани, 1989 и др.).

В юрских образованиях Грузии широким распространением пользуется микрофауна. Начиная от позднебайосского времени по ранний оксфорд, в основном, в условиях терригенного осадконакопления, в регионе распространилась характерная суббореальная ассоциация фораминифер, которая особенно расцвела в позднебатско-среднекелловейском диапазоне геологического времени и пришла в упадок в течение раннего оксфорда (Тодриа, 2005).

В отмеченной суббореальной ассоциации фораминифер, в процессе среднебатско-раннеоксфордского биоцикла, развились нодозариидо-эпистоминидовые комплексы с определенными индекс-видами.

Обилием и многообразием фауны фораминифер выделяется среднеоксфордское время, когда, на раннем этапе рифогенеза, началось расчленение единого бассейна и, в условиях карбонатного осадконакопления, в бассейне распространилась смешанная, суббореально-средиземноморская, переходная ассоциация фораминифер.

Начиная с позднего оксфорда, в значительно расчлененных бассейнах распространились два различных комплекса. В частности, в области развития рифов распространилась микрофауна средиземноморского типа, а в относительно изолированных лагунах расцвела сохранившаяся здесь нодозариидо-эпистоминидовая ассоциация суббореального типа. Аналогичная ситуация продолжалась до начала раннего кимериджа. На протяжении остальной, большей части раннекимериджского времени, в условиях последующего развития коралловых рифов и, следовательно, расчленения бассейна, повсюду распространилась почти однообразная, типичная средиземноморская ассоциация фораминифер.

В диапазоне позднекимериджско-раннетитонского времени расчленение бассейна достигло максимума и на территории современной Грузии распространилась небогатая, однако не так уж однообразная фораминиферовая ассоциация.

Начиная с конца среднетитонского, а особенно в течение познетитонского времени, во вновь объединенном бассейне, в условиях нормальноморского карбонатного осадконакопления развилась разнообразная ассоциация микрофауны с индекс-видами (схема 1). В это время, наряду с бентосными фораминиферами, в бассейне распространились и планктонные тинтиниды из класса инфузорий.

Всего, на разных этапах батско-титонского отрезка геологического времени, из распространенной в регионе микрофауны было установлено следующее количество родов: в бате - 31, в келловее-раннем оксфорде - 42, в среднем и позднем оксфорде - 47, в кимеридже - 21 и в титоне - 18 (Годриа, 2005).

### Заключение

Таким образом, анализ батско-титонских морских фаунистических комплексов региона показал, что на уровне родов их количественное соотношение, на определенных отрезках геологического времени, довольно изменчиво. Так например, количество аммонитовых родов достигает максимума в келловейском веке, а минимум приходится на средне-позднеоксфордское время. Противоположная картина наблюдается в распространении кораллов во времени. Они весьма редко встречаются в келловее, а максимума развития достигают в средне-позднеоксфордское время. Что же касается микрофауны, пик их количественного максимума также приходится на средний оксфорд. На этот период времени совпадает и этап максимального развития коралловых рифов и зарифовых лагун, что, с другой стороны, создало крайне неблагоприятные условия для распространения и развития аммоноидей.

## Литература

1. Arkell W. Treatise on Invertebrate Paleontology. Mesozoic Ammonoidea. Part. L., 1957, Mollusca. - 490 p.
2. Djanelidze A. Matériaux pour la Georgie du Radcha. // Bull. de l'Inst. Geol. de Georgia, v.1. f.1. 1933, 80 p.
3. Gabunia L., Mchedlidze G., Chkhikvadze V., Lucas S. Jurassic sauropod dinosaur from the Republic of Georgia. // Journ. of vertebrate Paleontology. 18 (1). 1998. P. 233-236.
4. Бендукидзе Н.С. Геологическое строение верхнеюрских отложений Рачи и Юго-Осетии. Фонды ГИН Грузии. 1967. - 150 с. (на груз.яз.)
5. Бендукидзе Н.С. Позднеюрские кораллы рифогенных отложений Кавказа и Крыма. Тбилиси: Мецниереба, 1982.- 202 с.
6. Двали Т.К. Материалы к изучению юрских брахиопод Грузии //Вопр. палеонтологии и стратиграфии Мезозоя. Тбилиси: Мецниереба, 1972.
7. Ломинадзе Т.А. Келловейские макроцефалитиды Грузии и Северного Кавказа. Тбилиси: Мецниереба, 1967.- 208 с.
8. Ломинадзе Т.А. Келловейские аммонитиды Кавказа. Тбилиси: Мецниереба, 1982.- 272с.
9. Пайчадзе Т.А. Стратиграфия и фауна верхнеюрских отложений Юго-Осетии// Тр.ГИН АН Грузии. Нов. сер., вып.41, 1973.- 92 с.
10. Пайчадзе Т.А. Позднеюрская фауна Абхазии. //Фонды ГИН АН Грузии, 1976.- 93 с.
11. Ратиани Р.В. Двустворчатые моллюски поздней юры Кавказа. Тбилиси: Мецниереба, 1987.- 93 с.
12. Тодриа В.А. Стратиграфия и палеобиогеография бата-валанжина Грузии по микрофауне. Фонды ГИН Грузии. 2005.- 297 стр. (на груз. яз.)
13. Топчишвили М.В., Ломинадзе Т.А., Церетели И.В., Тодриа В.А., Надареишвили Г.Ш. Стратиграфия юрских отложений Грузии// Тр. Нов. сер., вып. 122. Тбилиси: Полиграфист., 2006.- 449 с.
14. Химшиашвили Н.Г. Верхнеюрская фауна Грузии. Тбилиси: Мецниереба, 1957.- 313 с.
15. Химшиашвили Н.Г. Аммоноидеи титона и берриаса Кавказа. Тбилиси: Мецниереба, 1976.- 206 с.
16. Химшиашвили Н.Г. Гроссуврийны Кавказа. Тбилиси: Мецниереба.1984.- 80 с.
17. Химшиашвили Н.Г. Берриасселиды Кавказа. Тбилиси: Мецниереба, 1989.- 86 с.
18. Церетели И.Д. Батские аммониты Грузии. Тбилиси. Изд-во "Мецниереба". 1968. 99 с.
19. Церетели И.Д. Батские оппелиды Закавказья. Тбилиси: Мецниереба. 1989.-128 с.

## ВЫЯВЛЕНИЕ РАЗРЫВНЫХ НАРУШЕНИЙ В ВЕРХНЕЙ ЧАСТИ ЗЕМНОЙ КОРЫ С ПОМОЩЬЮ МЕТОДА ТРАНСФОРМАНТ АНОМАЛИЙ СИЛЫ ТЯЖЕСТИ $\Delta g$ ГРАВИМЕТРИЧЕСКИХ И ГЕОЭЛЕКТРИЧЕСКИХ ПОЛЕЙ ПЛОЩАДИ ПРИТБИЛИССКОГО РАЙОНА

Представлена член-корреспондентом Инженерной академии Грузии П.Ш. Миндели

**Key words:** Anticlines, synclines, anomaly of force of gravity, sismogravitation, geoelectric welding, drilling

**Abstract:** The depth destruction reveal in the upper part of the earth crust in tbilisi surrounding area applying the  $\Delta g$  anomalous and geoelectric field transformants.

In the Tbilisi surrounding area for revealing the depth destruction along the Khrami-Samgori-Alazani profile the geological-geophysic investigation data generalization has been considered.

For the purpose gravimetrical and geoelectric field transformation methods has been applied.

As it was expected the results obtained by abovementioned geophysical methods coincided with the data fixed by the well hole and the identification of the fixed destructions had been happened. The obtained results allow to recommend drilling of the Satskhenisi Anticlone vault of 5,0 km depth of the well hole for opening the oil and gas Middle Eocene Horizon.

### Введение



Н. Ш. Хундадзе,  
кандидат физ.-мат. наук,  
проф., зав. кафедрой

Для выяснения возможностей использования материалов гравiorазведки и геоэлектроразведки, с целью выявления в их возмущающих полях признаков отдельных погребенных структурных элементов, нами исследованы различные трансформанты аномалий силы тяжести  $\Delta g$  и геоэлектрических полей.



А. И. Русадзе,  
кандидат геол.-  
мин. наук, горный  
инженер, геоф.

### Основная часть



З.А. Арзиани

Из геологических задач, успешно решаемых методами трансформант, прежде всего следует отметить выделение и исследование разрывов в земной коре, особенно в ее верхней части, играющих исключительно важную роль в формировании и размещении нефтегазовых структур. Трансформантами полного нормированного градиента (ПНГ) силы

тяжести  $G_H(X, Z)$  установлено, что распределение максимумов их значений вдоль изучаемого профиля позволяет определить как местоположение разрывных нарушений, так и наметить разграничивающие признаки между вертикальными и наклонными разрывами [8,10]. Так как оператор  $G_H$  является математическим фильтром наблюдаемого гравиметрического поля, его с успехом можно использовать и при интерпретации геоэлектрических данных [7].

Ввиду отсутствия в Притбилисском районе достаточных данных о его глубинной тектонике, эта площадь привлекла особый интерес по изучению глубин с помощью метода трансформанта гравито- и геоэлектроразведочных материалов. В тектоническом отношении эта площадь охватывает три геотектонические единицы - Грузинскую глыбу, Аджаро-Триалетскую складчатую зону и Артвино-Болнисскую глыбу, которые отличаются друг от друга ориентировкой основных структурных элементов, их интенсивностью и фациально-литологическими особенностями [5].

Объектом исследования на этой площади залегания глубин источников аномальных полей силы тяжести и геоэлектрических полей рассмотрены поведение трансформант как вариационной аномалии Б.А. Андреева, так и двух- и трехмерных полных нормированных градиентов силы тяжести  $\Delta g$  В.М. Березкина и К.М. Картвелишвили, и полного нормированного градиента геоэлектрического поля Г.Г. Джаши.


Трансформанту вариационной локальной функции Б.А. Андреева [1] мы рассматриваем в более общей форме:

$$\delta\Delta g(X) = \Delta g(X) - \frac{1}{2\pi} \sum_{j=1}^n [\Delta g(X + nL) - \Delta g(X - nL)],$$

где  $\Delta g(X)$  -исходная аномалия в точке вычисления выбранного нами субмеридионального профиля II-II' Храми-Самгори-Алазани длиной 83 км, пересекающего известные на площади нефтегазовые структуры;  $L$  -оптимальная величина интервала осреднения (шаг), от которого зависит четкость выделения локальной и подавление региональной составляющей;  $n$  -количество точек в интервале осреднения согласно [1] произведено вычислениями трансформант наблюдаемого поля силы тяжести  $\Delta g$  .

Суть метода ПНГ силы тяжести В.М. Березкина состоит в пересчете наблюдаемой аномалии силы тяжести  $V_X(X, O)$  в особую безразмерную функцию  $G_H(X, Z)$  и в ее аналитическом продолжении в сторону возмущающих масс (особой точки). В теории аналитических функций [16] особые точки определяются как точки, при приближении к которым аналитические функции теряют аналитичность и разрушаются. Для бесконечного горизонтального цилиндра, центр цилиндра является особой точкой, так как в этой точке  $\Delta g = \infty$  .





На рисунке 1 приведен один частный пример, иллюстрирующий работоспособность и эффективность составленной программы. Модель представляет собой два горизонтальных цилиндра с глубинами залегания 2 км, расстояние между центрами которых 2 км. Длина интервала задания исходного поля  $\Delta g$  равна  $L = 20$  км и расстояния между точками  $\Delta X = 1$  км. Представленная картина со всей наглядностью показывает, что при отсутствии всякой информации об источниках аномалий силы тяжести  $\Delta g$  метод ПНГ уверенно позволяет установить, что аномалия ПНГ  $G_H(X, Z)$  при гармонике  $N = 40$  имеет два основных источника на глубине около 2 км с расстоянием между ними также равным 2 км.

Рис. 1. Кривые  $\Delta g(X, 0)$ ,  $V_{X,Z}$ ,  $V_{ZZ} G_n(X, 0)$  и поле  $G_n(X, Z)$  для двух цилиндров при гармониках  $N = 10, 40$  и  $50$ .

Определение особой точки в методе ПНГ осуществляется согласно формуле, предложенной В.М. Березкиным [2]:

$$G_H(X, Z) = \sqrt{V^2_{X,Z}(X, Z) + V^2_{Z,Z}(X, Z)} / \frac{1}{M} \sum_{i=1}^M \sqrt{V^2_{X,Z}(X_i, Z) + V^2_{Z,Z}(X_i, Z)},$$

где  $V_{XZ}$ ,  $V_{ZZ}$  - горизонтальная и вертикальная производные исходной функции  $V_Z(X)$ ;  $M$  - число точек задания  $V_Z$  на профиле наблюдений длиной  $\ell$ . Математическим аппаратом вычисления поля  $G_H(X, Z)$  являются ряды Фурье и сводятся к процедуре вычисления рядов пространственной функции, заданной в дискретных точках плоскости. Причем определение значений поля ПНГ  $G_H(X, Z)$  сводится к следующей процедуре последовательности вычислений: коэффициенты  $B_n$  ряда Фурье или гармоник вычисляются приближенным способом (метода Филона [17]); найденные  $B_n$  подставляются в ряды Фурье, с помощью которых и вычисляются ПНГ  $G_H(X, Z)$ . Наиболее наглядную картину фиксации глубинных разрывов вдоль профиля II-II<sup>1</sup> дает т.н. осредненный параметр Чезари [6], определяемый по формуле

$$\bar{G}_H(X) = \sum_{i=0}^n G_H(X, Z_i) / n,$$

где  $G_H(X, Z_i)$  - значение  $G_H(X, Z)$  на  $i$ -ом уровне в точке  $x$ ;  $n$  - число уровней паресчета. Максимумы осредненного параметра  $\bar{G}_H(X)$  очень четко фиксируют положения разрывов

вдоль вышеотмеченного профиля II-II<sup>1</sup> (ПК 836, 49, 60, 71). Таким образом, параметр  $\overline{G}_H(X)$  может быть с успехом использован в качестве критерия для обнаружения разрывных нарушений в верхней части земной коры.

По данным  $\Delta g$  эталонного профиля II-II<sup>1</sup> Храми-Самгори-Алазани вычислены значения поля ПНГ  $G_H(X, Z)$  как на уровнях  $Z=0, 1, 2, \dots, 11$  км при оптимальной гармонике  $N = 30$ , так и значения осредненного параметра  $\overline{G}_H(X)$ , где цифрами отмечены экстремумы максимумов разрывных нарушений вдоль профиля II-II<sup>1</sup>(рис. 2).





Рис. 2. Кривые ПНГ  $G_H(X, Z)$  и  $\overline{G}_H(X)$  вдоль эталонного профиля II-II<sup>1</sup> Храми-Самгори-Алазани, где цифрами явно выделяются экстремумы максимумов разрывных нарушений.

Трехмерный полный нормированный градиент (ТПНГ) поля аномалии силы тяжести, согласно К.М. Картвелишвили и др. [10], по аналогии с двумерным, имеет вид

$$G_{H3}(X, Y, Z) = \frac{\sqrt{V^2 XZ(X, Y, Z) + V^2 YZ(X, Y, Z) + V^2 ZZ(X, Y, Z)}}{\frac{1}{MN} \sum_{M=1}^M \sum_{N=1}^N \sqrt{V^2 XZ(X_i, Y_K, Z) + V^2 YZ(X_i, Y_K, Z) + V^2 ZZ(X_i, Y_K, Z)}}$$

где  $M \cdot N$  - число точек, в которых задана исходная функция. Для процедуры аналитического продолжения поля  $V_Z(X, Y, Z)$  или его производных в сторону возмущающих масс (особой точки) следует умножить на слагающий оператор множителя Римана-Ланцоша [2].



რის. 3. Геолого-геофизический разрез эгалонного профиля II-II' Храми-Самгори-Алазани

Математический аппарат вычисления ТПНГ согласно [10] сводится к вычислению двойных рядов Фурье. При этом, для определения коэффициентов  $B_m$ ,  $n$  двойного ряда Фурье применяется формула Филоня [17], которая предназначена для интегрирования быстро осциллирующих функций. Осредняющий же параметр трехмерной модели ТПНГ  $\bar{G}_{H3}(X, Y, Z)$ , направленной к центру тяжести источника (особой точки), вычисляется с помощью среднего Чезари, благодаря которому максимальному значению  $\bar{G}_{H3}(X, Y, Z)$  будет соответствовать местоположение особых точек.

С целью выявления возможностей от отдельных видов трансформант на участке Притбилисского района выбраны три "эталонных" профиля I-I<sup>1</sup>, II-II<sup>1</sup>, III-III<sup>1</sup>, два из которых I-I<sup>1</sup>, II-II<sup>1</sup> имеют субмеридиональное направление, III-III<sup>1</sup> СВ-ЮЗ-ное. Основным признаком выбора этих профилей явилось то, что они пересекают известные нефтегазовые антиклинальные структуры, в том числе по профилю I-I<sup>1</sup> - Норийскую, Телетскую, Руставскую и Алгетскую; по профилю II-II<sup>1</sup> - Сацхенисскую, Самгорскую, Южно-Самгорскую, и профилю III-III<sup>1</sup> - Самгорскую, Южно-Самгорскую, Телетскую, Зап.-Руставскую и Марнеульскую. Из этих структур возможно нефтегазовыми могут оказаться Сацхенисская, Марнеульская и Алгетская структуры (см. рис. 4).


Для иллюстрации на рис. 3 приведен геолого-геофизический разрез интерпретационной модели эталонного профиля II-II<sup>1</sup> Храми-Самгори-Алазани. Этот разрез аппроксимирован набором прямоугольных призм шириной 1 км, а избыточные плотности взяты относительно планетарной модели континентальным типом земной коры (К.М. Картвелишвили, 1982) [11]. В модели также заложены геологические объекты (антиклинали, разрывы и другие сейсморазведочные структурные элементы), к которым по кровле среднего эоцена выделены зоны положительных локальных аномалий, приуроченных к Сацхенисской, Самгорской, Юж.-Самгорской, Сев.-Руставской, Руставской и Алгетской антиклинальным структурам.

При составлении эталонной модели профиля II-II<sup>1</sup> использованы геологические данные А.Г. Лалиева и З.В. Мгеладзе (сев. часть профиля от Гомбори до р. Алазани) [12] и Е.К. Вахания, Д.Ю. Папава [4] от Гомбори до р. Храми. Согласно этим данным, от Гомбори до р. Алазани профиль охватывает аллохтонный покров меловых и палеогеновых отложений, а в южной части, в пределах устья рек Алгети и Храми, воздымающие отложения фундамента юры, мела и палеогена.

При поиске нефтегазоносных структур в Притбилисском районе из наблюдаемого поля  $\Delta g$  вычислены трансформанты положительной локальной гравитационной аномалии, площадное распределение которых было определено по результатам данных вариационной аномалии Б.А. Андреева -  $\delta\Delta g(x)$  [1], остаточной аномалии по способу Саксова и Нигарда -

$R(g)$  [19]: аномалии вторых вертикальных производных - по Элькипсу и Розенбаху -  $\frac{\partial^2 g}{\partial z^2}$

[18, 20]. Первые подобные исследования нами были начаты еще в 1959-1960-тые, а затем продолжены в 1999-2004 годы. На рис. 4 приводится сводная схема сопоставления данных локальных аномалий (трансформант) силы тяжести  $\Delta g$  с данными результатов сейсморазведки и бурения. Согласно анализу этих данных, основная часть гравиметрических трансформант силы тяжести  $\Delta g$  совпадает с выявленными сейсморазведкой структурами по кровле ср. эоцена. При этом, сопоставление показало, что локальные положительные аномалии в виде трансформант в пределах крупных геотектонических единиц площади Притбилисского района характеризуются сложным строением локального положительного аномального поля силы тяжести  $\Delta g$ . Они проявляются на севере в пределах Грузинской глыбы, выделенных в субширотной Норио-Манавской (I), в центре Тбилиси-Сагареджойской (II), соответствующей восточному погружению Аджара-Триалетской складчатой зоны; южнее, в районе Артвино-Болнисской глыбы, расположенной Кумиси-Руставской (III), и юго-восточнее - разнонаправленных Марнеульской (IV), Алгети-Гардабанской (V), Удабнойской (VI) и Мцарекевской (VII) локальных аномалиях, которые южнее Сагареджо также охватывают Малхазовский субвертикальный тектонический узел с опрокинутыми с севера на юг структурами.



Особо следует отметить, что в вертикальном поле ПНГ  $G_H(X, Z)$ , вдоль эталонного профиля II-II<sup>1</sup> Храми-Самгори-Алазани выделяются зоны высоких градиентов (ЗВГ) и зоны низких градиентов (ЗНГ). Из них вдоль профиля при выбранной оптимальной гармонике  $N = 30$  заложены в модели четырех ЗВГ, которые согласно рис.5 располагаются между пикетами: I зона - ПК 3-10; II зона ПК 32-39; III зона ПК 47-50 и IV зона ПК 60-78. Особенностью вертикальных полей ПНГ  $G_H(X, Z)$  является то, что к этим ЗВГ на юге приурочены глубинные разломы, обусловленные воздыманием кристаллического фундамента на участке I зоны (Храми-Алгети), а на севере-наличием воздымающейся на участке IV зоны (Гомборы-Алазани) аллохтонных пород мезокайнозойских отложений. На основе анализа вертикального поля ПНГ  $G_H(X, Z)$  при гармонике  $N = 30$  отчетливо выделена ЗНГ между ЗВГ II и III. Наличие ЗНГ следует объяснить присутствием воздымания двух самгорских антиклинальных нефтегазовых структур в верхних слоях земной коры, заложенных моделью, т.о. приходим к выводу о том, что от ЗВГ фиксируют разрывные нарушения, а оси ЗНГ-антиклинальные структуры, которые в то же время являются критериями выделения геолого-геофизических структурных элементов.




Рис. 5. Поля для  $G_H(X, Z)$  разных значений  $N$ .

Аналогично гравитационному моделированию земной коры, Г.Г. Джаши [7], используя эффективный оператор М.А. Киричека -  $\delta\rho_{KH}^i$  [3], предложил моделирование верхней части земной коры путем использования геоэлектрических данных. При интерпретации экпе-







მეცნიერება

-

გეოლოგია

-

SCIENCE

2. Березкин В. М. Метод полного градиента при геофизической разведке. М.: Недра, 1980. -188 с.
3. Березкин В. М, Киричек М.А., Куранов А.А. Применение геофизических методов разведки для прямых поисков месторождений нефти и газа. М.: Недра, 1978.
4. ვახანია ე. ყ., პაპავა დ. ი. მატოცხლებელი შადრევანი. თბილისი: სამშობლო, 1964. -150 გვ.
5. Гамкрелидзе И. П. Вновь о тектоническом расчленении территории Грузии//Труды АН Грузии, вып. 115. Тбилиси, 2000, с.204-208.
6. Жужунашвили Л.В. Некоторые вопросы теории тригонометрических рядов Фурье и их сопряженных. Тбилиси, 1993.- 410 с.
7. Джаши Г.Г., Габуния А.С., Миндели П.Ш., Гванцеладзе Т.А. К вопросу интерпретации геоэлектрического поля методом полного нормированного градиента// Нефть и газ Грузии, №3(8). Тбилиси, 2003, с. 77-84.
8. Kartvelishvili K., Gabunia A., Gvantseladze T. Normalized transformants gravitiv field and singular points. GCJ., Tbilisi, vol. 4, 1999, p.65-76.
9. Kartvelishvili K., Gabunia A. On analitic prolongation of gravitational field with the heif of Furier series. GGI, Tbilisi, vol. GA, 2001, p.48-53.
10. Картвелишвили К. М., Миндели П. Ш., Капанадзе Д. В., Гванцеладзе Т. А., Джаши Г.Г. Трехмерный полный нормированный градиент силы тяжести и расчет глубины залегания источников аномального поля//Нефть и газ Грузии, №9, 2004, с. 32-39.
11. Картвелишвили К.М. Планетарная плотностная модель и нормальное гравитационное поле Земли. М.: Недра, 1982.-95 с.
12. Лалиев А. Г. Об основных геологических предпосылках поисков залежей нефти и газа в Грузинской ССР.- В кн. "Критерии поисковых зон нефтегазопроявления." М.: Наука, 1979, с. 199-205.
13. Мудрецова Е.А. Методы интерпретации гравиметрических и магнитных данных при поисках нефти и газа с применением метода регуляризации. Методы решения некоторых задач и их приложения. Новосибирск: Изд ВЦСО АН СССР, 1982, с. 92-106.
14. Русадзе А.И. Строение осадочного чехла Притбилисского района по геофизическим данным. Дис. на соиск. учен. степени к.т.н. Тбилиси, 1998. -161с.
15. Страхов В.Н., Иванов С.Н. Регуляризованный конечно-разностный алгоритм аналитического продолжения потенциальных полей. Препринт, М., ИФЗ АН СИР, 1981. - 16 с.
16. Тихонов А. Н., Гласко В. Б., Литвиненко О. К., Мелихов В. Р. О продолжении потенциала в сторону возмущающих масс на основе метода регуляризации// Физика земли, №12 М., 1968, с. 30-48.
17. Хемминт Р. В. Численные методы. М.: Наука, 1968. -122 с.
18. Rosenbach O. A. Contribution to the second derivatives from gravity date. Geophysica No 4. 1953.
19. Saxov S. and Nygard K. Residual Anomalic and Depth Estimation/ Geophysics T. !! No 4., 1953.
20. Элькинс А. Вторые производные аномалий силы тяжести и ее использование при интерпретации гравиметрических исследований //Геофизика. Питсбург, Пенсильвания, 1950.

## აღმოსავლეთ შავი ზღვის ღრმულის გეოლოგიური აგებულება ნავთობგაზიანობის პერსპექტივების თვალსაზრისით

წარდგენილია რუსეთის ფედერაციის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიკოს ზ. მგელაძის მიერ

**Key words:** Oil, gas, methane, structure, sediment, water area, airhydrates.

**Abstract:** Geological structure of the east black sea basin from oil-gas perspective point of view.

On the basis of long-term geology physics researches of the East Black Sea hollow and data of drilling wells of different destinations within the west (Kolhida) zone of submersion Trans Caucasian Mountain Chain region conducted by the leading specialists of the black sea countries point at the tight structural connection of both tectonic units. For all this numerous surface outcrops, oil gas shows in the process of drilling and the presence of beds within West Georgia together with possibly rich content of hydrocarbon in the west part of the aquatoria of the black sea (metaloisolation from the bottom, high concentration of gas hydrates, sections of mud volcanis and dialerisms). Evidently points at the perspectives of oil-gas bearing of the sedimentary cover of the East Black Sea hollow.

For all this in the South-West part of the latter the search interest is connected with the powerful malanic formation (5km). At olipoden pliocene, and in the northwest part they are passing searching object (about 1500 m) Mesozoic terechen carbonat deposits (upper baisot- bat, upper mountain and upper chale (together about 2500-3000m).

On the basis of the analysis of geology –geophysical researches in the equatory and dates of drilling within the coastal part of West Georgia numerous anticline folds of Land Sea have been revealed and deep structures which still need detailed geophysical research for the purpose of specifying the primary searching objects for oil and gas.

### შესავალი



ს. გაგუა,  
ასოცირებული  
პროფესორი

აღმოსავლეთ შავი ზღვის ღრმულისა და მასთან მიმდებარე საქართველოს სანაპირო ტერიტორიის სტრუქტურულ-ტექტონიკური აგებულებისა და ნავთობ-გაზიანობის საკითხებს ეხება მრავალი ავტორის ნაშრომი [1,10]. შავი ზღვის აკვატორიაში 1970 წლიდან წარმოებული სეისმოძიებითი სამუშაოების შედეგად გამოირკვა, რომ დანალექი საფარის სიმძლავრე 12 კმ აღემატება, ხოლო ზედაცარცულის სახურავზე შედგენილი სტრუქტურული სქემების მიხედვით დასავლეთ და აღმოსავლეთ შავი ზღვის ღრმულები ანდრუსოვის აზეგებითაა განმხოლოებული. ეს უკანასკნელი სოკორინის და ტუაფსეს



ვ. ლოსაბერიძე,  
სამთო-გეოლოგიური  
ფაკულტეტის დეკანის  
მოადგილე

**მეცნიერება**

**ბიოლოგია**

**SCIENCE**




**დ. ვაზანია,**

სს ნავთობკომპანია „თელეთის მიწისქვეშა გაზსაცავების“ მშენებლობის გეოლოგიური სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, გეოლოგ-ინჟინერი. მ.ე.წ. დოქტორი

როფებისაგან გამოიყოფა შატცკის აზევებით, რომლის შედგენილობაში გამოიყოფა გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირის და ყულევის შელფური თალები და მათი გამყოფი ეშერის, ტამიშის და რიონის გაღუნვები, ხოლო შატცკის აზევების სამხრეთი ფერდობი აღმოსავლეთ შავი ზღვის ღრმულისაკენ გართულებულია ციცაბოდ დაქანებული ტექტონიკური საფეხურით (ფლექსურით).



**ლ. ოქრუაშვილი,**  
 ასოცირებული პროფესორი



**ნახ. 1. შავი ზღვის დანალექი საფარის აგებულება (შლეზინგერი, 1990)**

1-3. კონტინენტური პალეოფერდობების საზღვრები:


- 1. გვიანცარცული; 2. პალეოგენურისწინა; 3. პლიოცენურისწინა; 4. თანამედროვე კონტინენტური ფერდობი; 5. ნაოჭა სისტემა; 6. კიდურა როფი; 7. ბაქური ტიპის საფარი; 8-10. ღრმაწყლიანი აუზები; 8. კონსოლიდირებული ქერქის „ბაზალტები“; 9. კონსოლიდირებული ქერქის „გრანიტები“; 10. ანდრუსოვის აზევების „გრანიტები“

მძლავრი (3 კმ-მდე) ოლიგოცენურ-ქვედამიოცენური ნალექები შელფის მიმართულებით, ზემოთ მდებარე შუა და ზედამიოცენური და პლიოცენური ნალექების სიმძლავრეებთან შედარებით, საგრძნობლად მცირდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გვიანოლიგოცენურიდან აღმოსავლეთ შავი ზღვის ღრმულის ცენტრალური ნაწილი მდგრად დაძირვას განიცდიდა, ხოლო გუდაუთა-სოხუმის და ოჩამჩირე-ყულევის შელფური მონაკვეთები კი – გვიანცარცულიდან ამოწეულ უბნებს

წარმოადგენს. აღმოსავლეთ შავი ზღვის ღრმულის ცენტრალური გალუნვის მიმართულებით გამოვლინდა პალეოცენურ-ეოცენური ნალექების სიმძლავრეების ზრდაც (2-3 კმ-მდე). ამასთან, მეოთხეულის და პლიოცენურის საგები, ეოცენურის და ზედაცარცულის სახურავები, შესაბამისად, განლაგებულია 0.5-0.8კმ, 2-3.4კმ, 5-6კმ და 7 კმ სიღრმეებზე, რაც ღრმულის კონსედიმენტაციურ დაძირვაზე მიუთითებს, ხოლო კონტინენტური ფერდობი აგებულია მეზოზოური ნალექებით (აღრეპალეოგენურიდან ფორმირებული ფლექსურა სეისმოგეოლოგიურ პროფილებზე გამოისახება, როგორც უთანხმოების ზედაპირი) (3 და 10). გეოფიზიკური კვლევები ავტორების აზრით, აფხაზეთთან და სამეგრელოსთან მიმდებარე შავი ზღვის შეღვის გეოლოგიური აგებულება ხმელეთის უშუალო გარემოს წარმოადგენს, სადაც ცარცულ-კაინოზოური ასაკის ნალექები შედარებით მცირე სიმძლავრეებით და მშვიდი გეოლოგიური აგებულებით ხასიათდება, რაც სათანადო გეოლოგიურ-გეოფიზიკური კვლევებისა და ბურღვის მონაცემების ინტერპრეტაციის შედეგად გამოიკვეთა [10]. უნდა აღინიშნოს, რომ სეისმური ტალღების არეკვლის ზედაპირებიდან ყველაზე მკაფიოდ გამოისახება ზედაცარცულის სახურავი, ტურონულის საგები, აპტურის სახურავი, ხოლო იურული ნალექების მიხედვით – გართულდა ლითოლოგიური ჭრილისა და სტრუქტურული ხასიათის დადგენა. იურული ასაკის ფორმაციების დახასიათებიდან ჩანს, რომ დღეს მათში ნავთობისა და გაზის ბუდობების ძებნა-ძიებისათვის პერსპექტიულ და ბურღვისათვის ხელმისაწვდომს წარმოადგენს ზედაიურული ლაგუნურ-კარბონატული, ბათურ-ზედაბაიოსური და ტოარულ-აალენური ტერიგენული ნალექები [2,10].

### ძირითადი ნაწილი

დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში წარმოდგენილი ბურღვის პროცესში დაფიქსირებული ნავთობისა და გაზის მრავალრიცხოვანი გამოვლინებები და ოქუშსა და ჭალადიდთან ნავთობდაგროვებები აშკარად მიუთითებს შეღფური ზოლის გუდაუთა-სოხუმისა და ოჩამჩირე-ყულევის თაღების პერსპექტიულობაზე, მაგრამ ზედაიურულზე ძველი ასაკის ქანების შესახებ სრული გეოფიზიკური ინფორმაცია ჯერჯერობით მიღებული არ არის, რაც თავისთავად მოითხოვს დეტალური გეოფიზიკური სამუშაოების ჩატარებას. ოლიგოცენურ-ქვედამიოცენური ნალექების საგებზე შედგენილი სტრუქტურული სქემის მიხედვით, ეშერის გალუნვით გამოიყოფა ოჩამჩირისა და შავი ზღვის შეღფის გუდაუთა-სოხუმის ამოწევა (სტრუქტურული ელემენტებით). ზედაცარცულის სახურავის მიხედვით გავრცელებულია 50 კმ მანძილზე (35 კმ სიგანით), სადაც 1,5 კმ იზონაზზე შემოკონტურებულია ანტიკლინურის თაღები [10]. სახმელეთო ნაწილის სოხუმის ამოწევის ნაოჭები უშუალო გავრცელებას პოულობს გუდაუთის როფისა და შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში, ხოლო გუდაუთის შეღფურ თაღზე გავრცელებული პალეოცენურ-ეოცენურ ნალექებში სეისმური ტალღების არეკვლით ზედაპირებს კარგად ებმის ბიჭვინთა-სოხუმის სანაპირო ზოლის გასწვრივ გაბურღული ჭაბურღილების ჭრილებიც, რომელთა სიმძლავრე შეღფის ეშერის გალუნვაში 200-300 მ შეადგენს და ციკაბოდ კვეთს დაქანებულ ზედაცარცულ ნალექებს და ედება ქვედაცარცულს. ოჩამჩირის თაღზე პალეოცენურ-ეოცენური ნალექების სიმძლავრეები თანდათან მცირდება და რიგ ადგილებში სრულ გადარეცხვას განიცდის. ოლიგოცენურ-ქვედამიოცენური ნალექების სიმძლავრე ხმელეთიდან შავი ზღვის აკვატორიის მიმართულებით თანდათან მცირდება 1000 მ-დან 500 მ-მდე, ხოლო ოჩამჩირის და გუდაუთის მიმართულებით 150-200 მ-მდე.




ნახ. 2. შავი ზღვის ღრმულის განვითარების სქემა (ე. გამყრელიძე, 1974, 1976; ვ. ხაინი, 1984; ლევინი, 1979; მ. მურადოვი 1972, 1975)

1. ასტენოლითი (მანტიური დიაპირი); 2. მოხოროვიჩინის ზედაპირი; 3. ბაზალტური „შრე“; 4. გრანიტული „შრე“; 5. გრანიტული და ბაზალტური შრეების სიღრმული დამუშავება; 6. დენუდაციით განადგურებული გრანიტული „შრე“; 7. დანაოჭებული მეზოზოური; 8-10. ღრმულის განვითარების სხვადასხვა სტადიის ნალექები; 8. ზედაცარცული; 9. რიფტული პალეოცენურ-ეოცენური; 10. ოლიგოცენურ-პოსტპლიოცენური; 11. წყლის ფენა; 12. მოძრაობების მიმართულება; 13. დენუდაცია; 14. რღვევა; 15. ვულკანები და მაგმის ამომყვანი არხები


მიოცენური ნალექების სიმძლავრეების განაწილების კანონზომიერებაშიც შეიმჩნევა ანალოგიური მოვლენა – გუდაუთისა და ოჩამჩირის სახმელეთო როფებიდან ზღვის აკვატორიის მიმართულებით შესაბამისად მცირდება 1000-1400 მ-დან 100-200 მ-მდე (სანაპირო ხაზზე 600-700 მ) და

ოლიგოცენურ-ქვედამიოცენური ნალექებისაგან განსხვავებით მხოლოდ ცალკეულ უბნებში განიცდის გამოსოფლვას პლიოცენური ნალექების ქვეშ, ხოლო მონოკლინურად დაძირული პლიოცენური ნალექები Ca და Cd მიმართულებით განიცდის მკვეთრ შემცირებას (1000 მ-დან 200 მ-მდე). ამავე ნალექებში გამოსახული ოჩამჩირის, გუდაუთის და სოხუმის შელფური თაღების ნაოჭები სტრუქტურულად მჭიდრო კავშირშია სახმელეთო ზოლთან. შელფის უმეტეს ნაწილში მეოტურ-პონტურის სიმძლავრეები (500-800 მ) რამდენამდე ჭარბობს შუა და ზედამიოცენური ნალექების სიმძლავრეებს (300-500 მ), ხოლო სამხრეთით მეოტური ტრანსგრესიულად ედება ზედაცარცულს [3,6,10].


ოჩამჩირე-ყულევის შელფური მონაკვეთისაგან განსხვავებით, გუდაუთის თაღის სამხრეთ ფერდობზე, მეოტურსა და ზედაცარცულს შორის ჩნდება ოლიგოცენურ-მიოცენური ნალექები, რაც ასახულია სანაპირო ზოლის ლითოსტრატиграფიულ ჭრილებშიც. გეოფიზიკური მონაცემების მიხედვით, გუდაუთა-ოჩამჩირის შელფურ ზოლში პოსტპლიოცენური ნალექების სიმძლავრე, შესაბამისად, 500 და 300 მ შეადგენს.



ნახ. 3. შავი ზღვის აკვატორიის აღმოსავლეთ ნაწილის გუდაუთა-ოჩამჩირის კონტინენტური ფერდობის გეოფიზიკური პროფილების (საერთო სიღრმული წერტილის მეთოდით) ამსახველი ჭრილი (გელენჯიკის გეოფიზიკურ-გეოლოგიური ექსპედიციის მონაცემებიდან, 1990 წ.)  
 პირობითი ნიშნები:

Q-მეოტზეული; N<sub>2</sub>-პლიოცენური; N<sub>1</sub><sup>3</sup>-ზედამიოცენური; N<sub>1</sub><sup>2</sup>-შუამიოცენური; P<sub>3</sub>-N<sub>1</sub><sup>1</sup>- ოლიგოცენურ-ქვედამიოცენური;  
 P<sub>1</sub>- P<sub>2</sub>-პალეოცენურ-ეოცენური; K-ცარცული; I<sub>3</sub>-ზედაიურული; H  -პირობითი სეისმური ამრეკლავი პორიზონტის ზედაპირის საზი


აღმოსავლეთ შავი ზღვის ღრმულის ცენტრალური ნაწილის მიმართულებით დადგინდა ქვედაცარცული ნალექების სიმძლავრეების ზრდაც – 1500-2000 მ-დან 3000 მ-მდე, ხოლო ზედაცარცული ნალექების მაქსიმალური სიმძლავრეები (500-700 მ) შეიმჩნევა ოჩამჩირე-ემერის მონაკვეთში. სამხრეთი მიმართულებით ზედა ცარცის სიმძლავრე თანდათანობით მცირდება და კონტინენტური ფერდობის შუა ნაწილში (4კმ სიღრმეზე) ისოლება. ზედა ცარცის სიმძლავრეების ანალოგიურ განაწილებას აქვს ადგილი ჭალადიდის, ქვალონისა და საღვამიჩაოს ბურღვის ფართობებზე, სადაც ზედა ცარცის სიმძლავრე პირველი ათეული მეტრებიდან 200-300 მეტრს არ აღემატება. ლესას ჭაბურღილებში პალეოცენური ტრანსგრესიულად ედება ალბურ-სენომანურს, ხოლო სამხრეთ-სამეგრელოსა და ასხის ამოწვევების ფარგლებში ზედაცარცულის სიმძლავრე 800 მ-მდე აღწევს.



ნახ. 4. გულაუთა-ოჩამჩირის რაიონების სტრუქტურული რუკა ზედაცარცულის სახურავის მიხედვით (დ. ტუგოლესოვი, ა. გორშკოვი და სხვა, 1985 წ.)

პირობითი ნიშნები:

- 1-ზედაცარცულის სახურავის იზოპიასები; 2-დამატებითი იზოპიასები; 3-მეზოზოური ნალექების ზედაპირული გამოსავალი; 4-რღვევა.
- I-შატკის ახევა; II-III-საქართველოს ბელტი.
- როფები: II<sub>1</sub>-გულაუთის; II<sub>2</sub>-ემერის; II<sub>3</sub>-სამურზაყანოს; II<sub>4</sub>-ოჩამჩირის; II<sub>5</sub>-სამეგრელოს; II<sub>6</sub>-წულუკიდის;
- ამოწვევები: II<sub>7</sub>-გულაუთის; II<sub>8</sub>-სოხუმის; II<sub>9</sub>-ოჩამჩირის; II<sub>10</sub>-ცენტრალური კოლხეთის; II<sub>11</sub>-ოქუშის; II<sub>12</sub>-სამხრეთ-სამეგრელოს; III-აღმოსავლეთ შავიზღვის ღრმული; III<sub>1</sub>-რიონი-სუფსის როფი; IV-აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონა.
- ანტიკლინები: 2-ზვანდრიფშის; 4-ზღვისპირეთი; 5-ცენტრალური გულაუთის; 6-სამხრეთ გულაუთის; 7-ახალი ათონის; 8-კოდორის; 9-ფოქვეშის; 10-ოჩამჩირის; 11-ოჩამჩირე-ზღვის; 12-დასავლეთ ოჩამჩირის; 13-სამხრეთ ოჩამჩირის; 14-აღმოსავლეთ ოჩამჩირის; 15-გალის; 16-ოკინარის; 17-ყულევის; 18-სამხრეთ ყულევის; 19-ჭალადიდის; 20-ქვალონის; 21-სატანჯოს; 22-ზუგდიდის; 23-ურთის; 24-ეკის; 25-ნოქალაქევის; 26-აბედათის;
- სინკლინები: 1-ჭუბურხევის; 3-კუდანურხევის



ნახ. 5. გურიის და აჭარის მიმდებარე შავი ზღვის აკვატორიის სტრუქტურული რუკა მეოტური საგების მიხედვით (დ. ტუგოლესოვი, ა. გორშოვი და სხვა, 1985)

პირობითი ნიშნები:

1. მეოტური საგების იზოპიფსები (კმ); 2. ოლიგოცენურისწინა ნალექების ზედაპირის გამოსავალი; 3. ოლიგოცენურისწინა ნალექების მეოტხეულისა და პლიოცენურისქვეშა გამოსავალი; 4. ოლიგოცენურ-ქვედამიოცენური ნალექების ზედაპირული ან მეოტხეულისქვეშა გამოსავალი; 5. რღვევა; 6. სეისმოლოგიური პროფილის ხაზი;

ანტიკლინები: 1. მალთაყვის; 2. ხიდმაღალას; 3. რიონის; 4. დასავლეთ რიონის; 5. გრიგოლეთის; 6. მახარაბის; 7. სუფსის; 8. ზემო ნატანების; 9. ჩაქვის; 10. ურეკის; 11. ჩახათის; 12. ტრაბზონის; 13. მერიის; 14. ნატანების; 15. ბათუმის; 16. ქობულეთის; 17. ჩოლოქის; 18. რიონი-სუფსის; 19. ხრიალეთის; 20. გრიგოლეთი-ზღვის; 21. არაკლის; 22. ჩოლოქის; 23. ზვებრეთის


ცარცული ნალექების სიმძლავრეებისა და ლითოფაციების განაწილების კანონზომიერებიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გვიანცარცულში აღმოსავლეთ შავი ზღვის ღრმულის კონტინენტურ ფერდობზე ნალექდაგროვებამ გადარეცხვები განიცადა, ხოლო სეისმოძიებითი კვლევების შედეგად ჩანს, რომ ცარცულ-კაინოზოურ ნალექებში გამოსახული სტრუქტურული ფორმები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, რაც ადრეცარცულიდან მეოტხეულამდე მათ მემკვიდრეობით განვითარებაზე მიუთითებს. შელფი, ცარცული დროის განმავლობაში (სანაპირო ზოლთან ერთად), სხვა უბნებთან შედარებით, განიცდიდა დაძირვას, ხოლო იურიული ასაკის ნალექების



სრული სიმძლავრეების დადგენა ვერ მოხერხდა. ფრაგმენტური გეოფიზიკური მონაცემების მიხედვით შეიძლება დაუშვათ, რომ ზედაიურული სიმძლავრე 1 კმ შეადგენს, ხოლო მთლიანად იურულის სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 3–4 კმ-ს [10]. ალბათ ადრეიურულში დაწყებული ტრანსგრესია გვიანააღენურში შეიცვალა რეგრესიით. დიდი კავკასიონის ნაოჭა სისტემის ფარგლებში გეოქიმიურად აღდგენით გარემოში დაგროვდა თიხა–ფიქლების, არგილითების, თიხების და ქვიშაქვების მორიგეობა ანდეზიტების და დიაბაზების განფენებით (3–3,5 კმ); ამავე დროს ჭრილში ქვემოდან ზემოთ და სამხრეთი მიმართულებით იზრდება ქვიშაქვების რაოდენობა, მსხვილმარცვლიანობა და სიმძლავრეები, რაც მიუთითებს რეცხვის არეებზეც. რადგან ამიერკავკასიის მთათაშუეთის დასავლეთი (კოლხეთის) დაძირვისა და მცირეკავკასიონის ნაოჭა სისტემის აჭარა-თრიალეთის ზონის სიღრმულ აგებულებაში მონაწილე ქვედაიურული და ააღენური ნალექების ლითოფაციებისა და სიმძლავრეების განაწილების კანონზომიერება თანამედროვე ეტაპზე მოითხოვს დეტალურ შესწავლას უნდა ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთ შავი ზღვის ღრმულის, აჭარა-თრიალეთისა და მთათაშუეთის ცენტრალური (იმერეთის) აზეების ზონის ფარგლებში ტოარულ და ააღენურ დროში ირეცხებოდა კუნძულთა რკალები. რადგან ამიერკავკასიის მთათაშუეთის ფარგლებში ბაიოსური ასაკის ვულკანოგენურ-დანალექი ქანების სიმძლავრე 3-3,5 კმ შეადგენს, ქვედაიურული და ააღენურის 1000–1500–2000 მ-ს, ხოლო ბათურის და ზედაბაიოსური, შესაბამისად, მერყეობს 0–600 და 500, 0–800–1000 მ-მდე, ზედაიურული გადარეცხვიდან 1000 მ-მდე ლაგუნურ-კონტინენტურ წყებას (ოკრიბის, ფერადი). შავი ზღვის აკვატორიის მიმართულებით იურული კომპლექსის სიმძლავრეები აშკარად მოითხოვს დეტალური გეოფიზიკური კვლევების ჩატარებას, განსაკუთრებით ზედაიურული ასაკის ნალექების გავრცელებისა და სიმძლავრეების მიხედვით [4,6].

მრავალწლიანი (1960წ–დან) სეისმოძიების საფუძველზე დადგინდა, რომ გურიის მთისწინა როფის პალეოგენურ–ნეოგენური ნალექები უშუალო გაგრძელებას პოულობს შავი ზღვის აკვატორიაში; ამასთან, სანაპირო ზოლის ლოკალური ნაოჭები სამხრეთ–დასავლეთი მიმართულებით, შავი ზღვის აკვატორიაში თანდათანობით კარგავს სტრუქტურულ დამოუკიდებლობას [4,5,8,10].

გეოლოგიურ–გეოფიზიკური კვლევებისა და ბურღვის მონაცემების მიხედვით სანაპირო ზოლის კაინოზოური ნალექები ფართო გავრცელებას პოულობს შავი ზღვის აკვატორიაში, ხოლო ცარცულ–პალეოცენური ნალექები შუაეოცენური ასაკის ვულკანოგენურ-დანალექი ქანების დიდი სიმძლავრეების გამო, განიცდის ღრმა დაძირვას შავი ზღვის ფარგლებში [10]. ამასთან, არეკლილი ტალღების მეთოდით, ნეოგენურ ნალექებში გამოისახა ანტიკლინების მთელი რიგი. აჭარისა და გურიის მიმდებარე ზღვის აკვატორიაში შესაძლებელი გახდა შესწავლილიყო ოლიგოცენურ-პლიოცენურ ფორმაციაში გამოსახული სტრუქტურები და აღმოსავლეთ შავი ზღვის ღრმულის დანალექი საფარის ცარცულ-კაინოზოური ჭრილი, რომელიც უწყვეტად ვრცელდება ღრმაწელიანი ნაწილიდან სანაპირო ზოლისაკენ და შეთავსებულია სანაპირო ზოლის ჭაბურღილებსა და ზედაპირულ ჭრილებთან [2,10].



ნახ. 6. შავი ზღვის აკკატორის აღმოსავლეთი ნაწილის სეისმოგეოლოგიური ჭრილები  
 (დ. ტუგოლესოვი, ა. გორშკოვი და სხვა, 1985)

1. არეკლილი პორიზონტების ზედაპირი; 2. ანტროპოგენი; 3. მეოტურ-პონტური; 4. შუამიოცენურ-სარმატული; 5. ოლიგოცენურ-ქვედამიოცენური; 6. პალეოცენურ-ეოცენური; 7. ცარცული; 8. ზედაიურული; 9. შუაიურული; 10. ქვედაიურული; 11. რღვევა; 12. ჭაბურღილი

შავი ზღვის აკკატორიაში გურიის მთისწინა როფის სამხრეთ-დასავლეთი გაგრძელება ოლიგოცენურ-პლიოცენური ნალექების მიხედვით გაცილებით უკეთესად არის შესწავლილი, ვიდრე პალეოცენურ-ეოცენური (მით უმეტეს, ცარცულის მიხედვით). აქ სეისმური ტალღების არეკლილი ზედაპირები კარგად გამოისახება მეოტურის საგების, მეოტურის საგების და ოლიგოცენურ-ქვედამიოცენურის სასურავის მიხედვით; ამ ნალექების სიმძლავრეები და ლითოფაციების განაწილება კარგად ებმის სანაპირო ზოლის ზედაპირულ და ჭაბურღილების ჭრილებს. უნდა აღინიშნოს, რომ ოლიგოცენურ-პლიოცენურ და პალეოცენურ-ეოცენურ ნალექებში გამოსახული

სტრუქტურული აგებულება, ოლიგოცენურში განვითარებული დიაპირული ნაოჭების გამო, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ ოლიგოცენურის საგებიდან ქვემოთ მდებარე ნალექების ჭრილში (ცარცულის ჩათვლით) შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ძირითადად მემკვიდრეობით განვითარებას ფლობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გეოფიზიკური კვლევა-ძიების შედეგად მალთაყვა-ყულევის, ოჩამჩირის და სოხუმი-გუდაუთის შელფური ნაწილებისათვის შედგენილი სტრუქტურული სქემები კარგად ებმის სახმელეთო ნაწილს [4,10]. ოლიგოცენურ-პლიოცენურ ნალექებში გამოსახული ნაოჭებიდან აშკარად გამოიყოფა როგორც განედური მიმართულებით ანტიკლინების ზღვიური გაგრძელება (გრიგოლეთის, შრომის, ზემონატანების, მერიის და ჩოლოქის), ასევე სამხრეთ-დასავლეთ მიმართულების სხვადასხვა ზომის, კონფიგურაციის და რღვევებით გართულებული ანტიკლინები. შავი ზღვის აკვატორიაში გურიის მთისწინა როფს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შესაბამისად ესაზღვრება მალთაყვა-ტრაბზონის და აჭარა-იმერეთის ამოწვევები, რომელთა ზუსტი საზღვრები დასადგენია. ოლიგოცენურ-პლიოცენურ ფორმაციაში (განსაკუთრებით, პლიოცენურის საგების მიხედვით) გამოსახული სტრუქტურებიდან ზიღამალას, გრიგოლეთისა და ნატანების ანტიკლინები გართულებულია სხვადასხვა ამპლიტუდის მქონე რღვევებით. ამასთან, ცნობილია, რომ სუფსის ანტიკლინის ჩრდილოეთი ფრთა გართულებულია შეცოცებით, რომლის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ამპლიტუდები, შესაბამისად, 2-3 და 2,5 კმ შეადგენს, ხოლო აკვატორიის მიმართულებით თანდათანობით მცირდება (200-300 მ).

ოლიგოცენურ-პლიოცენურში გამოსახული ჩრდილო-დასავლეთით გადახრილი გრიგოლეთის ანტიკლინი მეოტურის საგების მიხედვით გართულებულია 1,5 კმ ამპლიტუდას მქონე შესხლეტვით.

ზღვის აკვატორიაში ნაოჭებს სხვადასხვა ზომები აქვს – სიგრძე 5 კმ-დან 30 კმ-მდე, სიგანე 2კმ-დან 8კმ-მდე, ხოლო მეოტურის საგების მიხედვით შეცოცების ამპლიტუდა მერყეობს 200-300 მ-დან 1000 მ-მდე.

გვიანოცენურიდან გურიის მთისწინა როფის ფარგლებში, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის საერთო ახეების ფონზე, დაილექა მძლავრი (5-6 კმ) ოლიგოცენურ-პოსტპლიოცენური მოლასური ფორმაცია. ამასთან, ტრაბზონის ამოწვევაზე ოლიგოცენურის გამოსოფა და გრიგოლეთისა და ნატანების ანტიკლინებზე მისი სიმძლავრეების შემცირება (500 მ-მდე) მიუთითებს აღნიშნული სტრუქტურების ადრეოლიგოცენურამდე ფორმირებასა და მემკვიდრეობით განვითარებაზე, ოლიგოცენურ-ქვედამიოცენური დროის განმავლობაში. ჩრდილოეთით, დაფნარა-კვალითი-არაკლის ვიწრო ხაზობრივ სინკლინში, ოლიგოცენ-ქვედამიოცენური ნალექების სიმძლავრე 2,5 კმ აღწევს. სეისმური კვლევა-ძიების მონაცემების მიხედვით, შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში ოლიგოცენურ-ქვედამიოცენური უთანხმოდაა განლაგებული შუა და ზედაოცენურ ასაკის ნალექებზე.

შავი ზღვის აკვატორიის აღმოსავლეთ ნაწილში გაგრძელებული შუა და ზედაოცენური ნალექების სიმძლავრეების განაწილება მიუთითებს იმაზე, რომ გურიის მთისწინა როფში ამ ნალექების სიმძლავრე 3 კმ-მდე აღწევს [3,4,8,10].

გვიანოცენურიდან აჭარა-იმერეთის ამოწვევის ზღვიური გაგრძელება იწყებს თანდათანობით ახეებას, რაც დღესაც გრძელდება წელიწადში 5-6 სმ-ით, ხოლო გურიის მთისწინა როფი განიცდის დაძირვას-2-3 სმ-ით წელიწადში [1].

აჭარა-იმერეთის ამოწვევის ნაოჭები უშუალო გაგრძელებას პოულობს შავი ზღვის აკვატორიაში. ამასთან, თუ სახმელეთო ნაწილში ამოწვევის ჩრდილოეთ საზღვარს ჩოხატაურის სიღრმეული

რღვევა წარმოადგენს, ზღვის აკვატორიაში მისი ზუსტი საზღვრები გეოფიზიკური მონაცემებით უნდა დაფიქსირდეს. ამასთან, ხმელეთიდან აკვატორიის მიმართულებით ჩანს, რომ სუბგანდური იცვლება სამხრეთ-დასავლური მიმართულებით და ნაოჭები უახლოვდება სანაპირო ზოლს. ანალოგიური სურათი შეიმჩნევა მალთაყვისა და ყულევის მონაკვეთზეც, სადაც ნაოჭების განედური მიმართულება აკვატორიაში იცვლება, შესაბამისად, ტრაბზონისა და ოჩამჩირის მიმართულებით [4,8,10].

აკვატორიაში, პალეოცენურ-ეოცენური ნალექების მიხედვით ჩანს სტრუქტურების კულისისებრი შენაცვლება. ამასთან, მათი სიგრძე-სიგანე შეადგენს 10-30 და 5-10 კმ-ს, სიმაღლე – 0,5-დან 2,5 კმ-მდე. ხოლო ფრთების დაქანების კუთხეები 20-30<sup>0</sup> არ აღემატება (ფლექსურის გარდა).


ნატანების ანტიკლინიდან აკვატორიის ცენტრალური ნაწილის მიმართულებით შუაეოცენური ასაკის ვულკანოგენურ ქანებში ჩანს სეისმური ჩანაწერების წყვეტა, ხოლო დროებით ჭრილებზე განსხვავებული სიმძლავრის სხეულები, რაც მიუთითებს ვულკანოგენურ-კარბონატული ქანების ლითოფაციალურ შენაცვლებაზე სანაპირო ზოლიდან ზღვის ცენტრალური ნაწილის მიმართულებით [10].

მიოცენურ დროში დაძირვის მაქსიმუმი გამოისახება შუასარმატული ნალექების სიმძლავრეების განაწილებითაც, ხოლო გვიანსარმატულიდან ამოწვევის ფონზე გროვდება ქვიშაქვა-კონგლომერატების წყება. ადრეპლიოცენურში ცენტრალური ღრმულის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი წარმოადგენს თხელი ზღვის აუზს, რაზეც მეტყველებს ნატანების, გრიგოლეთისა და დასავლეთ ნატანების ანტიკლინებზე სარმატულ ნალექებში გამოსახული გადარეცხვის ზედაპირები, ხოლო პლიოცენური სიმძლავრეების მკვეთრ ცვალებადობას განიცდის 200 მ-დან 2000 მ-მდე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნატანებისა და დასავლეთ ნატანების სტრუქტურები, სხვებთან შედარებით, აშკარად განეკუთვნება ოლიგოცენურისწინა ნაოჭებს. ასეთივე განვითარებით ხასიათდება აღმოსავლეთ შავი ზღვის ცენტრალური და გურიის მთისწინა როფის გამყოფი მალთაყვა-ტრაბზონის აზევებაც. მეოთხეულის სიმძლავრე გურიის მთისწინა როფის ფარგლებში 200-300 მ-დან 500-600 მ აღწევს.

## დასკვნა

აღმოსავლეთ შავი ზღვის ღრმულის ნაწილში ოლიგოცენურ-პლიოცენურ მოლასურ ფორმაციაში გეოფიზიკური კვლევა-ძიებით დადგენილია „უძირო“ და გაბერილი ნაოჭების არსებობა, რომლებიც ქვემოთ მდებარე ნალექებში არ მეორდება და არასტრუქტურულად ედება ციცაბოდ დაქანებულ პალეოცენურ-ეოცენურ ნალექებს. შელფურ ზოლში პალეოცენურ-ეოცენური ნალექები ყველაზე კარგადაა შესწავლილი ნატანების ანტიკლინზე, სადაც ეოცენის სახურავი ჩაწოლილია 3კმ სიღრმეზე და, შესაბამისად, შეთავსებულია ჩოლოქის (№ 3 და № 9) და ზემონატანების (№1,2 და 3) ანტიკლინებზე გაბურღული ჭების ჭრილებთან. ზღვაში, ნატანების სტრუქტურაზე სეისმური მონაცემების არარსებობა გამოწვეულია რღვევის გავრცელებით, რომლის ამპლიტუდა არ უნდა აღემატებოდეს 2-კმ-ს, ხოლო დანალექ საფარში თანდათანობით ქრება სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით [3,4,8,10]. მეორე მხრივ, საერთო სიღრმული წერტილის მეთოდით მიღებულ დეტალურ პროფილებზე არეკლილი ზედაპირების არარსებობა მიუთითებს სიღრმული რღვევის სავარაუდო გავრცელებაზე აღმოსავლეთ შავი ზღვის ღრმაწყლიანი აუზისაკენ. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ფსკერის მორფოსტრუქტურული აგებულებიდან გამომდინარე, ყველაზე ნათლად

გამოისახება ზემო ნატანების მსხვილი ამოწევა, რომელიც, ხიდმაღალას და გრიგოლეთის ზღვიურ სტრუქტურებთან ერთად, ოლიგოცენურ-პლიოცენურ ნალექებში ნახშირწყალბადების დაგროვების თვალსაზრისით, მსხვილ საძიებო ობიექტებს უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით მეზოზოური კომპლექსის მიხედვით, აშკარად გამოირჩევა ყულევი-ზღვის მსხვილი ანტიკლინი და ოჩამჩირის, სოხუმის და გუდაუთის შეღფური თალების სანაპირო ზოლთან ახლოს მდებარე რამდენიმე ანტიკლინური სტრუქტურა.



ნახ. 7. ნატანების სტრუქტურული ამოწევის სეისმური პროფილების ჭრილები (საერთო სიღრმული წერტილის მიხედვით დ. ტუგოლესოვის მიხედვით, 1985)

1. არეკლილი ჰორიზონტები: -მეოთხეულის ძირში; I-პლიოცენური საგები; I<sub>ფ</sub>-მეოტურის საგები; I<sub>ც</sub>-შუასარმატულში; I<sub>ა</sub>-მაიკოპური სერიის სახურავი; II<sub>ა</sub> - ეოცენურის სახურავი; -მაიკოპური სერიის საგები; 2. ჭაბურღილები და მათ მიერ გასწვრივი ნალექები; 3. მეოთხეული; 4. პლიოცენური; 5. მეოტური; 6. შუასარმატული; 7. ქვედასარმატული; 8. შუამიოცენური; 9. შუა და ზედამიოცენური; 10. მაიკოპური სერია; 11. ეოცენური; 12. პალეოცენური

**აღმოსავლეთ შავი ზღვის ღრმულისა და დას. საქართველოს ფარგლებში ნავთობისა და გაზის ბუდობების პროგნოზირების სქემა**  
 (ა. ნანაძე, დ. ვახანია, ზ. მგელაძე, გ. თუმანიშვილი)

ნავთობგაზ-შემცველი შესაძლო დაგროვების რაიონი	ნავთობისა და გაზის ბუდობების ფორმირების დრო ცალკეული წყებისა თუ კომპლექსის მიხედვით (კატაგენეზის სტადიების შესაბამისად)							
	ტორსული და აალენური	ზედაბაიოსურ-ბათური	ზედა-იურული	ზედა-ცარცული	შუა-ეოცენური	ოლიგოცენური-მემ-დამიოცენური	შუა და ზედამიოცენური	ქვედა პლიოცენური
გუდასუთა და ოჩაშირეყულევის	ნავთობის-გვიან იურულიდან	ნავთობის-გვიან იურულიდან	ნავთობის-გვიან ეოცენურიდან	ნავთობის-ადრე მიოცენურიდან	-	გაზის-ადრე პლიოცენურიდან	გაზის-გვიან პლიოცენურიდან	-
ფოთი-ჭალადიდის	ნავთობის-გვიანიურულიდან დასაწყისში; გაზის-გვიან-ცარცულში	ნავთობის-ადრეპალეოცენურიდან	ნავთობის-ადრეეოცენურიდან	ნავთობის-ადრემიოცენურიდან	-	გაზის-ადრე პლიოცენურიდან	გაზის-შუა პლიოცენურიდან	-
გურიის	ნავთობის-გვიანიურულიდან; გაზის-ბარე-მულიდან	ნავთობის-გვიან(ცარცული) დან; გაზის-გვიან ეოცენურიდან	ნავთობის-ადრეეოცენურიდან; გაზის-ადრე-ელიგოცენურიდან	ნავთობის-ადრემიოცენურიდან; გაზის-შუა-პლიოცენურიდან	ნავთობის-შუამიოცენურიდან	ნავთობის-შუა პლიოცენურიდან	ნავთობის-გვიან პლიოცენურიდან	ნავთობის-ადრემეო-თხეული-დან

**ლიტერატურა**

1. Гамкрелидзе И.П. Тектоническое строение и альпийская геодинамика Кавказа //Тектоника и спелеология Кавказа. Труды ГМП. Нов. сер., вып. 86. Тбилиси: Мецниереба, 1984.
2. Горшков А. С. Тектоника Восточно-Черноморской впадины в связи с перспективами её нефтегазоносности. Автореферат дисс. на соиск. учен. степени к.т.н. Москва, 1980 г.
3. Вахания Д. Е., Зиракадзе Р. М. О возможном нефтегазонакоплении в осадочном чехле Восточно-Черноморской впадины на примере прилегающей суши //Нефть и газ Грузии, № 115. Тбилиси, 2002г.
4. Вахания Д. Е. Общий анализ геофизических исследований на территории Грузии и прилегающей акватории Чёрного моря для оценки перспектив нефтегазоносности Евро-Азиатского общества (ЕАГО) //Геофизика, №2. Москва, 2003г.
5. Вахания Д.Е. и Мгеладзе З.В. Формирование залежей нефти и газа в осадочном чехле Грузии и прилегающей акватории Чёрного моря с оценкой прогнозных ресурсов. //Геология нефти и газа, №4. Москва, 2006 г.
6. Зиракадзе Г. М. Литостратиграфическая характеристика нефтегазодержащих продуктивных отложений Восточно-Черноморского нефтегазоносного бассейна //Нефть и газ Грузии, №2(5), Тбилиси, 2001 г.
7. Зиракадзе Р.М., Пангани В.С. Некоторые новые данные о тектоническом районировании Аджарии, Гурии и прилегающей акватории Черного моря //Нефть и газ Грузии, №2(5). Тбилиси, 2001 г.
8. Никурадзе Г. Н. О перспективах нефтегазоносности акватории Чёрного моря в Грузии. //Нефть и газ Грузии, №3(7). Тбилиси, 2003 г.
9. Тутолесов Д. А., Горшков А. С., Мейспер Л. Б., Хахалев В. В. Тектоника мезокайнозойских отложений Черноморской впадины. Москва.: Недра, 1985 г.

## ზემო სვანეთის მაღანგამოვლინებები, მათი ანალოგები და პერსპექტივები

წარდგენილია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ მ. თოფჩიშვილის მიერ

**Key words:** Sakeni intrusive, Gold ore-manifestation, Quartz-gold association, Izotopic system, Protolith, Anatexis.

**Abstract:** Gold-Mineralization of Zemo svaneti, Analogous-Perspectives.

Gold-Mineralization of Zemo Svaneti is considered in the article connected to the anticlinorium of Great Caucasus range. The hydrohermal changed zone is separated and the type of mineralization determined there, the World's largest deposits, are described, located in the same conditions. Coming from these data there is the perspective of mentioned Gold-Mineralization.

### შესავალი



დ. ბლუაშვილი,

საბადოების გეოლოგიისა და ძიების კათედრის ასოცირებული პროფესორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

სტატია ეხება ზემო სვანეთის რაიონის ამგებ გრანიტ-მიგმატიტურ და გაბრო-ადამელიტურ წარმონაქმნების პეტროლოგიურ დახასიათებას და ჰიდროთერმულად შეცვლილ მძლავრ მსხვრევის ზონებში ოქროს გამადნების თავისებურებებს. შესწავლილია მადნიანი ველებისა და მაღანგამოვლინებების სტრუქტურული თავისებურებები, მადნიანი სხეულების მინერალოგია, მაღანმომიჯნავე შეცვლის პროცესები, განსაზღვრულია ოქროს გამადნების ადგილი ჰიდროთერმული აქტივობის ციკლში. განხილული და გაანალიზებულია მსოფლიოში ცნობილ



თ. ლიპარტია,

საბადოების გეოლოგიისა და ძიების კათედრის მაგისტრანტი

მსგავს გეოლოგიურ პირობებში ლოკალიზებული ოქროს საბადოები და გამოთქმულია მოსაზრება ზემო სვანეთის მაღანგამოვლინებების პერსპექტიულობის შესახებ.

### ძირითადი ნაწილი



თ. გზირიშვილი,

სამთო-ინჟინერ-გეოლოგი

ზემო სვანეთის რაიონი მიეკუთვნება მთავარი ქედის ზონას, რომელიც კავკასიონის სუბსტრატის ყველაზე მძლავრი და კარგად გაშიშვლებული სტრუქტურულ-ფორმაციული ერთეულია. რაიონის ფარგლებში შიშვლდება ალიბეგის სუბგანედური რეგიონალური რღვევა, რომლის მოქმედებაც აისახა მეორად ინტენსიურ პროცესებში: კერძოდ, გაკვარცებაში, გრეიზენიზაციაში, მილონიტიზაციაში, გასერიციტებაში, გამოჟანგვასა და პირიტიზაციაში. რღვევის ჩრდილოეთი და სამხრეთი ბლოკები გენეტიკურად აბსოლუტურად სხვადასხვა ქანებითაა აგებული. რღვევის

ჩრდილოეთით შიშვლდება გრანიტ-მიგმატიტური სერია, რომელიც თებერდის ბლოკს მიეკუთვნება, ხოლო სამხრეთით სოფის ბლოკი, სადაც მხოლოდ საკენის ინტრუზივი იქნა შესწავლილი.

თუ შევაჯერებთ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს და არსებულ მასალას [2, 3], მაშინ რაიონის შემცველი ქანების პეტროგენეზური მოდელი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: გრანიტ-მიგმატიტურმა სერიამ ფორმირება განიცადა კოლიზიის პირობებში, ძირითადად, ამფიბოლიტურ ფაციესში მეტამორფიზებული მძლავრი ტერიგენული ნალექების ულტრამეტამორფიზმის და ანატექსისის შედეგად. მაგმის გენერაციაში გამოიყოფა ორი ეტაპი: ადრეკინეტიკური და გვიანკინეტიკური. პირველი მიმდინარეობდა მაღალი წნევის და ტემპერატურის პირობებში და გამოლლვა, უპირატესად, პლაგიოგრანიტული შედგენილობის მდნარი, ხოლო მეორე უფრო გვიანდელი, მიმდინარეობდა შედარებით დაბალი წნევისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში და გამოლლვა გრანიტული შედგენილობის მდნარი. რაც შეეხება სერიის ფორმირების თერმობარულ პირობებს, იგი საკმაოდ საინტერესოა და მასში ასახულია პროტოლითის გეოდინამიკური რეჟიმის ცვლილება. სერიის ფორმირების საერთო წნევა მისი ევოლუციის ადრეკინეტიკურ საფეხურზე საკმაოდ მაღალია და 3,4-3,7კბ შეესაბამება, ხოლო გვიანკინეტიკურ საფეხურზე ადგილი აქვს საერთო წნევის შემცირებას და 2,2-2კბ-მდე ეშვება. რაც შეეხება სერიის ტემპერატურას, იგი საკმაოდ მაღალია და  $700^0-750^0$  ინტერვალში მერყეობს. პეტროგენეზური კლასიფიკაციის მიხედვით, ამ სერიის ქანები მიეკუთვნება S ტიპის წარმონაქმნებს. რაც შეეხება განხილული სერიის მდნის გენერაციის და ლოკალიზაციის პოტენციალს, იგი საკმაოდ მაღალია. ამასთან ერთად, ბოლო დროის კვლევებით დასტურდება, რომ ტერიგენული ნალექებისაგან ფორმირებული მეტამორფიტები Au, Ag, Sb, Mo და Cu ლოკალიზაციისათვის ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენს.

რაც შეეხება საკენის ინტრუზივს, მისი პეტროგენეზური მოდელი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: იგი გვიანროგენული წარმონაქმნია, რომლის მაგმამ გენერაცია განიცადა სუბდუქციური ოკეანური ქერქის თავზე განლაგებული პროტოლითის გამჭოლი ლლობის გზით. ჰიბრიდული მაგმის ძირითადი მასის კრისტალიზაციის ტემპერატურა შეესაბამებოდა  $630^0-670^0C$ , ხოლო წნევა—4-4.5კბ. პეტროგენეზური კლასიფიკაციის მიხედვით, საკენის ინტრუზივი წარმოადგენს სუბდუქციური ზონის I ტიპის წარმონაქმნს, რომელმაც ფორმირება განიცადა გვიანპერციული ტექტონიკურ-მაგმური აქტივობის დროს. რაც შეეხება განხილული ინტრუზივის მდნის გენერაციის პოტენციალს, როგორც ჩატარებულმა სამუშაოებმა გვიჩვენა, იგი საკმაოდ მაღალია. გარდა ამისა, ბოლო დროის კვლევები გვიჩვენებს, რომ სწორედ I ტიპის გრანიტოიდებთანაა გენეტურად დაკავშირებული Mo, Cu, Ag და Au საბადოები.

როგორც ვხედავთ, საკვლევი რაიონი აგებულია ორი სრულიად განსხვავებული პეტროგენეზისის წარმონაქმნებით - გაბროადამელიტური სერიის საკენის ინტრუზივით და გრანიტ-მიგმატიტური სერიით, რომელთა ერთად თავმოყრა შესაძლებელია აიხსნას მხოლოდ კოლიზიური და აკრეციული პროცესებით. აღნიშნული კი უფლებას გვაძლევს საკვლევი რაიონი განვიხილოთ, როგორც აკრეციული-ნაოჭა სტრუქტურა. სწორედ მათი შეხების ზონა წარმოადგენს, გამაღნების თვალსაზრისით, საინტერესო არეალს, რადგანაც აქ იქმნება სტრუქტურული, თერმობარული და სხვა მნიშვნელოვანი პირობები მდნის ზონების ჩამოყალიბებისათვის. ულტრამეტამორფიზმი და, კერძოდ, გრანიტოიდების დეტალური შესწავლა თანამედროვე გეოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგანაც ეს ქანები კონტინენტური ქერქის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. გარდა ამისა, მათ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. დღეს ეჭვს აღარ იწვევს ის შეხედულება, რომ სწორედ გრანიტოიდებთანაა გენეტურად დაკავშირებული ფერადი და კეთილშობილ ლითონთა უმეტესი ნაწილი. ამ თვალსაზრისით, ზემო სვანეთის რაიონი ერთ-ერთ პერსპექტიულ რაიონს წარმოადგენს.



ზემო სვანეთის მადნიანობის შესწავლის ისტორიის შესახებ პირველი მონაცემები ჯერ კიდევ ძველ ბერძენთა და რომაელთა შრომებში გვხვდება. სტრაბონის მიხედვით, სწორედ ოქროთი მდიდარმა საბადოებმა განაპირობა არგონავტების ლაშქრობა კოლხეთის სამეფოში. სვანეთის შესახებ იგი წერს: ამბობენ, რომ ამ ქვეყნის მდინარეებში მოიპოვება ოქრო, რომელსაც ეს ბარბაროსები დახვრეტილი გობებისა და ბანჯგვლიანი ტყავის მეშვეობით ამუშავებენ. გარდა სტრაბონისა, სვანეთში ოქროს მოპოვების შესახებ ჩვენს წელთაღრიცხვამდე წერდა პლინიუსიც, ხოლო ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში - აპიანე. როგორც ჩანს, ლეგენდას ოქროს საწმისის შესახებ რეალური საფუძველი ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ფრანგი მეცნიერი რუტიე ცხვრის ტყავებით ოქროს მოპოვებას, რომელსაც იგი ცალკე მეთოდით გამოყოფს, კოლხურს უწოდებს. გარდა ისტორიული წყაროებისა, სვანეთში ოქროს მოპოვებასა და დამუშავებაზე მიუთითებს ძველი სამთო გამონამუშევრების, იარაღებისა და ოქროს სამჭედლოს არსებობა.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 30-40 წლებში ენგურის ხეობის ქვიშრობებში მიმდინარეობდა ოქროს მოპოვება. 70-იან წლებში ვ. გელეიშვილის [4] ხელმძღვანელობით ჩატარდა აღნიშნული ქვიშრობების რევიზია ოქროს შემცველობაზე, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ სულ რაღაც 40 წლის განმავლობაში აღნიშნულ ქვიშრობებში ოქრომ მიაღწია სამრეწველო კონდიციამდე. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ოქროს ასეთი მობილიზება არ შეიძლება ასეთ მცირე დროში მოეცა ლიასური ქანების გამკვეთ კვარცის ძარღვებს. აღნიშნულიდან გამომდინარე დაისვა საკითხი, რომ საძიებო სამუშაოები ჩატარებულიყო კრისტალურ სუბსტრატის გავრცელების ტერიტორიაზე. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო კრისტალური სუბსტრატის კვლევა მადნიანობის თვალსაზრისით. არცთუ ისე დიდი ხნის წინ ა. ოქროსცვარიძემ [5] ოქროს მაღალი შემცველობა დააფიქსირა მდ. აჩაპარას და ჰოკრილას სათავეებში და გამოყო ჰოკრილა-აჩაპარას გამადნებული ზონა [6]. მისი მონაცემებით, ოქროს მაქსიმალური შემცველობა ამ ზონაში აღწევს 17გ/ტ, ხოლო მინიმალური - 1,1გ/ტ. აღნიშნული მადანგამოვლინების ჰოკრილას უბანზე [7] გამოქვეყნდა ა.კვიციანის და სხვ. შრომა, სადაც მათი მონაცემებით, ოქროს შემცველობა მერყეობს 0.2გ/ტ-6გ/ტ-მდე. ზემო სვანეთის გეოლოგიური აგებულების და ოქროს იშვიათი ლითონური მადნების საკითხებს ეხება ა. კვიციანის და სხვ. [8], დ. შენგელიას და სხვ. [9, 10], ა. ოქროსცვარიძის და სხვ. [11, 12, 13, 14] და დ. ბლუაშვილის და სხვ. ბოლოდროინდელი შრომები [15, 16].

**ჰოკრილას ოქრო-კვარც-მცირე სულფიდური მადანგამოვლინება.** აღნიშნული გამადნება დაკავშირებულია ალიბეგის რეგიონალურ რღვევასთან. გამადნებულია რღვევის საგებ გვერდში განვითარებული დამსხვრეული, გამილონიტებული, გასერიციტებული და გაკვარცებული მძლავრი ზონა, რომელიც შიშვლდება მდ. ჰოკრილას მარცხენა ფერდზე და გაიდევნება 4კმ-ზე. მისი სიმძლავრე 250-600მ-ის ფარგლებში მერყეობს. დასავლეთით მადანგამოვლინების საზღვარი გადის კოდორის ქედზე, აღმოსავლეთით საზღვარი შემოიფარგლება მდ. ნენსკრას ხეობით. მადანგამოვლინების სამხრეთი საზღვარი გადის მდ. ჰოკრილას გასწვრივ, ხოლო ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია გრანიტ-მიგმატიტური სერიის კარნიზებით. აღნიშნული მადანგამოვლინება აღმოჩენილია ა. ოქროსცვარიძის მიერ [5,6]. ჰოკრილას მადანგამოვლინება ხასიათდება რთული ტექტონიკური აგებულებით, მის ძირითად ტექტონიკურ ერთეულს წარმოადგენს ალიბეგის რეგიონალური რღვევა, რომელიც იკვეთება შედარებით ახალგაზრდა ჩრდილო-აღმოსავლური და ჩრდილო-დასავლური რღვევებით. მადანგამოვლინება იყოფა სამ ბლოკად: დასავლური, ცენტრალური და აღმოსავლური. გამადნება, ძირითადად, წარმოდგენილია ძარღვებით, ძარღვაკებით და ლინზებით. მადნიანი მინერალებია: პირიტი, პიროტინი, ქალკოპირიტი, შეელიტი, არსენოპირიტი, ანთიმონიტი, სფალერიტი, გალენიტი და ოქრო. არამადნიანი მინერალები წარმოდგენილია კვარცით, კარბონატებით და თიხ-

ური მინერალებით. მადანგამოვლინების ფარგლებში გამოიყოფა 5 ტიპის მადნიანი ასოციაცია: კვარც-შეელიტური, კვარც-პირიტული, კვარც-პოლისულფიდური, კვარცანთიმონიტიანი და კვარცოქროიანი. დასავლური მადნიანი სხეულის (დაქ. აზ.  $10^0 \text{ ჯ } 60^0$ ) სიმძლავრე მერყეობს 10-15 მ ფარგლებში, მადანი წარმოდგენილია სხვადასხვა სიმძლავრის (0,15-1მ) კვარც-შეელიტური, კვარც-პირიტული და კვარცოქროიანი ასოციაციის ძარღვებით და ძარღვაკებით. მათი მინერალური შედგენილობა შემდეგია: კვარცი, შეელიტი, პირიტი, პიროტინი და ოქრო. ცენტრალური მადნიანი სხეულის (დაქ. აზ.  $20^0 \text{ ჯ } 60^0$ ) სიმძლავრე 90–100 მ-ის ფარგლებშია. იგი წარმოდგენილია ძარღვებით, ძარღვაკებით და ჩანაწინწკლი მადნებით. მისი მინერალური შედგენილობაა: ანთიმონიტი, არსენოპირიტი, სფალერიტი, პირიტი, კვარცი და ოქრო. აღმოსავლური მადნიანი სხეული (დაქ. აზ.  $10^0 \text{ ჯ } 60^0$ ) 18-20 მ სიმძლავრისაა. იგი წარმოდგენილია კვარც-პირიტული, კვარც-პოლიმეტალური და კვარცოქროიანი ასოციაციით. მადნიანი სხეულის მინერალური შედგენილობაა: პირიტი, არსენოპირიტი, სფალერიტი, გალენიტი, ოქრო და კვარცი. ოქროს შემცველობის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო კვარცოქროიანი ასოციაციაა. ცენტრალურ მადნიან სხეულზე კვარცოქროიანი ასოციაციიდან აღებულ 24 სინჯში ოქროს საშუალო შემცველობა 6,35გ/ტ, მაქსიმალური კი 15,6გ/ტ აღწევს. ამავე სხეულზე კვარცანთიმონიტიანი ასოციაციიდან აღებულ 18 სინჯში ოქროს საშუალო შემცველობა 2,11გ/ტ, ხოლო მაქსიმალური - 3,82გ/ტ. დასავლური მადნიანი სხეულიდან კვარცოქროიანი ასოციაციიდან აღებულ 20 სინჯში ოქროს საშუალო შემცველობა 2,71გ/ტ, ხოლო მაქსიმალური - 5,27გ/ტ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვარც-შეელიტურ ასოციაციაში, რომელიც განვითარებულია მხოლოდ დასავლეთის ბლოკში ვოლფრამის შემცველობა ხუთი სინჯის მონაცემებით 1600გ/ტ–2200გ/ტ ფარგლებში მერყეობს.

ნახაზზე ნაჩვენებია ბურღვის პროცესის ოპტიმიზაციის მოწყობილობა ქანების ბურღვაობის განსაზღვრის და ბურღვის რეჟიმის პარამეტრების შერჩევისათვის საჭირო სტენდის პრინციპული სქემა. მოწყობილობა შედგება 1 ჩარჩოსაგან, რომელზეც დაყენებულია 2 როტორი, მას აქვს ცილინდრული ჭიქის სახე, 2 როტორში მოთავსებულია და დამაგრებული 3 ქანების ნიმუში, 1 ჩარჩოზე ვერტიკალური სახსრების დახმარებით დამაგრებულია 4 ჰიდრავლიკური ცილინდრები, რომლებიც ურთიერთქმედებენ 2 როტორთან 5 ელასტიკური საწვევის დახმარებით ჰიდროსისტემასთან, რომელიც შედგება ზეთისა და ზეთის ტუმბოსაგან (ნახაზზე არ ჩანს). ეს ჰიდროსისტემა დაკავშირებულია 6 ჰიდრომართვის ხელსაწყოსთან 7 მანომეტრით, 8 დროსელური ონკანითა და 9 მკვეთარას გადართვის სახელურით, აგრეთვე ზეთის ტუმბოსგან გამომავალი 10 მილგაყვანილობებით, 11 ზეთის ავზისკენ და 12 ცილინდრებისკენ მიმავალი, ბურღვის პროცესში 13 საბურღი იარაღით მიწოდებული სარეცხი სითხის (ისარიით A) გამოსასვლელად 2 როტორზე მოწყობილია 14 მილყელი.

მოწყობილობა შემდგენიარად მუშაობს: რეცხვითა და ვერტიკალური დაწოლით (მაგალითად, საბურღი ჩარჩიდან) მბრუნავი საბურღი იარაღი ბურღვის პროცესში ქანმომნგრევი ელემენტებით (საჭრისებით) ზემოქმედებს საცდელი ქანის ნიმუშზე 3, აიყოლებს რა ბრუნვაში 2 როტორს ქმნის განსაზღვრული ბრუნვის მომენტს. გაზომვის დაწყებამდე ჰიდროსისტემა განტვირთულია და 4 ცილინდრის დგუშები, რომლებსაც აიყოლებს 2 როტორი ელასტიკური საწვევის დახმარებით (ისარი B) მოყვანილია ქვედა მკვდარ წერტილებში.

ზეთის ტუმბოდან ჰიდროსისტემაში წნევის მიწოდებისას (ისარი Γ) და მკვეთარას სახელურის დაყენებით მუშა მდგომარეობაში 4 ცილინდრების დგუშების მოძრაობის სიღრუეში იქმნება როტორის მოძრაობის მიმართ უკუწნევა (ძალთა წყვილი ისარით B), რომელიც დროსელური ონკანის დახმარებით ბალანსირდება (დგუშების დაყენებით) ცილინდრების შუა ზონებში. 7 მანომეტრზე წნევის ათვლა მოცემულ სიტუაციაში იძლევა ბრუნვის მომენტის საანგარიშო ძალის სიდიდეს, რომელიც იქმნება ქანმომნგრევი იარაღით საცდელი ქანის ნიმუშთან (სანგრევთან) საზღვარზე.

ბურღვის რეჟიმის პარამეტრების ცვლილებისას მოწყობილობის დახმარებით შეიძლება შეიჩინოს მათი ოპტიმალური მნიშვნელობები, რომლის დროსაც მიიღება ქანმომნგრევი იარაღის მაქსიმალური ეფექტური მუშაობა, ენერჯის მინიმალური დანახარჯებით.

მოწყობილობა გათვალისწინებულია ბურღვის პროცესებისათვის არსებული საკონტროლო-მარეგულირებელ აპარატურასთან ერთად (კომპლექსში) მუშაობისათვის.



მოწყობილობა ბურღვის პროცესის ოპტიმიზაციისათვის (ქანების ბურღვადობის განსაზღვრისა და ბურღვის რეჟიმის პარამეტრების შერჩევისათვის საჭირო სტენდი)

7 მანომეტრზე ნაჩვენები წნევის სიდიდის  $P_{წყ}$ -ს მეშვეობით განისაზღვრება ბრუნვის მომენტის საანგარიშო ძალის სიდიდე, რომელიც საჭიროა ქანების მოსანგრევად ბურღვის პროცესში

$$P = \frac{P_{წყ}}{S},$$

სადაც  $P$  ძალის სიდიდეა, რომელიც საჭიროა ქანების მოსანგრევად, ნ;  $S$ -ჰიდრავლიკური ცილინდრის დეგუმის ფართობი, მ<sup>2</sup>

$$S = \pi r^2, \text{ მ}^2.$$

$r$  დეგუმის რადიუსი, მ ( $r = 0,05$  მ).

ბრუნვის წყვილძალთა მომენტის გამოსათვლელად გამოიყენება ფორმულა:

$$M_{ბრ} = Pr, \text{ ნ.მ}$$

სადაც  $r$  ქანმომნგრევი იარაღის რადიუსია, მ; მოცემული ექსპერიმენტისათვის ქანმომნგრევი იარაღის დიამეტრი 0,059 მ-ია. აქედან გამომდინარე  $r = 0,0295$  მ.

ამ დროს ქანების მონგრევაზე დახარჯული სიმძლავრის გამოსათვლელად სარგებლობენ ფორმულით:

$$M_{ბრ} = \frac{30N}{\pi n}, \text{ ნ.მ}$$

სადაც  $N$  ქანების მონგრევაზე დახარჯული სიმძლავრეა, ვტ;  $n$ -საბურღი იარაღის ბრუნთა რიცხვი, ბრ/წთ (მოცემული ექსპერიმენტისათვის  $n = 600$  ბრ/წთ). ამ ფორმულიდან



$$N = \frac{M_{\text{ავ}} \pi n}{30}, \text{ვტ}$$

ქანმომნგრევი იარაღის მუშაობის გამოსათვლელად გამოიყენება ფორმულა:

$$N = \frac{A}{t},$$

სადაც  $A$  ქანმომნგრევი იარაღის მუშაობაა, ჯ;  $t$  - ექსპერიმენტის ხანგრძლივობა (წმ).  
( $t = 600$  წმ) მუშაობა  $A$  გამოითვლება ფორმულიდან:

$$A = Nt, \text{ჯ.}$$

რადგან დახარჯული ენერგია შესრულებული მუშაობის ტოლია, ამიტომ ისიც გამოიანგარიშება იმავე ფორმულით:

$$E = Nt, \text{ჯ.}$$

აღნიშნულ მოწყობილობაზე ჩატარდა ექსპერიმენტები. შესწავლილ იქნა ზედაპირულად აქტიური ანტიფრიქციული დანამატების (ზაად-ების) – გუდრონების ნარევის (CT), სოპსტოკის, CMAD-1-ის და M2-ის (ზაად) გავლენა ბურღვის რეჟიმის პარამეტრების ფორმირებაზე, სარეცხი სითხის ანტიფრიქციულ თვისებებზე, ქანების ბურღვაობაზე, ბურღვის სიჩქარესა და ენერგეტიკულ მაჩვენებლებზე, ქანმომნგრევი იარაღის ცვეთაზე. გამოკვლეულ იქნა პოლიმერული დანამატების–ჰიდროლიზებული პოლაკრილამიდის (ГПАА), სტაკრილატ-1-ის, KOK-ის და ჰიპანის ზემოქმედება ქანების ნგრევის ეფექტურობაზე, ბურღვის სიჩქარესა და ენერგეტიკულ მაჩვენებლებზე.

სარეცხი სითხეებში შემავალი კომპონენტების ზედაპირულად აქტიური ანტიფრიქციული დანამატების და პოლიმერების დამატებით ბურღვის პროცესის ოპტიმიზაციის მოწყობილობის საშუალებით შეიძლება მათი რაციონალური ეფექტური სახეები, რომელთა გამოყენების დროს მიიღება გვირგვინას მაქსიმალურად ეფექტური მუშაობა ენერგეტიკული მაჩვენებლების მინიმალური დანახარჯებით.

ადრე ჩატარებული ცდებით [4,5,6] და ჭაბურღილების ბურღვისათვის შემუშავებული სარეცხი სითხის რეცეპტურების გამოყენებისას მიღებული შედეგების გათვალისწინებით დადგინდა ზედაპირულად აქტიური ანტიფრიქციული და პოლიმერული დანამატების კონცენტრაციის შემცველობა წყალხსნარებში. თავდაპირველად შესწავლილ იქნა ზაად-ების, 2%-CT, 2%-სოპსტოკის, 4%-CMAD-1-ის და შემდეგ პოლიმერების 0.3%-ის, სტაკრილატის, 4% ჰიპანის, 4% M-ის და 1,5% KOK-ის წყალხსნარების გავლენა ბურღვის პროცესზე.

ექსპერიმენტის ჩატარებისას ქანების ნიმუშები (ზომებით  $150 \times 150 \times 150$  მმ) ხისტად დამარეზულ იქნა მოწყობილობის სპეციალურ მაგიდაზე. გამოსაკვლევი ქანის ნიმუშებად გამოიყენება (ბურღვაობის მიხედვით)  $X - Xi$  კატეგორიის ტუფოგენური ქვიშაქვები. ქანმომნგრევი იარაღად აღებულ იქნა 02N3-59 ტიპის იმპრეგნირებული ალმასის გვირგვინები.

მიწოდებული სარეცხი სითხის რაოდენობა შეადგენს 40-50 ლ/წთ-ში. გამოკვლევის ნორმალურად ჩატარებისათვის, ბურღვის პროცესის საკონტროლოდ და ტექნიკური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად დაყენებულ იქნა საკონტროლო-საზომი ხელსაწყო ვატმეტრი H348; ექსპერიმენტის ხანგრძლივობა 10 წთ.

გამოკვლევების ჩატარებისას მიღებული შედეგები შეტანილია პირველ და მეორე ცხრილებში.

პირველ ცხრილში ასევე მოცემულია ზედაპირულად აქტიური ანტიფრიქციული დანამატების წყალხსნარების ხახუნის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება სახეთი ნივთიერებების ხახუნისა და ადგეზიის საზომი ხელსაწყოს ИТАС საშუალებით.

ცხრილი 1

№	სტანდარტის აღწერა	ზედათბრუნად აქტიური ანტიფორტიფიკაციის დინამიკის ტაბლი და კონცენტრაცია																			
		წყალი +2%CH <sub>2</sub>						წყალი +4% CH <sub>2</sub>  -1						წყალი +4% MZ							
		დეტექტივი დაწვრილი კაპილარული ფილტრების გამოყენებით																			
		8	9	10	11	12	8	9	10	11	12	8	9	10	11	12	8	9	10	11	12
1	წყალი, მ	51689,37	51403,16	51524,32	51706,43	54523,78	52779,33	53486,41	55103,71	55826,82	55234,22	55634	56061,14	51554,73	51536,84	51545,21	51536,84	51536,84	51549,22	51549,22	51563,83
2	ბენზინის მოცულობა, ნ.მ.	13,791	11,678	12,346	14,522	21,684	20,237	22,816	23,517	58102,13	15,149	13,287	14,194	16,225	13,004	11,526	12,016	12,016	13,821	13,821	14,927
3	სიმძლავრე, ვტ.	778	774	776	776	843	836	841	846	845	781	778	778	783	762	765	754	754	760	755	765
4	ბილი, ნ	428,006	426,314	427,634	429,112	455,017	452,673	454,220	456,201	456,102	450,515	447,864	449,679	452,461	410,762	408,011	409,351	409,351	411,245	411,245	409,305
5	ბილი, ნ	468500	468300	468400	468600	507900	507760	507840	507940	507800	432400	492200	492300	492500	450700	450550	450650	450650	450800	450800	450280
6	ბილი, ნ	468500	468300	468400	468600	507900	507760	507840	507940	507800	492200	492300	492500	492000	450700	450550	450650	450650	450800	450800	450280
7	ბილი, ნ	0,0313	0,0481	0,0446	0,0287	0,0235	0,047	0,0403	0,0207	0,0431	0,0294	0,0412	0,0256	0,0567	0,0567	0,0633	0,0617	0,0617	0,0533	0,0533	0,0639
8	ბილი, ნ	0,46	0,47	0,47	0,49	0,67	0,66	0,66	0,68	0,66	0,54	0,53	0,53	0,55	0,39	0,38	0,38	0,38	0,40	0,40	0,38
9	ბილი, ნ	0,173	0,173	0,173	0,173	0,315	0,315	0,315	0,315	0,315	0,204	0,204	0,204	0,204	0,149	0,149	0,149	0,149	0,149	0,149	0,149

გამოკვლევების მაჩვენებლები	პოლიმერების ტიპები და კონცენტრაცია			
	წყალი+0,3% სტაკრილატი	წყალი+1,5% KOK	წყალი+4% ჰიპანი	წყალი+4% ГПАА
მყისი წყალგაცემა, სმ <sup>3</sup>	4,2	2,2	2,8	3,6
ჩაღრმავება მ/წთ	0,0530	0,0421	0,0627	0,0737
სიმძლავრე, ვტ	813	878	853	788
ბრუნვის მომენტი, ნ. მ.	55903,694	6373,096	58653,998	54183,63
წნევა, პა	12,9453	19,9809	13,5828	12,5478
ძალა, ნ	438,84406	473,95881	460,433389	425,34915
მუშაობა, ვოული	487800	526800	511800	472800
ენერგია	487800	526800	511800	472800

რაციონალური ბურღვის რეჟიმის პარამეტრები განსაზღვრულ იქნა ბურღვის მექანიკური სინქარის (ჩაღრმავების მიხედვით (მ/წთ-ში), ალმასების მინიმალური ხარჯის მიხედვით.

მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მაღალი შედეგები მიიღწევა 800 ბრ/წთ ბრუნთა სიხშირისა და 10-11 კნ ღერძული დაწოლის დროს. ამასთან, საუკეთესო მაჩვენებლები მიიღება 4% M2 საზეთი დანამატით დამუშავებული წყალხსნარის გამოყენებისას, ჩაღრმავება ამ დროს 0,0725-0,0726 მ/წთ ტოლია, ხოლო ქანმომხგრევი იარაღის ცვეთა 0,38-0,36 კარ/მ, რაც სხვა ტიპის საზეთი დანამატებით დამუშავებული წყალხსნარების გამოკვლევისას მიღებული ქანმომხგრევი იარაღის ცვეთის სიდიდეზე ნაკლებია.

0,3% სტაკრილატ - 1-ის 1,5% KOK-ის, 4% ჰიპანის და 4% ГПАА წყალხსნარების ზემოქმედების გამოკვლევა ბურღვის დროს ქანში გვირგვინების ჩაღრმავებასა და სხვა ენერგეტიკულ მაჩვენებლებზე მოცემულია მე-2 ცხრილში; ასევე ამ პოლიმერული წყალხსნარების მყისი ფილტრაცია, რაც განსაზღვრულ იქნა BM-6 ტიპის წყალგაცემის საზომი ხელსაწყოთა საშუალებით (ამ ექსპერიმენტების დროს ბრუნთა რიცხვი 800 ბრ/წთ-ის ტოლია, ხოლო ღერძული დაწოლა 10 კნ).

ჩატარებული ცდები გვიჩვენებს, რომ ყველაზე ეფექტური შედეგები მიიღება 0,3% სტაკრილატით დამუშავებული წყალხსნარების გამოყენებისას. ამ ხსნარების მყისი ფილტრაცია 3,6 სმ<sup>3</sup> ტოლია, რაც მეტია სხვა პოლიმერული წყალხსნარების მყის წყალგაცემათა სიდიდებთან შედარებით, ასევე ჩაღრმავებაც შედარებით მაღალია ( $V_{რღ} = 0,0737$  მ/წთ) სხვა პოლიმერული წყალხსნარების გამოყენებასთან შედარებით. ეს ადასტურებს არსებული შეხედულების სისწორეს [3]. ამ შემთხვევაში ჩაღრმავების ზრდა ხდება ენერგეტიკული მაჩვენებლების მინიმალური დანახარჯებით.

## დასკვნა

ამრიგად, ქანების ბურღვადობის განსაზღვრისა და ბურღვის რეჟიმის პარამეტრების შერჩევითი საჭირო სტენდზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების დანერგვა წარმოებაში საშუალებას იძლევა, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდეს ჭაბურღილების ბურღვის პროცესი. ამ დროს ქანმომგრევი იარაღის მაქსიმალური ეფექტური მუშაობა მიიღწევა 0,3% სტაკრილატ-1-ის პოლიმერებით და 4% M2 ზედაპირულად აქტიური ანტიფრიქციული დანამატით დამუშავებული წყალხსნარების გამოყენებისას.

## ლიტერატურა

1. ი. დიდებულიძე, რ. თევზაძე, ვ. ხითარიშვილი. ქანების ბურღვადობის განსაზღვრისა და ბურღვის რეჟიმის პარამეტრების შერჩევითი საჭირო სტენდი. საავტორო მოწმობა №1303714, КЛ. E 21 39\00, 1\00, 1986.
2. ვ. ხითარიშვილი. მოწყობილობა ბურღვის პროცესის ოპტიმიზაციისათვის. საქ. სამ. ტექ. ინფ. საკვ. ინსტ. სამთო საქმე, №2 1990.
3. ვ. ხითარიშვილი. პოლიმერული სარეცხი სითხეების ფილტრაციის ზემოქმედება ქანების ნგრევაზე //საქართველოს ნავთობი და გაზი, №2(6), 2002 წ.
4. ვ. ხითარიშვილი, ნ. მაჭავარიანი, ტ. სარჯველაძე, ნ. კუპრავა. ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებით დამუშავებული სარეცხი სითხეების გამოყენება ჭაბურღილების ბურღვისას // საქართველოს ნავთობი და გაზი, №3(8), 2003 წ.
5. ვ. ხითარიშვილი. მაღალი ანტიფრიქციული თვისებების მქონე სარეცხი სითხეების გამოყენება ალმასის გვირგვინებით ჭაბურღილების ბურღვისას. სტუ შრომები, №2(418) 1998წ.
6. ვ. ხითარიშვილი. სარეცხი სითხეების შლამის ამოტანის უნარის ამაღლება ჭაბურღილების ბურღვისას //საქართველოს ნავთობი და გაზი, №10, 2004.

სსრკ

ღაკით (ღევი) ჩხეიძე



ღაკით (ღევი)  
ჩხეიძე

საქართველოს საინჟინრო და სამეცნიერო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საინჟინრო გეოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, ინჟინერ-გეოლოგთა ნაციონალური ასოციაციის კომიტეტის წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ინჟინერ-გეოლოგთა რამდენიმე პლენარის აღმზრდელი და მასწავლებელი დავით (ღევი) ჩხეიძე.

ღევი ჩხეიძე დაიბადა 1929 წელს თბილისში, ექიმების ოჯახში. 1947 წელს წარჩინებით დაამთავრა სკოლა, ხოლო 1952 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ამის შემდეგ ბატონი ღევის ცხოვრება უკავშირდება სამეცნიერო და სტრუქტურულ

აღმზრდელობით და პრაქტიკულ საინჟინრო საქმიანობას. იგი 1956-1963 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის სწავლული მდივანი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

1963 წლიდან სიკვდილამდე ღევი ჩხეიძე მოღვაწეობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უფროს მასწავლებლად, დოცენტად, პროფესორად სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის კათედრაზე. ამ კათედრას ხელმძღვანელობდა 1974-1991 წლებში. 1976-1991 წლებში ღევი ჩხეიძე მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველ პრორექტორად სასწავლო დარგში. ბოლო წლებში ბატონი ღევი მოღვაწეობდა კათედრის პროფესორად და კომპანია „ჯეოინჟინირინგის“ მთავარ მეცნიერ კონსულტანტად.

პროფესორ ღევი ჩხეიძის მეცნიერული, პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის ძირითადი სფერო საინჟინრო გეოლოგია იყო. ამ დარგში 80-მდე სამეცნიერო შრომის, მათ შორის ორი სასწავლო-სახელმძღვანელო და ორი მონოგრაფიის ავტორია, მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო კონგრესსა და სიმპოზიუმში.

ღევი ჩხეიძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, არამედ მთლიანად ქართულ საინჟინრო-სამეცნიერო საზოგადოებაში. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ეროვნული საინჟინრო განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში. პროფესორ ღევი ჩხეიძის საინჟინრო და სამეცნიერო საქმიანობა დაკავშირებული იყო საკვლევ-საძიებო და თეორიული და მეთოდური საკითხების დამუშავებასთან, რომლებიც ეხებოდა სხვადასხვა ტიპის მშენებლობისათვის საჭირო გეოლოგიურ გარემოს, ასევე სასარგებლო წიაღისეულის დამუშავების და მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის საინჟინრო-გეოლოგიური უზრუნველყოფის პრობლემებს. მისი შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებში. აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაზე შექმნილმა სახელმძღვანელომ საინჟინრო გეოლოგიაში, რომელიც გამოიცა ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს გრიფით, ხელი შეუწყო მრავალი დარგის საინჟინრო კადრების მომზადებას. იგი თანაავტორია ისეთი ფუნდამენტური გამოცემებისა, როგორცაა: სსრკ ჰიდროგეოლოგია, X ტომი; სსრკ საინჟინრო გეოლოგია, VIII ტომი, კავკასია, ყირიმი, კარპატები; ლექსიკონი გეოლოგიასა და გეოეკოლოგიაში და სხვა. მისი უშუალო

---

---

**სსოვნა**

მონაწილეობით შესრულდა მთელი რიგი საინჟინრო პროექტები, რომლებსაც დიდი ეკონომიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

პროფესორ დევი ჩხეიძის სამეცნიერო ხელმძღვანელობით სხვადასხვა დროს დაცულია ექვსი საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაცია. მისი თავდადებული შემოქმედებითი შრომა აღნიშნულია ღირსების ორდენით, მედლებითა და დიპლომებით.

ყოველივე ზემოთ თქმული წარმოაჩენს ბატონ დევი ჩხეიძის პრაქტიკული მოღვაწეობის მნიშვნელობას და იმ დანაკლისს, რაც ქართულმა საინჟინრო-სამეცნიერო საზოგადოებამ განიცადა.

განუზომლად დიდია დანაკლისი, რომელიც მისმა გარდაცვალებამ დაუტოვა ორ შვილსა და ოთხ შვილიშვილს, რომელთაც დაკარგეს საუკეთესო მამა და ბაბუა, მის მეგობრებს, რომელთაც დაკარგეს გულისხმიერი და ერთგული მეგობარი, მოსწავლეებსა და თანამშრომლებს, რომელთაც დაკარგეს მაღალზნეობრივი, თავდადებული და მოსიყვარულე მასწავლებელი, გვერდში მდგომი ზრდილი და თავაზიანი ადამიანი.

დაუეციყარია უკეთილშობილესი პიროვნების, დევი ჩხეიძის ხსოვნა, რომელმაც მართლაც კაცურად და შინაარსიანად განვლო არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლე, უშურველად გაიღო გულის სითბო, ზრუნვა და სიყვარული.

ნათელი დაუმკვიდროს მის სულს უფალმა ზეციურ ქვეყანაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი და ჰიდროგეოლოგიისა და  
საინჟინრო-გეოლოგიის კათედრა

**სსიპსა**

**ბარდანიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორი მერაბ მახარაძე**

მერაბ მახარაძე დაიბადა 1928 წლის 5 აპრილს თბილისში. 1952 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კომბინატ „საქნახშირის“ ტყიბულის ქვანახშირის შახტებში.

1968 წელს დაამთავრა მოსკოვის სამთო ინსტიტუტის ასპირანტურა პროფესორ ნ.მ. პოკროვსკის ხელმძღვანელობით, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მოსკოვიდან დაბრუნებულმა შემდეგ მუშაობა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტში, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც კითხულობდა ლექციების კურსს მანქანათა ნაწილებში, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის ტექნოლოგიაში. 1983 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1985-1991 წლებში მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამოყენებითი მექანიკის კათედრაზე.

1991 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჯერ მანქანათა ნაწილების, შემდეგ სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების და მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის კათედრის პროფესორი.

მერაბ მახარაძე იყო ცნობილი მეცნიერი და მოღვაწე. წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა მიწისქვეშა ნაგებობათა გამაგრების საკითხებზე. მის მიერ შემუშავებულია არაერთი ეფექტური სამაგრი კონსტრუქცია და გამაგრების მეთოდი. მათი დიდი ნაწილი წარმატებით დაინერგა ტყიბულის შახტებსა და ჭიათურის მადაროებში.

მ. მახარაძის შრომებმა ხელი შეუწყო საქართველოში სამთო დარგის განვითარებას. იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, გამოგონებისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

2003 წელს გაწეული ღვაწლისათვის დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

მერაბ მახარაძე გამოირჩეოდა მაღალი მოქალაქეობრივი და ადამიანური ღირსებით, იყო გამორჩეულად კეთილშობილი და ამავე დროს პრინციპული პიროვნება და პედაგოგი, დამსახურებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა კოლეგებსა და სტუდენტებში.

დიდხანს ემახსოვრებოდა მერაბ მახარაძე მის კოლეგებსა და აღზრდილებს. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანატი**

**სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების  
და მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის კათედრა**

**სსოვნა**

**პროფესორ მერაბ მახარაძის სსოვნას  
ბამოსათხმობარი სიტყვა**

სამწუხაროდ არ ასრულდა თქვენი დიდი სურვილი – აუცილებლად ასი წელი უნდა ვიცოცხლო ჩემი გაზრდილების, ახალგაზრდა თაობის, დამოუკიდებელი საქართველოს წარმატებებს დიდხანს რომ ვხედავდეო. ხშირად იმეორებდა ამას ბოლო წლებში და ჯიუტად ებრძოდა ავადმყოფობას.

თქვენ, რეპრესირებული ოჯახის შვილი, განსაკუთრებით გაგახარათ საქართველოს დამოუკიდებლობამ. მტკივნეულად განიცდიდით ქართული სახელმწიფოს პირველი ნაბიჯების წარმატებებსა და წარუმატებლობებს. სტუდენტობის წლებში, საინჟინრო საქმის სწავლებასთან ერთად, გაბედულად გვესაუბრებოდით იმდროინდელი პოლიტიკური სისტემის მანკიერებაზე და გვენერგავდით რწმენას – საქართველო აუცილებლად გახდება დამოუკიდებელი ქვეყანა. მაშინ ცოტა ვინმე თუ ბედავდა ამას სტუდენტურ აუდიტორიაში. პრობლემაც არ გაკლდათ ამის გამო.

სიყვარულით, სიკეთით სავსე, ამავე დროს მკაცრი, შეუვალი და მომთხოვნი, პროფესიული და ადამიანური ღირსებებით სავსე კაცი, გამორჩეულად თაყვანისმცემელი, წამქეზებელი და გზის გამკვლევი, ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის დამფასებელი სტუდენტების შეგონებით და მამობრივი სიმკაცრით გზაზე დამყენებელი, ფიზიკურად და სულიერად ახოვანი – ასეთი დაგვამახსოვრდით მრავალ თაობას. ყველას გვიყვარდით და გვერიდებოდა თქვენი, ბატონო მერაბ.

მრავალი წლის განშორების შემდეგ მშობლიურ ტექნიკურ უნივერსიტეტში დაბრუნებისას ხშირად ამბობდით – ღირსება დამიბრუნესო ჩემმა გაზრდილებმა. ეს მაღლიერების გამოხატვა იყო თორემ, სწორედ მაღალი ღირსება და პრინციპულობა იყო „გპი“-დან თქვენი წასვლის და დაბრუნების მიზეზი. ღირსების ორდენით დაჯილდოებით აღინიშნა ეს თქვენი დაბადების 75 წლისთავზე.

მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მიწა ბატონო მერაბ, ბატონო პროფესორო.

თქვენ მუდამ დარჩებით ჩვენს მასწავლებლად.

**თქვენი ყოფილი სტუდენტები**



**საქართველოს მინერალური რესურსები**

**ნავთობის მოპოვება საბადოების მიხედვით**

საბადო	ათ. ტ. მოპოვებული ნავთობი 2006 II კვ.	ათ. ტ. მოპოვებული ნავთობი 2006 III კვ.	ათ. ტ. მოპოვებული ნავთობი 2006 IV კვ.
1. შირაზანი	0,971	0,962	0,969
2. პატარა შირაქი	0,033	0,037	0,040
3. ნორიო	0,125	0,122	0,130
4. სუფსა	0,0705	0,0685	0,056
5. საცხენისი	0,0053	0,0067	0,0081
6. აღმ. ჭალადიდი	–	–	–
7. სამგორი	10,112		
8. ტარიზანა	0,299	0,227	0,1235
9. ურომისუბანი	0,4495	0,3065	0,349
10. თელთი	3,132	3,111	3,162
11. სამგ. სამხრ. თალი	0,783		
12. დას. რუსთავი	0,4856		
13. ნაზარღები	0,095	0,081	0,107
14. მწარეხევი	–	–	–
15. პაიდა	0,0053	0,0058	0,0057
<b>სულ</b>	<b>16,5662</b>	<b>4,9275</b>	<b>4,9503</b>
<b>გაზი 10<sup>3</sup>მ<sup>3</sup></b>	<b>3938,506</b>	<b>3865,888</b>	<b>5018,01</b>
1. ნინოწმინდა	3938,506	3865,888	5018,010
2. რუსთავი	0	0	0

**ნავთობისა და გაზის ფასები**

2006 წლის ოქტომბრის საერთაშორისო ფასები ერთ ტონა ნავთობპროდუქტებზე, რომლითაც ხორციელდება საქართველოში იმპორტი

გენუის ბირჟა

პროდუქტი	ღირებულება (US\$)
ბენზინი (Premium Gasoline 50 PPM)	494.75 (- 4.25)
ნავთა (NAFTA)	483.25 (- 4.00)
ნავთი (Jet Fuel (max))	579.75 (- 11.00)
დიზელი (Gasoil.0.2%)	549.50 (- 3.00)
მაზუტი (Maze)	254.25 (- 7.50)
ნავთობი (Brand)	58.43 (- 0.60)
ნავთობი (Urals)	55.20 (- 1.39)

**საქართველოს მინერალური რესურსები**

**განვლილება**

**სიგრძე**

	დუიმი	ფუტი	იარღი	მილი	მმ	სმ	მეტრი
დუიმი	////	0.083	0.0228	11.5E-5	25,4	2,54	0,254
ფუტი	12	////	0.33	1.9E-4	304,8	30,48	0,3144
იარღი	36	3	////	5.7E-7	914,4	91,44	0,9144
მილი	63360	5280	1760	////	1,61E+6	1,61E+5	1609,3
მილიმეტრი	0.0394	3.28E-3	0.0011	6.2E-7	////	0,1	0,001
სანტიმეტრი	0.394	0.0328	0.011	6.2E-6	10	////	0,01
მეტრი	39.37	3.281	1.094	6.2E-3	1000	100	////

1inch = 2,540სმ;

1სმ = 0,394inch.

**წონა**

	უნცია	ფუნტი	მოლავ.წონა	გრამი	კილოგრამი	ტონა
უნცია	////	0.0625	3.125E-5	28,35	0.02835	2.835 E-5
ფუნტი	16	////	0.0005	453,6	0.4536	4.536 E-4
მოლავ.წონა	32000	2000	////	907185	907.2	0,907
გრამი	0.035	0.0022	1.1 E-6	////	0.001	1E-6
კილოგრამი	3.5	2.2	1.1 E-3	1000	////	0,001
ტონა	35274	2204	1.1	1E+6	1000	////

**წნევა**

	ატმოსფერო (კგ/სმ <sup>2</sup> )	PSI(ფუნტი/დუიმი <sup>2</sup> )	ფუნტი/დუიმი <sup>2</sup>
ატმოსფერო (კგ/სმ <sup>2</sup> )	////	0.0625	3.125E-5
PSI(ფუნტი/დუიმი <sup>2</sup> )	16	////	0.0005
ფუნტი/დუიმი <sup>2</sup>	32000	2000	////

**მოცულობა**

	დუიმი <sup>3</sup>	ფუტი <sup>3</sup>	ბარელი <sup>3</sup>	მმ <sup>3</sup>	სმ <sup>3</sup>	მ <sup>3</sup>
დუიმი <sup>3</sup>	////	5.79 E-4	1.03 E-4	16.39	0.01639	1.639 E-8
ფუტი <sup>3</sup>	1728	////	0.178	2.83E+7	2.83E+4	0.0283
ბარელი <sup>3</sup>	9702	5.615	////	1.59E+8	1.59E+5	0.159
მმ <sup>3</sup>	0.061	3.5315 E-10	6.29 E-9	////	0.001	1E-9
სმ <sup>3</sup>	61.02	3.5315 E-7	6.29 E-9	1000	////	1E-6
მ <sup>3</sup>	61024	35.315	6.29	1E+9	1E+6	////

**საქართველოს მინერალური რესურსები**

**სიმკვრივე**

(ფ.ს.-ფარდობითი სიმკვრივე - shtcific gravity)

	ფუნტი/გალონი PPG	ფუნტი/ფუტი <sup>3</sup>	APJ	კმ/ლ.მ/სმ <sup>3</sup> .ფ.ს.	კგ/მ <sup>3</sup>
ფუნტი/გალონი PPG	////////	7.4805	5.814	0.1198	119.83
ფუნტი/ფუტი <sup>3</sup>	0.134	////////	0.775	0.01602	16.081
APJ	0.172	1.29	////////	0.0206	20.6
კმ/ლ.მ/სმ <sup>3</sup> .ფ.ს.	8.345	62.43	48.54	////////	1000
კგ/მ <sup>3</sup>	8.345 E-3	0.624	0.04854	1 E-3	////////

**თხევადი მოცულობა**

	უხვია	პინტა	კვარტა	გალონი	გარალი	ლიტრი	მმ <sup>3</sup>	მ <sup>3</sup>
უხვია	////	0.0625	0.0315	0.0078	1.86 E-4	0.0295	29.5	2.95E-5
პინტა	16	////	0.5	0.125	0.0625	0.473	473.2	4.73 E-4
კვარტა	32	2	////	0.25	0.00595	0.946	946	9.46 E-4
გალონი	128	8	4	////	0.0238	3.785	3.785	3.785 E-3
გარალი	5376	16	168	42	////	159	158987	0.159
ლიტრი	34	2.11	1.057	0.264	0.00629	////	1000	0.0011
მმ <sup>3</sup>	0.034	2.11E-3	1.06 E-3	2.64 E-4	6.29 E-6	0.001	////	1 E-6
მ <sup>3</sup>	34000	2110	1057	2640	6.29	1000	1 E+6	////

**ნავთობისა და გაზის მოდენა**

(გალონი, გარალი, ფუტი)

	ლ/წთ	გალ/წთ	ფტ <sup>3</sup> /წთ	ბრლ/წთ	ფტ <sup>3</sup> /სთ	ბრლ/დღ	მ <sup>3</sup> /სთ	მ <sup>3</sup> /დღ
ლ/წთ	////	0.264	0.035	6.29 E-3	2.12	9.057	1.7 E-5	4.8 E-4
გალ/წთ	3.785	////	0.134	0.024	8.02	34.29	6.3 E-5	1.5 E-3
ფტ <sup>3</sup> /წთ	28.32	7.48	////	0.178	60	256.5	4.7 E-4	1.13 E-2
ბრლ/წთ	159	42	5.615	////	337	1440	2.65 E-3	6.36 E-2
ფტ <sup>3</sup> /სთ	0.472	0.125	0.017	297 E-3	////	4.27	8 E-6	1.92 E-4
ბრლ/დღ	0.11	0.03	0.0089	6.9 E-4	0.234	////	1.1 E-4	2.64 E-3
მ <sup>3</sup> /სთ	60000	158.52	0.118	377.4	127140	54320	////	24
მ <sup>3</sup> /დღ	2500	6.605	88.25	15.725	5297.5	22642.5	0.042	////

**საქართველოს მინერალური რესურსები**

ტემპერატურა

$$(^{\circ}C) \text{ ცელსიუსით} = (^{\circ}F - 32) * 5/9;$$

$$(^{\circ}F) \text{ ფარენგეიტით} = (^{\circ}C) * 9/5 + 32.$$

**ფიზიკური მუდმივები**

გრაფიტაციული მუდმივა . . . . .	$G$	$6,6720 \cdot 10^{-11} \text{ ნ} \cdot \text{მ}^2 \cdot \text{კგ}^{-2}$
სინათლის სიჩქარე ვაკუუმში . . . . .	$c$	$2,99792458 \cdot 10^8 \text{ მ} \cdot \text{წმ}^{-1}$
მაგნიტური მუდმივა . . . . .	$\mu_0$	$1,25663706144 \cdot 10^{-6} \text{ გნ} \cdot \text{მ}^{-1}$
ელექტრული მუდმივა . . . . .	$\epsilon_0$	$8,85418782 \cdot 10^{-12} \text{ ფ} \cdot \text{მ}^{-1}$
პლანკის მუდმივა . . . . .	$h$	$6,626176 \cdot 10^{-34} \text{ ჯ} \cdot \text{წმ}$
ელექტრონის უძრაობის მასა . . . . .	$m_e$	$9,109534 \cdot 10^{-31} \text{ კგ}$ $5,4858026 \cdot 10^{-4} \text{ მ.ა.ე.}$
პროტონის უძრაობის მასა . . . . .	$m_p$	$1,6726485 \cdot 10^{-27} \text{ კგ}$ $1,007276470 \text{ მ.ა.ე.}$ $1,6749543 \cdot 10^{-27} \text{ კგ}$
ნეიტრონის უძრაობის მასა . . . . .	$m_n$	$1,008665012 \text{ მ.ა.ე.}$
ელექტრონის მუხტი (აბსოლუტური მნიშვნელობა) . . . . .	$e$	$1,6021892 \cdot 10^{-19} \text{ კ}$
მასის ატომური ერთეული		$1,665655(86) \cdot 10^{-27} \text{ კგ}$
ავოგადროს მუდმივა . . . . .	$N_A$	$6,02245 \cdot 10^{23} \text{ მოლი}^{-1}$
ფარადის მუდმივა . . . . .	$F$	$96484,56 \text{ კ} \cdot \text{მოლი}^{-1}$
მოლური გაზური მუდმივა . . . . .	$R$	$8,31441 \text{ ჯ} \cdot \text{მოლი}^{-1} \cdot \text{კ}^{-1}$
ბოლცმანის მუდმივა . . . . .	$K$	$1,380662 \cdot 10^{-23} \text{ ჯ} \cdot \text{კ}^{-1}$
იდეალური გაზის ნორმალური მოლური) მოცულობა ნორმალურ პირობებში ( $t = 0^{\circ} C, p = 101,325 \text{ კპა}$ ). . . . .	$V_0$	$2,241 \cdot 10^{-2} \text{ მ}^3 / \text{მოლი}$
ნორმალური ატმოსფერული წნევა . . . . .	$P_{\text{ნ.ა.ტ.}}$	$101325 \text{ პა}$
თავისუფალი ვარდნის აჩქარება (ნორმალური) . . . . .	$g_0$	$980665 \text{ მ} / \text{წმ}^2$
ელექტრონის უძრაობის ენერგია . . . . .	$m_e c^2$	$0,511034 \text{ მეე}$
პროტონის უძრაობის ენერგია . . . . .	$m_p c^2$	$938,2796 \text{ მეე}$
ნეიტრონის უძრაობის ენერგია . . . . .	$m_n c^2$	$939,5731 \text{ მეე}$
წყალბადის ატომის მასა . . . . .	$^1H$	$1,07825036 \text{ მ.ა.ე.}$
ნეიტრონის ატომის მასა . . . . .	$^2H$	$2,0141011795 \text{ მ.ა.ე.}$
ჰელიუმის ატომის მასა . . . . .	$^4H$	$4,002603267 \text{ მ.ა.ე.}$
ბორის ორბიტის რადიუსი . . . . .	$a_0$	$5,2917706 \cdot 10^{-11} \text{ მ}$

საქართველოს მინერალური რესურსები

სიდიდეთა კოეფიციენტების გადაყვანა ამერიკული ერთეულებიდან SI ერთეულებში

სიდიდის დასახელება	ამერიკული ერთეულები		SI ერთეული		ერთეულის შესაბამისობა
	დასახელება	აღნიშვნა	დასახელება	აღნიშვნა	
სიგრძე	ფუტი დიუმი მილი	ft in mil	მეტრი	მ	1 ft = 0,3048 მ 1 in = 2,54 X 10 <sup>-2</sup> მ 1 mil = 2,54 X 10 <sup>-5</sup> მ
ფართობი	კვადრატული ფუტი კვადრატული დუიმი	ft <sup>2</sup> in <sup>2</sup>	კვადრატული მეტრი	მ <sup>2</sup>	1 ft <sup>2</sup> = 9,2903 X 10 <sup>-2</sup> მ <sup>2</sup> 1 in <sup>2</sup> = 6,4516 X 10 <sup>-4</sup> მ <sup>2</sup>
მოცულობა	კუბური ფუტი ბარელი გალი	ft <sup>3</sup> bbl gal	კუბური მეტრი	მ <sup>3</sup>	1 ft <sup>3</sup> = 2,8317 X 10 <sup>-2</sup> მ <sup>3</sup> bbl = 0,1590 მ <sup>3</sup> 1 gal = 3,7854 X 10 <sup>-3</sup> მ <sup>3</sup>
მასა	ფუნტი	lb	კილოგრამი	კგ	1 lb = 0,4536 კგ
ძალა, წონა	ფუნტი-ძალა დინა	lb din	ნიუტონი	ნ	1 lbf = 4,4482 ნ 1 dyn = 10 <sup>-5</sup> ნ
სიმკვრივე	ფუნტი კუბურ ფუტზე ფუნტი გალონზე ფუნტი ბარელზე	lb/ft <sup>3</sup> lb/gal lb/bbl	კილოგრამი კუბურ მეტრზე	კგ/მ <sup>3</sup>	1 lb/ft <sup>3</sup> = 16,0185 კგ/მ <sup>3</sup> 1 lb/gal = 119,8263 კგ/მ <sup>3</sup> 1 lb/bbl = 2,853 კგ/მ <sup>3</sup>
წნევა, მექანიკური დაბაბულობა	ფუნტი-ძალა კვადრატულ დიუიმზე დინა კვადრატულ სანტიმეტრზე ფუნტი 100 კვადრატულ ფუტზე	lb/in <sup>2</sup> dyn/cm <sup>2</sup> lb	პასკალი	პა	1 lb/in <sup>2</sup> = 6894,76 პა dyn/cm <sup>2</sup> = 0,1 პა 1 lb/100bf = 0,4788 პა
წნევის გრადიენტი	ფუნტი-ძალა კვადრატულ დიუიმზე ფუნტი-ფუტი	lb/(in <sup>2</sup> · ft)		პა/მ	1 lb/(in <sup>2</sup> · ft) = 2,262 X 10 <sup>-2</sup> პა/მ
ზედაპირული დაჭიმულობა	ფუნტი-ძალა ფუნტზე დინა სანტიმეტრზე	lb/ft dyn/cm	ნიუტონი მეტრზე	ნ/მ	1 lb/ft = 14,5939 ნ/მ 1 dyn/cm = 10 <sup>-3</sup> ნ/მ
დინამიკური სიბლანტე	პუაზი	P	პასკალი-წამი	პა·წმ	1 P = 0,1 პა·წმ
შედ წვეადობა	დარსი	D	კვადრატული მეტრი	მ <sup>2</sup>	1 D = 1,0197 X 10 <sup>-12</sup> მ <sup>2</sup> ≈ 1 მ <sup>2</sup>

## ეკონომიკისა და მარკეტინგის სექცია

უპკ 624:24

**ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენება ნავთობგამომწოდების მრეწველობაში ჰიდროდინამიკური კვლევებისა და დამუშავების ანალიზის დროს. გ. ვარშალომიძე, გ. ქოიავა, ი. გოგუაძე, შ. ხარებავა. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 19-25 (ქართ.)**

წარმოდგენილია ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავებისა და ექსპლუატაციის ობიექტები, როგორც რთული მრავალფუნქციური და მრავალსახა სისტემები, რომლის ეფექტიანობის ზრდა მოითხოვს ტექნოლოგიურ ღონისძიებათა გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც შესაძლოა ჩატარდეს დეტერმინისტიკური ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, რომელშიც უპირატესობა ენიჭება პარეტოს შეფასების პრინციპს დაჯგუფების მარკოვის ჯაჭვურ თეორიაზე დაყრდნობით და კოლმოგოროვის გარდამავალი ალბათობის განტოლების გამოყენებით. ილ. 2, ბიბლ. 4 (3 ქართ., 1 რუს.).

**საკვანძო სიტყვები:** პარეტოს პრინციპი, ნავთობგამომწოდება, გადაწყვეტილების მიღება, სისტემური ანალიზი, სინთეზი.

უპკ 622.013

**ეკონომიკური რისკი ნავთობის დ გაზის მრეწველობაში. რ. სარჩიმელია, გ. ტაბატაძე. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 26-31 (ქართ.)**

დახასიათებულია ეკონომიკური რისკი ნავთობისა და გაზის მრეწველობაში და მისი გამოყენების მეთოდოლოგიური საკითხები, რისკის შეფასება მათემატიკური სტატისტიკის ელემენტებით. ყურადღება გამახვილებულია რისკის მართვის მეთოდების ეფექტიანი გამოყენების სიმკვლეებზე პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკის სინამდვილეში და იმ საშუალებებზე, რომელიც საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს რისკის კვლევის გასაღრმავებლად იმ პირობებში, როდესაც წინ წამოიწევა რისკის მიმზიდველობა ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების ათვისების სამუშაოების ჩატარების და ამ საქმეში ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით. ბიბლ. 7 (4 ქართ., 3 რუს.).

**საკვანძო სიტყვები:** რისკი, ეფექტიანობა, მოგება, შემოსავალი, ინვესტიციები, ზარალი, რისკის მიმზიდველობა, რისკის შედარება.

## მაგისტრალური მილსადენების სექცია

უპკ 553.068(47.93)

**მაგისტრალური მილსადენების კოროზიული მდგომარეობის გამოკვლევა. ზ. სინარულიძე, დ. მაისურაძე, ი. თაყაძე, გ. ჯაში, გ. ბოლოთაშვილი. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 32-37 (ქართ.)**

განხილულია მაგისტრალური მილსადენის კოროზიული მდგომარეობის კვლევისა და ინტერპრეტაციის მეთოდის შემუშავების და აღმოსავლეთ საქართველოში საგურამო – წითელი ხიდის მონაკვეთზე ჩატარებული საველე ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგები.

მილსადენის კოროზიული მდგომარეობის ოპტიმიზაციისათვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ექსპერიმენტული კვლევების მათემატიკური დაგეგმარება. კოროზიული მდგომარეობის მათემატიკური შეფასება ჩატარებულია წრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნით. საველე ექსპერიმენტული გამოკვლევების ინტერპრეტაციის შედეგად დადგინდა ცალკეული რისკ-ფაქტორები.

**რეზიუმეები – РЕФЕРАТЫ – SUMMARIES**

რების კუთრი წილი, გაზსადენის გასწვრივ დაფიქსირდა მაღალი, მომეტებული, საშუალო და ნაკლებად კოროზიული უბნები. ილ. 2, ბიბლ. 5 (2 რუს., 3 ინგ.).

**საკვანძო სიტყვები:** ტექნიკური კრიტერიუმი, რისკფაქტორი, ნარჩენი სიმტკიცე, ცვეთის სიჩქარე, სიმტკიცის მარაგი, ადგეზია.

უპკ 551536

**მილსადენებით მდინარეთა გადაკვეთებზე წყლის საანგარიშო მაქსიმალური ხარჯის შეფასება. გ. გრიგოლია, ვ. ტრაბაიძე, გ. ბრეგვაძე. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 38-42 (ქართ.)**

წარმოდგენილია ის საკითხები, რომელიც დაკავშირებულია მილსადენით წყალსადინარების წყალქვეშა გადაკვეთისას მილის გაშიშვლების რისკის რაოდენობრივი შეფასების საანგარიშო უზრუნველყოფის განსაზღვრასთან, მისი შესაბამისი წყლის მაქსიმალური ხარჯის დადგენასა და განაწილების ფუნქციის შერჩევასთან. მილსადენების ფუნქციონირების როლის გაზრდასთან ერთად იზრდება გარემოზე ზემოქმედების რისკი. ამასთან, სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს სხვადასხვანაირი მიდგომა მაქსიმალური ხარჯების საანგარიშების დროს, ამიტომ საჭიროა შემუშავდეს ერთიანი საერთაშორისო ნორმატიული აქტი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს უფრო საიმედო და ერთიანი მეთოდით გადაწყდეს ეს საკითხი. ცხრ. 3, ბიბლ. 6 (1 ქართ., 3 რუს., 1 ინგ.).

**საკვანძო სიტყვები:** საანგარიშო უზრუნველყოფა, წყლის მაქსიმალური ხარჯი, განაწილების ფუნქცია.

უპკ 677.1/5

**დაბაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შეფასება უკუგაბნევის მეთოდით. ჯ. ბახტაძე, ე. ქრისტესიაშვილი, თ. ნარეკლიშვილი. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 43-48 (ქართ.)**

კონსტრუქციებში მიმდინარე რთული გარდამავალი პროცესები, რომლებიც გამოწვეულია დინამიკური ზემოქმედებით, შესწავლილია ბოტკოვან-ობტიკური შუქსატარებით უკუგაბნევის მეთოდის გამოყენებით. იზომება შუქსატარში შეყვანილი ობტიკური გამოსხივების უკუგაბნევა რეფლექტომეტრის მეშვეობით. რეფლექტომეტრში ჩაწერილი რეფლექტოგრამა წარმოადგენს უკუგაბნევის მრუდს ბოტკოვან-ობტიკური შუქსატარის მთელ სიგრძეზე, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით. ილ. 5, ბიბლ. 4 (1 ქართ., 2 რუს., 1 ინგ.).

**საკვანძო სიტყვები:** ბოტკოვან-ობტიკური გადამწოდი, უკუგაბნევის მეთოდი, რეფლექტომეტრი, რეფლექტოგრამა, კონსტრუქციის დაბაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა.

უპკ 622.648.23:532.595.2

**სადაწნეო ჰიდროსატრანსპორტო სისტემებში წნევის ეკვივალენტური ცვალებადობის წარმოქმნის მიზეზები და პირობები, მათი თავიდან აცილების რეკომენდაციები. ლ. მახარაძე. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 49-60 (რუს.)**

განხილულია ცენტრიდანული გრუნტის ტუმბოებითა და ნახშირსაწოვებით (სხვადასხვა სქემით) მომუშავე სადაწნეო ჰიდროსატრანსპორტო სისტემებში გარდამავალი და არასტაციონარული პროცესების დროს წნევის მკვეთრი ცვალებადობის წარმოქმნის მიზეზები და პირობები, რომელთა ანალიზის საფუძველზე მოცემულია რეკომენდაციები წნევის მკვეთრი ცვალებადობის თავიდან აცილებისათვის ან აღნიშნული პროცესების კონკრეტულ პირობებში შესაძლებლობების ფარგლებში მდოვრედ წარმართვისათვის, წნევისა და სიჩქარის დასაშვებ დიაპაზონში ცვალებადობისას. ილ.7. ბიბლ. 10 (8 რუს. 2 ინგ.).

**რეზიუმეები – РЕФЕРАТЫ – SUMMARIES**

**საკვანძო სიტყვები:** მაგისტრალური მილსადენი, ცენტრიდანული ტუმბოები, ჰიდრაგლიკური დარტყმა, წნევა, არასტაციონარული პროცესები, გარდამავალი პროცესები.

უპკ 677.1/.5

**კარკასულ კონსტრუქციებში ოპტიკური ბოჭკოს ლაბორინტული ფორმით დამაგრებით დაზიანების კერების დაზიანების მათემატიკური უზრუნველყოფა. ჯ. ბახტაძე, ე. ქრისტესიაშვილი, ტ. ანჯაფარიძე. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 61-65 (ქართ.)**

გადაწყვეტილია კარკასულ კონსტრუქციაში ოპტიკური ბოჭკოს ლაბორინტული ფორმით დამაგრებით დაზიანების კერების ამოცანა. მათემატიკურად დამტკიცებულია, რომ დაზიანების შედეგად ოპტიკური ძაფის წყვეტის წერტილის კოორდინატები შესაძლებელია მოიძებნოს მარტივი პროგრამის შედგენით. აღნიშნული ტექნიკური სიახლე საშუალებას იძლევა რეალურ დროში მოვახდინოთ განუწყვეტელი ინფორმაციის მიღება, ე.ი. მოვახდინოთ კარკასული შენობა-ნაგებობების სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი. ილ. 6, ბიბლ. 5 (ქართ.).

**საკვანძო სიტყვები:** ლაბორინტული ფორმის ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდი, კარკასული კონსტრუქციები, წერტილის კოორდინატები.

უპკ 677.1/.5

**მაგისტრალურ მილსადენზე ოპტიკური ბოჭკოს ლაბორინტული სპირალისებრი დახვევის შემთხვევით დაზიანების კერების დაზიანების მათემატიკური უზრუნველყოფა. ჯ. ბახტაძე, ი. გოგუაძე, ტ. ანჯაფარიძე. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 66-71 (ქართ.)**

გადაწყვეტილია მაგისტრალური მილსადენის დაზიანებული ადგილის განსაზღვრის ამოცანა, მასზე დახვეული ოპტიკური ძაფის გაწყვეტით. მათემატიკურად დამტკიცებულია, რომ დაზიანების შედეგად ოპტიკური ძაფის წყვეტის წერტილის კოორდინატები შესაძლებელია მოიძებნოს ლაბორინტული ფორმის ხეობაზე მარტივი პროგრამის შედგენით. აღნიშნული ტექნიკური სიახლე საშუალებას იძლევა რეალურ დროში მოვახდინოთ განუწყვეტელი ინფორმაციის მიღება, ე.ი. მოვახდინოთ მაგისტრალური მილსადენის სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი. ილ. 5, ბიბლ. 4 (ქართ.).

**საკვანძო სიტყვები:** მაგისტრალური მილსადენი, ლაბორინტული სპირალისებრი დახვევით ბოჭკოვან-ოპტიკური ძაფი, წყვეტის წერტილების კოორდინატები, მათემატიკური უზრუნველყოფა.

## **გეოლოგიის სექცია**

უპკ 551.24.553.9(479.22)

**დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლის სიღრმული აგებულება არსებული გეოფიზიკური კვლევების ინტერპრეტაციის მიხედვით. ნ. ჯიქია, ნ. ებრაელიძე, ნ. ხუნდაძე, დ. ვახანია. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 72-80 (ქართ.)**

დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლის და მიმდებარე შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში წლების განმავლობაში წარმოებული სხვადასხვა სახის გეოფიზიკური კვლევის შედეგად გამოისახა სიღრმული აგებულება მეზოზოური ნალექების ცალკეული პირობითი სეისმური პორიზონტების მიხედვით, რის მიხედვითაც შედგა სტრუქტურული და დროებითი სიჩქარეების რუკები, სქემები და სეისმოგეოლოგიური პროფილები, რაც შეთავსებულ იქნა სხვადასხვა სიღრმისა და დანიშნულების ჭაბურღილების ჭრილებთან. ასეთ ინტერპრეტაციას გადამწყვეტი როლი ენიჭება საქართველოში ახალი ნავთობგაზდაგროვებების აღმოჩენის მიზნით, ხოლო სტატიაში გამოკვეთი-



**რეზიუმეები – РЕФЕРАТЫ – SUMMARIES**

ლად არის განხილული რიონი - ენგურის მდინარეთაშუეთში მოქცეული საძიებო ობიექტების სიღრმული გეოლოგიური აგებულების მჭიდრო კავშირი მიმდებარე შავი ზღვის აკვატორიის გეოლოგიურ აგებულებასა და ნავთობგაზიანობის პერსპექტივებთან. ილ. 2, ბიბლ. 2 (ქართ.).  
**საკვანძო სიტყვები:** სეისმური ძიება, რღვევა, იზოხაზი, სტრუქტურა, დროებითი ჭრილი, ინტერპრეტაცია, ჭაბურღილი.

უპკ 551.8.763.1

**ფაუნისტური კომპლექსების რაოდენობრივი შეფარდება საქართველოს ბათურ-ტიტონურ ნალექებში. თ. ლომინაძე, ი. წერეთელი, ვ. თოდრია. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 81-86 (რუს.)**

საქართველოს ბათურ-ტიტონური ზღვიური ფაუნისტური კომპლექსების დროში მონაცვლეობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათი ურთიერთდამოკიდებულება დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვაგვარია. ასე, მაგალითად, ამონიტების გვარების რაოდენობა მაქსიმუმს კალოვიურში აღწევს, ხოლო მინიმუმს - შუა და გვიან ოქსფორდულში. საპირისპირო სურათს ვხვდავთ მარჯნებში. ისინი კალოვიურში ძალიან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, ხოლო მაქსიმუმს შუა ოქსფორდულში აღწევს. რაც შეეხება მიკროფაუნას, მათი გვარების რაოდენობის პიკიც შუა ოქსფორდულზე მოდის. ეს დროის ის მონაკვეთია, როდესაც რიფების წარმოქმნა მაქსიმუმს აღწევს, რამაც თავის მხრივ, არახელსაყრელი პირობები შექმნა ამონიიდების გავრცელება-განვითარებისთვის. ცხრ. 1, ბიბლ. 19 (3 ინგ., 16 რუს.).

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ბათური, კალოვიური, ოქსფორდული, კიმერიჯული, ტიტონური, ამონიტები, ბიოსტრატиграფია.

უპკ 551.(479.22)

**თბილისისპირა რაიონში დედამიწის ქერქის ზედა ნაწილში სიღრმული რღვევების გამოვლენა  $\Delta g$  სიმძიმის ძალის ანომალური და გეოდეზიური ველების ტრანსფორმაციების გამოყენებით. ნ. ხუნდაძე, ა. რუსაძე, ზ. არზიანი. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 87-97 (რუს.)**

თბილისისპირა რაიონში სიღრმული რღვევების გამოვლენის მიზნით განხილულია ხრამი-სამგორი-ალაზნის პროფილის გასწვრივ გეოლოგიურ-გეოფიზიკური გამოკვლევების მონაცემების განზოგადება. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა გრავიმეტრიული და გეოდეზიური ველების ტრანსფორმაციების მეთოდები, რომლებიც შეთავსებული იყო ნავთობისა და გაზის საბადოს ჭაბურღილების მონაცემებით.

როგორც მოსალოდნელი იყო აღნიშნული გეოფიზიკური მეთოდებით მიღებული შედეგები დაემთხვა ჭაბურღილით დადგენილ მონაცემებს და მოხდა უკვე დადგენილი რღვევების იდენტიფიკაცია. მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა ნავთობისა და გაზის შუა ეოცენის ჰორიზონტის გასახსნელად რეკომენდაცია მივცეთ საკვლევ რაიონში საცხენისის ანტიკლინის თაღური ნაწილის 5,0 კმ სიღრმის საძიებო ჭაბურღილის გასაბურღად. ილ. 6, ბიბლ. 20 (1 ქართ., 4 ინგ., 15 რუს.).

**საკვანძო სიტყვები:** ანტიკლინი, სინკლინი, სიმძიმის ძალის ანომალია, სეისმოძიება, გეოდეზიური ველი, ბურღვა.

უპკ 550.8:551.35

**აღმოსავლეთ-შავი ზღვის ღრმის გეოლოგიური აგებულება ნავთობ-გაზიანობის პერსპექტივების თვალსაზრისით. ს. გაგუა, ვ. ლოსაბერიძე, დ. ვახანია, ლ. ოქრუაშვილი. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 98-110 (ქართ.)**

შავიზღვისპირეთის ქვეყნების წამყვანი სპეციალისტების მიერ აღმოსავლეთ – შავი ზღვის ღრმის მრავალწლიანი გეოლოგიურ-გეოფიზიკური კვლევა და ამიერკავკასიის მთათაშუა ღრმუ-

**რეზიუმეები – РЕФЕРАТЫ – SUMMARIES**

ლის დასავლეთ (კოლხეთის) ზონის საზღვრებში სხვადასხვა დანიშნულების ჭაბურღილების მონაცემები მიუთითებს ორივე ტექტონიკური ერთეულის მჭიდრო სტრუქტურულ კავშირზე. ამასთან, სანაპირო ზოლში ბურღვის პროცესში ნავთობისა და გაზის მრავალრიცხოვანი გამოვლინებები და დასავლეთ საქართველოს საზღვრებში ბუდობების არსებობა, შავი ზღვის აკვატორიის აღმოსავლეთ ნაწილში საფარად ნახშირწყალბადების მდიდარი შედგენილობა (მეთანის გამოყოფა ფსკერიდან, აირჰიდრატების მაღალი კონცენტრაცია, ტალახის ვულკანიზმისა და დიაპირიზმის უბნები) აშკარად მიუთითებს დანალექი საფარის ნავთობგაზშემცველობის პერსპექტიულობაზე.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ამ უკანასკნელის საძიებო ინტერესი უკავშირდება ოლიგოცენურ-პლიოცენური ასაკის მძლავრ მოლასურ ფორმაციას (5 კმ), ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მეზოზოური ასაკის ტერიგენულ-კარბონატულ 2500-3000 მ-მდე ნალექებს (ზედა ბაიოსურბათური, ზედა იურული და ზედა ცარცული).

აკვატორიაში გეოლოგიურ-გეოფიზიკური კვლევებით და დასავლეთ საქართველოს სანაპირო ნაწილში ბურღვის მონაცემებით გამოვლენილია როგორც ზღვის, ისე ხმელეთის ანტიკლინები და მათი მოკავშირე სტრუქტურები, რომელთა სიღრმული აგებულება ჯერ კიდევ საჭიროებს დეტალურ გეოფიზიკურ კვლევებს საძიებო ობიექტების დაზუსტების მიზნით. ილ. 7, ცხრ. 1, ბიბლ. 9 (რუს.).

**საკვანძო სიტყვები:** ნავთობი, გაზი, მეთანი, სტრუქტურა, ნალექი, აკვატორია, გაზჰიდრატები.

უპკ 553.048

**ზემო სვანეთის მადანგამოვლინებები, მათი ანალოგები და პერსპექტივები. დ. ბლუაშვილი, თ. ლიპარტია, თ. გზირიშვილი.** „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 111-117 (ქართ.)

მოცემულია 15-წლიანი ჩატარებული საველე და კამერალური კვლევების შედეგები. მოკლედ დახასიათებულია ზემო სვანეთის ოქროს მადანგამოვლინებები, განხილული და გაანალიზებულია მათი ანალოგები და გამოთქმულია მოსაზრება მათი პერსპექტიულობის შესახებ. ბიბლ. 22 (6 ინგ., 8 ქართ., 8 რუს.).

**საკვანძო სიტყვები:** საკენის ინტრუზივი, ოქროს მადანგამოვლინება, კვარცოქროიანი ასოციაცია, ოზოტოპური სისტემები, პროტოლითი, ანატექსისი.

**გეოფიზიკის სექცია**

უპკ 550.83

**ნავთობის საბადოების დამუშავების რაციონალური სისტემების გეოლოგიური ანალიზები. ო. ჭუსეინზადე, ნ. ბაბაევი.** „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 118-121 (რუს.)

სარეწაო გეოლოგიურ-გეოდინამიკური კომპლექსური კვლევების საფუძველზე რიგ ნავთობის საბადოზე და სხვადასხვა რეგიონებისათვის დადგენილ იქნა გეოდინამიკური პროცესების გავლენა ნავთობის მოპოვების ტემპზე. ამასთან, დამუშავებულია და შედგენილი მათემატიკური მოდელი, რომელიც აღწერს მათ ფუნქციურ კავშირს შემადგენელ პარამეტრებს შორის. ილ. 2, ბიბლ. 4 (რუს.).

**საკვანძო სიტყვები:** სარეწაო გეოლოგიური კვლევა, გეოდინამიკური კვლევა, ნავთობის მოპოვება, მათემატიკური მოდელი.

უპკ 550.831

**სასრული გავრცელების ერთგვაროვანი ვერტიკალური ელიფსური ცილინდრისთვის ბრავიშეტირის პირლაპირი და შებრუნებული ამოცანების ამოხსნის მართი სერისის შემსახებ. რ. მანაგაძე, გ. მანაგაძე, ჟ. ბოჭორიშვილი, ს. გურაბანიძე.** „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 122-128 (ინგ.)

გ. გამბურცევის ფორმულის

**რეზიუმეები – РЕФЕРАТЫ – SUMMARIES**

$$-\frac{1}{2\pi f} \int_{-\infty}^{\infty} \int_{-\infty}^{\infty} \left( L \frac{\partial W}{\partial z} - W \frac{\partial L}{\partial z} \right) dx dy = \iiint_V \sigma(\xi, \eta, \zeta) L(\xi, \eta, \zeta) d\xi d\eta d\zeta$$

და ა. კუდრიას მიერ გამოყენებული

$$\Delta g(x, y, z) = \sum_{i=0}^n \sum_{j=1}^{2i+1} a_{ij} J_{ij} + Q$$

ანომალური სხეულების  $\Delta g$  ველის ცენტრალურ კოორდინატთა სისტემაში ჰარმონიული მომენტების მიხედვით მწკრივად გაშლის ფორმულის საფუძველზე ერთგვაროვანი ვერტიკალური ელიფსური ცილინდრისთვის მოცემულია გრავიმეტრიის პირდაპირი და შებრუნებული ამოცანების ამოხსნის ხერხი. ამ ხერხის მეშვეობით საკვლევი სხეულის გეოლოგიურ-გეომეტრიული პარამეტრების განსაზღვრის ცდომილება 1%-ის ფარგლებშია. მოცემულია აგრეთვე  $\Delta g$  ველის გამოსათვლელი ფორმულა, როცა მისაზიდი წერტილი გადაადგილდება საკვლევი სხეულის შიგნით  $Z$  ღერძის გასწვრივ  $z_1 = 0$ -დან უსასრულობამდე. ილ. 2, ცხრ. 2, ბიბლ. 8 (ინგ.).

**საკვანძო სიტყვები:** გრავიმეტრია, ელიფსური ცილინდრი, პირდაპირი ამოცანა, შებრუნებული ამოცანა, გამბურცევის ფორმულა, ჰარმონიული მომენტები.

უპა 551.54+550.348

**იონოსფეროს ფენის კრიტიკული სიხშირის ბრძოლკერიოლიანი (T=0,5-4 სთ) ვარიაციების სეისმური ბუნების შესახებ. ჯ. ზუროშვილი, ლ. ზუროშვილი, ნ. ხუნდაძე. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 129-131 (ქართ.)**

ექსპერიმენტულ მასალაზე დაყრდნობით გაკეთებულია ალბათური დასკვნა: დედამიწის სეისმოგრაფიკული რხევებით ატმოსფეროსა და იონოსფეროს აგზნების სეისმური ბუნების შესახებ. ილ. 4, ბიბლ. 7 (ქართ.).

**საკვანძო სიტყვები:** სეისმური გრაფიკაცია, რხევა.

**ენერგიის განახლებადი სახეების გარდაქმნა, დანადგარები და კომპლექსი მათ გაზაზე**

უპა 620.9+339.92

**2006 წლის საერთაშორისო ენერგიის პერსპექტივა. ლ. მიქაბერიძე, ვ. ლოსაბერიძე, თ. დონდუა. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 132-140 (ინგ.)**

წარმოდგენილია ნავთობის ინდუსტრიის განვითარების შესაძლო ტენდენციები. გაანალიზებულია ნავთობის მსოფლიო ბაზრის მდგომარეობა, ასევე განხილულია ნავთობის მსოფლიო მოთხოვნა და მიწოდება, ნავთობის ფასების ტრენდი, “ნექო“-ს წარმოების შესაძლებლობების გაფართოების საკითხი და “ნექო“-ს არაწვერი ქვეყნების ნავთობის მარაგების საკითხი.

**საკვანძო სიტყვები:** ნავთობის მსოფლიო ბაზარი, მოთხოვნა ნავთობზე, ნავთობის მიწოდება, “ნექო” (ნავთობის ექსპორტორი ქვეყნების ორგანიზაცია).

## ბურღვის ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების, მართვის ავტომატიზაციის სექცია

უპკ 622. 244

**ყურძნის წარმოების ნარჩენების ექსტრაქტის კვლევა სატამპონაჟო ხსნარების შემკვრის საწყისის შესანელებლად. გ. ვარშალომიძე, ვ. ხითარიშვილი, ნ. მაჭავარიანი, ტ. სარჯველაძე, მ. ონიაშვილი. „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბილისი, 2007, №20, გვ. 141-145 (ქართ.)**

სატამპონაჟო ხსნარის შეკვრის საწყისი დრო საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ დამზადებული საჭირო მოცულობის ხსნარი ჩაიტუმბოს სამაგრი მილების კოლონაში და გაიტუმბოს მილგარე სივრცეში, სანამ დაიწყებოდეს ცემენტის ხსნარის შეკვრა, ე.ი. ის უნდა იყოს დენადი. ამისათვის, სატამპონაჟო ხსნარის დასამუშავებლად, კვლევების საფუძველზე შერჩეულ იქნა ყურძნის წარმოების ნარჩენების ექსტრაქტი, როგორც სატამპონაჟო ხსნარის შეკვრის შემნელებელი. მის საფუძველზე დამზადებული სატამპონაჟო ხსნარების გამოყენება კონკრეტულ გეოლოგიურ-ტექნიკურ პირობებში წარმოადგენს მეტად ეფექტურ საშუალებას, რათა ჭაბურღილი დაცემენტდეს ხარისხიანად. ცხრ. 1, ილ. 2, ბიბლ. 4 (2 რუს., 2 ქართ.).

**საკვანძო სიტყვები:** ყურძნის წარმოების ნარჩენების ექსტრაქტი, სატამპონაჟო ხსნარი, შეკვრის საწყისი, ჭაბურღილის დაცემენტება.

უპკ 622.24

